საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ვაჟა გვახარია. ილია ტაბაღუა

ბასკური ხალხური სიმღერები

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1983

78
85 2
398:78(= 91.69)
ბ 452

ნაშრომი ეხება ბასკური მუსიკის ისტორიას, ბასკურსა და ქართულში არსებული მრავალხმიანობის მიმართების პრობლემას, ჰიპოთეზას ქართულთან ენობრივი და კულტურული მიმართებისა.

ნაშრომში, პირველად საბჭოთა მუსიკათმცოდნეობაში, მეცნიერულადაა შესწავლილი, ერთი მხრივ, საკუთრივ ხალხური და პროფესიული მუსიკის წარმოშობისა და განვითარების საკითხები, ხოლო, მეორე მხრივ, მოძიებულია და დაფიქსირდა ბასკური და ქართული ცალფა და მრავალხმიანი სიმღერების პარალელები.

წიგნი განკუთვნილია ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტებისათვის.

რედაქტორები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი მოთა ძიძიგური
საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული
მოღვაწე პროფ. პავლე ხუჭუა

ბ 10602
М 607(06)-83 189-83 გამომცემლობა "მეცნიერება" 1983

ბასკებისა და ქართველების მიმართების საკითხი უკავშირდება იბერიულ-კავკასიური ენების წარმოშობის პრობლემას. მ. კოჰენი და ანტუან მეიე "მსოფლიოს ენების" I ტომში[1] ცალკე გამოჰყოფენ ძველი აფრიკის და ხმელთაშუა ზღვის იბერიულ მობინადრე ხალხთა ენებს და კავკასიურის შემდეგ ასახელებენ ბასკურს, ხოლო პირენეის ნახევარკუნძულზე: ჩრდილოეთით - ასტურიული, ლეონეური, არაგონული; ცენტრში - კასტილიური; სამხრეთით - ანდალუზიურს; ძველ ესპანეთში ემიღიანე და სილენსე ცალკე გამოყოფენ კატალონიურს და პორტუგალიურს. ე.ა. ბოგორიდიცკი[2] ესპანური ენის შესახებ წერს, რომ ამ ენაზე მეტყველებს პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებთაგან, გარდა ბასკებისა, ცალისიტები - ცალისიის პროვინციაში და კატალონიელები. ესპანურის მთავარი დიალექტებია: ასტურიული, არაგონულ-ნავარული, კასტილიური, ანდალუზიური. ესპანეთის გარდა, ესპანური ენა გავრცელებულია ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში (გარდა ბრაზილიისა): მექსიკაში, არგენტინაში, პერუში, ჩილეში, პარაგვაიში, ურუგვაიში... ანტილიის კუნძულებზე. ესპანური ლიტერატურული ენა ემყარება კასტილიურ დიალექტს. კატალონიის დიალექტზე მეტყველებენ კატალონიასა და ვალენსიაში, აგრეთვე ბალეარის კუნძულებზე[3].

ბასკების ენეგრისს უკავშირებენ პირენეის უძველეს მოსახლეობას - იბერებს. ამ თეორიის ფარგლებში წარმოადგენილია ჰუბერტი, რომლის თანახმად ენა განვითარებულა ახალ იბერიულ ენათა ჯგუფს; არსებობდა ჰ. შუხარდტის სანინააღმდეგო თეორია, რომლის მიხედვითაც იბერიელთა გადმოსახლებამ ბასკების ბეგავლენით. ბოლო წლებში ჩატარებულმა ძიებებმა ახლებურად გააშუქეს ბასკთა და იბერთა მიმართების საკი-

---

I Les langues du mondes, Paris, 1925.

2 Введение в изучение современных романских и германских языков, Москва, 1953, стр. 12-13.

3 ენციკლოპედია, ბასკური ენა, ინგლისურიდან თარგმნა ნ. სტურუამ, არნ. ჩიქობავას მინასწავლებლობით და რედაქციით, თბილისი, 1960.

ფხეში. ნაპოვნ ეპიგრაფიკულ ძეგლებში - ეფარ,-დარ,-ფარ- სუფიქსზე დაბოლოებული იბერიული სიტყვები, რომლებიც ყარბადაა ფიქსირებული აღმოსავლეთიდან მომდინარე ფულებზე, თავისი ფუნქციით ემთხვევა ბასკური ეთნიკურობის აღმნიშვნელი სუფიქსს, გვხვდება სახელებში, რომლებიც ამ სუფიქსით მთავრდებიან: საიფაბიფარ, ისუნდარ, ბასერიფარ.

პირენეის იბერების საკითხი მასალის სიმცირის გამო დღემდე შეუსწავლელია. არსებობს ჰიპოთეზები, რომლებიც მეექვსე ათასწლეულს მიაწერენ ამ ხალხის წარმოშობას[1], მაგრამ ჯერჯერობით ეს ჰიპოთეზა დაუჯერებელ ფაქტად რჩება. ჰანს იენსენი[2] იბერიულ ანბანს ფინიკიურიდან წარმოშობილად მიიჩნევს.

იბერიულია ენის შესახებ აღსანიშნავია ე. ჰუბნერის გამოკვლევა[3].

იბერიულ ანბანს განსხვავებული მოხაზულობა აქვს. ჩრდილოურის მოხაზულობები მარჯვნისაკენ მიემართება, ხოლო სამხრეთულის - მარცხნისაკენ. შემდეგ ხანებში ამ ანბანზე ბერძნულმა მოახდინა გავლენა. ყველაზე უძველესი წარწერაა "ალიკი" (ალიკანტეს პროფინციიდან) ძვ. წ. IV-III ს.[4]

ფინიკიური წარმოშობის თეორია მოდინარეობს პ. ლენორმანიდან (1840 წ.), ხოლო ბერძნულიდან წარმოშობის, უფრო ზუსტად უძველესი

---

1 Károly Földes-Papp,Von Felsbild zum Alphabet,Dresden,S.IOI.

2 H.Jensen,Die Schrift in Vergangenheit und Gegenwart,Berlin,I958,SS.27I-27

3 Monumenta Linguae Ibericae, 1893. 1925 წელს ეს წიგნი ანაცვლა Gomez Moreno -მ, Las inscripiones Ibericas.Homenaje a Menendez Pidel.

4 H.Schuchardt,Die Inschrift von Alcoy,Sitzungsber,d.Berlin,Ak.,I922.

ჩრდილო ბერძნულიდან, - დელაპოსა (1853 წ.) და ფილიპსიდან (1971 წ.); ამ თეორიას იზიარებენ აგრეთვე: ა. სეისი, ე. ტეილორი, ჯ. ჰუბნერი და სხვ... მაგრამ განსხვავებით ევანსი იბერიულ ანბანს კოლტის უკავშირდება.

ვიკე[1] და ტეიალორი[2] ალვაიოს (პორტუგალიის) დოლმენების და ამოკაწრული ქვების ნიმუშებს (ახ.წ. 4000 წ.) ადარებენ. აი, რამდენიმე ნიმუში, რომელიც ჰ. იენსენს აქვს (გვ. 272):

	i-l-di-r-da(-r)	Ἰλέρδα	(Ptolem.)
	ba-i-to-l-o	Βαιτουλών	(Ptolem.)
	ce-e-s-s-e	Κίσσα	(Polib.) Cissa (Liv.)
	i-s-ca	Ἰσκα	(Ptolem.)

ბასკური და იბერიული უკავშირება ხმელთაშუაგლ-ვის აუზის მობინადრე ხალხთა უძველეს ენებს: ამ ლებულებას იზიარებდა, ოღონდ ქართულთან კავშირში, მუსიკამეცნიერ ბიგფრიდ ნადელი ("ქართულ სიმღერებზე" დაწერილ გამოკვლევაში). პოკორნი და ე. ბილარგი პარალელებს ეძებენ ქამიტურ სამყაროსა და ძველი აფრიკის ტომებში, ჯ. კარსტი და პ. ფუშე - ურალურ-ალტაურ და პალეოციმბრის ენებში. როდესაც ასეთ ენობრივ შედარებებს ეკიდებთ, აუცილებელია ენობრივი ფაქტორის გარდა ისტორიული და ეთნოგრაფიული გარემოც გავითვალისწინოთ; ძნელია ლაპარაკი მაღალკულტურული იბერიელების მიმართებაზე აფრიკის უძველეს ტომებთან, ან სულ სხვა სისტემის ქამიტურ ენებთან; არაა საკმარისი ალბ ის, რომ მარტო აგლუტინაციური ტიპის საფუძველზე ურალს მიადგე და "გააციმბიოთ" პირენეელები. რატომ არ არის ამ თეორიის გენეტიკური ორიენტაციისადმი გადალისწინებული ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსე-

---

1 Südwesteuropäische Megalithkultur, 1912.

2 Boletin de l'Associacio Catalana d'Anthropologia, 1926.

ბის ცნობები, რომლებიც პირენეის იბერებს შავი და კასპიის ზღვას შორის მოსახლე იბერებს უკავშირებენ. იქნებ ეს დამთხვევა არ იყოს შემთხვევითი; ქრონოლოგიურად ეს მწერლები ახლოს დგანან იბერიელთა და ბასკების ჩვენამდე ცნობილ უძველეს ქრონოლოგიასთან. დავიწყოთ ბერძენი ისტორიკოსის ცნობით:

Προστιθέασι δὲ [τοῖς ἐκ τῶν θειρῶν μεταβολαῖς] καὶ τὰς ἐκ τῶν μεταστάσεων μεταβολάς... οἷον Ἰβήρων μὲν τῶν ἐπ' ἐρίων εἰς τοὺς ὑπὲρ τοῦ Πόντου καὶ τῆς Κολχίδος τόπους μετωκισμένων, οὓς ὁ Ἀράξης, ὥς φησιν Ἀπολλόδωρος, ἀπὸ τῆς Ἀρμενίας ὁρίζει, Κύρος δὲ μᾶλλον καὶ τὰ ὄρη τὰ Μοσχικά, Αἰγυπτίων δ' εἴς τε Αἰθίοπας καὶ Κόλχους

ულოდებიან (ცვლილებებს მიწისძვრის შედეგად) და ცვლილებებს ადგილსახლების შედეგად ასე; დასავლეთის იბერები გადასახლდნენ პონტოს ზევით მდებარე ადგილებში და აგრეთვე კოლხეთის ზემოთ. აპოლოდორის სიტყვებით, არაქსი ჰყოფს მათ სომხეთიდან, სინამდვილეში მტკვარით და მოსხების მთებით იყოფიან. ეგვიპტელები გადასახლდნენ ეთიოპელებთან და კოლხებთან"[1].

ეს ციტატა, მართალია, არ მიგვაჩნია ეჭვმიუტანელ ფაქტად, მაგრამ ანგარიშგასაწევია. სტრაბონის გეოგრაფია მეცნიერებისადმი აღიარებული წყაროა და მას როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოში, ისტორიკოსები საკმაოდ ხშირად მიმართავენ. ვნახოთ სხვა ავტორთა ცნობებიც:

"Ἰβηρας δὲ τοὺς ἐν Ἀσίᾳ οἱ μὲν προγόνους οἱ δ' ἀποίκους ἡγοῦνται τῶν Εὐρωπαίων Ἰβήρων"[2]

"აზიის იბერებს ზოგი ევროპის წინაპრებად, სხვები კი, ევროპის იბერების კოლონისტებად"[2]. ანალოგიური ცნობები, როგორც ჩანს, ფარ-

---

1 Στραβων, Γεωγραφικα, Lib.I cap.3.

2 Appiani, Historia Romana, Ed.Lud.Mendelsohn, 2 vols.Lipsiae, 1879, § 8I, 101.

ბად იყო ძველ საბერძნეთში გავრცელებული, ამასვე იმეორებენ რომაული წყაროები: I Rufi Festi Avieni,carmina,rec.A.Holder,1887.

"Euxinnique subest tergum solis:asper Hiberus Hic agit:

hic olim Pyrenide pulsus ab ora Caespitis eoi tenuit sola,

ceu vaga saepe Fors rapit exactos patria":

"აქ ბინადრობენ პირქუში ჰიბერები. ისინი ძველთაგანვე გამოძევებული არიან პირენიდეან - სანაპიროდან, დაიკავეს ქვეყნის აღმოსავლეთის მხარე. ან რაიმე შემთხვევამ მოიყვანა ისინი, სამშობლოდან გამოძევებული".

Il Pricianus,grammatici (Caesariensis Institutionum grammaticarum libri XVII ex rec.M.Hertzi,2 B.),Lipsiae,1855-1859.

Lib.VI,Cap.VIII,44,"proprie Hiberes sunt gens ab Hiberis profecta, qui ultra Armeniam habitant,quorum singularis nominativus hic hiber huius Hiberis facit,et apud Graecos nom alterum dicunt".

Lib.VII,Cap.III,12 - dicitur tamen et "Hiber Hiberis" pro "Hispanus" et "Hiber Hiberis",quando de illa gente loquimur,quae est iuxta Armenios, et "Hiberus" Hiberi fluvius...

"... კერძოდ "ჰიბერად" იწოდება ტომი, რომელიც გადმოსახლდა იბერებიდან, ცხოვრობენ არმენიის იქით. მათი სახელწოდების სახელობითი ბრუნვის მხოლობითი რიცხვია ჰიბერ (ნათეს. ბრ. - ჰიბერის), ბერძენ. ჰიბერ, ნათეს. ბრ. - ჰიბერის-დან (სხვები მათ უწოდებენ ჰიბეროს)

ამბობენ აგრეთვე ჰიბერ-ს, "ესპანელის" მნიშვნელობით. "ჰიბერის" ის ტომია, რომელიც სომხების მახლობლად ცხოვრობს. ნათეს. ბრ. - "ჰიბერი".

ესპანელი იბერები რომ მოვაოსნობასა, მეკობრეობასა და კოლონიზაციორობაში გაწაფული იყვნენ, ეს ჩანს გაუჩუს სარვიუს ჰონორატუსის(ახ.წ. IV ს.) ცნობებიდან, რომელიც დართული აქვს ვირგილიუსის კომენტარებს (გვ. 408)... "Hiberi gens in Ponto;sed magis de Hispanis intellegendum,quorum in latroconiis fama praeponderat" – "იბერები – ხალხია პონტოში, მაგრამ ამჯერად უფრო იგულისხმება ესპანელები, რომელთა მძარცველობის სახელიც განოქმულია"[1]. ცხადია, უძველეს ეპოქაშიც არსებობდა ქართველ იბერთა შთამომავლობაზე განსხვავებული აზრი. პლუტარქე აღნიშნავს, რომ ზოგიერთები ისინი სახელწოდების მიხედვით მიიჩნდათ პირენეის იბერების იდენტურ ხალხად, ზოგი ამ თანმხვევას შემთხვევითად მიიჩნევდა, თანამედროვე ესპანელი და ქართველი – იბერები ერთმანეთს არ გავდნენ". მაგრამ რით უნდა აეხსნათ ის ფაქტი, რომ, სხვა ადგილობრივ მკვიდრ ქართველ ტომებთან ერთად, ისტორიის მამა ჰეროდოტე თავის "ისტორიაში" არსად იბერებს არ იხსენიებს. აქაა ჩამოთვლილი: მარები, მოსინიკები, მაკრონები, კოლხები, ტიბარენები, მოსხები, პონტოს სამეფო, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები, მიდიელები, მასაგეტები, სასპერები, კასიის ქვეყანა, მაციენები, არმენია, კაპადოკია (სირიად წოდებული), ფრიგია (ბრიგები), კილიკია და ა.შ.[2]

---

1 Institutionum Grammaticarum.Lib.VII,Cap.II,12;Lib.VI,Cap.VIII,44; В.В.Латышев,"Известия...",т.2-й,вып.2-й,с.435.

2 იხ. ფ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ. თბილისი, 1960, გვ. 57-119.

აკად. ნ. მარი ფავის ცნობილ გამოკვლევას "Из Пиренейской Гурии" ასე იწყებს: "Я никак не верил, что в наши дни могут происходить чудеса. А оно произошло одно такое чудо..." "Выехали з Парижа на юг Франции к Пиренеям и достигнув утром после полдня села Тардец, мы оказались перед чудом... мы оказались на Кавказе в Гурии, а, следовательно, у себя, на родине"[1].

ენობრივ ურთიერთობათა გარდა, დიდი მეცნიერი ბევრ საერთოს პოულობს ეთნოგრაფიულ ყოფაში, პოეტურ ხასიათში; ამ მხრივ მას მოჰყავს ნაწყვეტი ბასკი პოეტის აზნიას ლექსიდან და ეკარგება 1905 წლის მიჯნაზე შექმნილ ქართულ ლექსს "საქართველო ჩვენია, ჩვენია!"[2]:

Estis eztitzeko
Ezkoz argitzeko
Eskuara gurea
Eskuara maitea.

"ფაფრად უყვარეს,
ფაფრის სანთლად უნ-
ნდინვარეს,
ჩვენო ენაკურო,
საყვარელო ენაკურო

აკად. ნ. მარი ეტიმოლოგიურად უკავშირებს ბასკურსა და ქართულ კავკასიურ სამყაროს: "Основные названия плодов и злаков, в том числе "зерно", равно "орех" да социальные термины: "женщина", "дедушка", "жена", "мужчина" оказались общими у баскского с грузинским, да с родным с ним языками Кавказа, это вне всякого спора..."[3]

---

1 Н.Я.Марр, Избранные работы, т.1У, 1937 г., Из пиренейской Гурии, с.2-3.

2 იქვე, გვ. 7.

3 Н.Я.Марр,... Из Пиренейской Гурии, с.2-3.

ასევე ცალკეული სიტყვიერ ანმოხვევაზე აგებს ფაეის თეორიას ურთიერთობათა შესახებ კარი ბოდა[I] მოვიყვან რამდენიმე ნიმუშს: 1. Bask. i-tsa-so-sgva; oqa-li, Mingr.oqa-ri,Laz.oka-ri,ca-ri, "Wasser". Das augmentative suffix bask. - so ist offenbar notwendig,un von der südkaukas.Bedeutung zug baskischen zu gelangen.Die Lautentsprechung scheint gesetzmässig zu sein,sie findet ebenso statt in BK,N°I3I,bask. (h)asi "anfangen": georg. oq-usw. Die lasische Form cari zeigt sehr schön,dass die Vereinfachung der Konsonantengruppe schön im Südkauk. eingetreten.

შემდეგნაირად აქვს მას განხილული ბასკური სიტყვები: athe-rii athe-rri - "ნათელი", mac-i - - "მშიერი", e-rh-i - "თი-თი", bul(h)-ar,bur-ar - "მკერდი", bage// gabe - "ყური", sabe-l - "მუცელი" და სხვ.

აკად. ნ. მარის ეტიმოლოგიური ძიებანი ემყარება მის მიერ მოგვიანო პერიოდში შემუშავებულ ოთხელემენტოვან სისტემას, რომელიც ამჟამად არ არის გაგიარებული გოგად ენათმეცნიერებაში, ხოლო კარი ბოდას ეტიმოლოგიები ბგერათა კანონზომიერ შესაყვისობათა გარეშეა წარმოდგენილი. მიუხედავად აკად. ნ. მარის უაღრესად საინტერესო დაკვირვებისა, განსაკუთრებით ფონოლოგიის სფეროში, როდესაც ის ეძიებს ქართულ სამეულებს - ტ ფ თ , კ გ ქ, პ ბ ფ-ს ბასკურს და არჩევს ბასკური ანბანის გრაფიკული გადმოცემის სპეციფიკას (გვ. 10), ან კიდევ, როდესაც ეხება რიცხვთა "ოცობით სისტემას" და პარალელს ავლებს ქართულ და კავკასიურ ენებთან (გვ. 37-38), მისი

---

1 Baskisch-Kaukasische Etymologien,Heidelberg,1949,SS.I-56.

ეტიმოლოგიური ძიებანი მიკვალინია თანამედროვე ლინგვისტიკისათვის განვლილ საფეხურად; აკად. ნ. მარის ცნობილმა კამოკვლევამ პიტენეის ტურიაგე დიდი გავლენა მოახდინა თავის დროზე ლინგვისტებზე და ამ საკითხით მრავალი თვალსაჩინო სპეციალისტი დაინტერესდა. ნ. მარის კამოკვლევის შემდეგ დაიწერა ჰ. შუხარდტის, ჯენბეკის, ბ. დიუმეზილის, კ. ბოუდას, რ. ლაფონის საყურადღებო კამოკვლევები ქართულთან ბასკურის შედარების შესახებ.

ენის კვლევის დროს ჩვენთვის არსებითია ენობრივი სტრუქტურის თანმიხვევა და ბგერათშესაფერისობათა დადგენა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ეტიმოლოგიურ ძიებათა დაწყება. კარლ ბოუდა თავის ზემოთ დასახელებულ კამოკვლევაში ეტიმოლოგიურ თანმიხვევებს ხედავს: 1. ადამიანისა და 2. სხეულის ნაწილების დასახელებაში, 3. ცხოველთა სახელწოდებაში, 4. ფრინველების, 5. მწერების, 6. მცენარეების, 7. ნაოკავების, 8. პროდუქტების, 9. სახლისა და საოჯახო ნივთების, 10. სახალხო მეურნეობის, 11. მეცხოველეობის, 12. ატმოსფეროს, 13. მიწათმოქმედების, 14. ოიცხვის აღმნიშვნელ სიტყვებში, 15. მეტყველების, 16. დროის, 17. მოძრაობის, 18. კონკრეტული კარგმოს, 19. აბსტრაქტული კარგმოს, 20. ნაკვალსახელთა ამსახველ სიტყვაში.

ბასკური ენა, ისევე როგორც ქართული, აგლუტინაციურია. თვით ბასკური ზმნა პასიური კონსტრუქციისაა. ერგატიული კონსტრუქცია აქვს ბასკურს ისევე, როგორც ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურს, აფხაზურს, ადიღეურს, ბაცბურს, ქისტურს, ავარიულს, დარგულს, ლეზგიურს[1],

---

1 Языки народов СССР, т.IУ, Иберийско-кавказские языки, М., 1967; Ст., Эргативная конструкция предложения, М., 1950; -ალბ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბილისი, 1948;
Schuchardt H., Über den passiven Charakter des Transitivs in den Kaukasischen Sprachen, Wien, 1895; Эргативная конструкция в языках различных типов, Ленинград, 1967

ურარტული[1], ხურიტული[2], შუმერული[3]. ერგატივის ბრუნვა გარდამავალ გმნებთან ქვემდებარის ბრუნვაა; გარდამავალ გმნასთან დაკავშირებულია სუბიექტი და ობიექტი. აქედან რეალური, პირდაპირი ობიექტი დგება სახელობით ბრუნვაში, ხოლო ქვემდებარე ერგატივში ან აქტიურ ბრუნვაში. ერგატიულ კონსტრუქციაში აკუზატივი გამორიცხულია. ჰუტო შუხარდეს მიხედვით, თუ რეალური სუბიექტი წინ უძღვის გმნას, მაშინ გმნა აქტიურია, თუ თან მოსდევს, მაშინ - პასიური. ტუფულურში, არჩიბულში, ჩაჩნურსა და ავარიულში მოქმედი სუბიექტი ერგატივშია, ობიექტი - სახელობითში. გმნაში ობიექტი აღნიშნულია კლასის ნიშნის მაჩვენებლით. "ლეზგინა" გმნის საშუალებით, კლასის მაჩვენებელი მოქმედების სანყისთან გადაინაცვლებს. ფაბასარანულში, როდესაც ქვემდებარე დგას ერგატივში, მისი სახელობითში დასმული I და II პირის ნაცვალსახელები ემთხვევა ერგატივს.

ურარტში ერგატივი იწარმოება გენსარდავებით და გმნიზედებით. ჩაჩნურ ენებში აქტიური ბრუნვის ნაცვლად არსებობს აქტიური ინსტრუქტივი, ანუ მოქმედებითი; ბაცბურში აქტიურ ბრუნვას ენაცვლება სახელობითი, ხოლო მოქმედებითი ბრუნვა გამოყენება გარდაუვალი გმნის წინადადებაში. ლიდიურში ზოგიერთი გმნა მაგ., "დაიძინებს" გამოიხატება ორი ფაკულტატური ფორმით: სახელობითი და აქტიური ბრუნვით. აქტიური ბრუნვა

---

1 И.И.Мещанинов,Грамматический строй урартского языка,М.-Л.,1958; И.М.Дьяконов,Языки древней передней Азии,М.,1967;И.И.Мещанинов, Язык Ванской клинописи:Структура речи,Л.,1935; Г.В.Церетели,Урартские памятники Музея Грузии,Тб.,1939;Г.А.Меликишвили,Урартские клинообразные надписи,М.,1960.

2 И.М.Дьяконов,Сравнительно-грамматический обзор хуритского и урартского языков, Предназ.Сб.,М.,1961; J.Fridrich,Kleine Beiträge zur Churritischen Grammatik,Derlin,1939;E.A. Speiser,Introduction to Hurrian, 1941.

3 R.Jestin,La verbe Sumérian,Paris,1943,vol.I;1964,vol.II:Etudes Orientales,VII,IX;A.Falkenstein,Grammatik der Gudeas,von Lagasch,Roma,1950.

გაიშვება გარდაუვალ გმნებთანაც: თუ ბასკურში მრავლობითის მაჩვენებელი რეალური სუბიექტის მოქმედება გარჩეულია გმნადა გარდამავლობა-გარდაუვალობის მიხედვით, ლაკურში ისინი ერთმანეთს ემთხვევიან. ბასკური გმნის პასიურ კონსტრუქციაზე ყურადღება გაამახვილა ფრიდრიხ მიულერმა და ჰუგო შუხარდტმა. რადგან ჩვენს მიზანს არ შეადგენს ბასკური ენის სტრუქტურული ანალიზის კვლევა, ამიტომ ვემყარებით ჰერბერტ პიერპონ ჰოუგტონის[1] და განსაკუთრებით ანტონიო ტოვარის[2] გამოკვლევებს.

ბასკურში გარდამავალი, გარდაუვალი, რთული, მარტივი და შედგენილი გმნები შეიძლება იყოს ოთხმოცამდე განსხვავებული ჯგუფით წარმოდგენილი, რის საშუალებასაც იძლევა სუფიქსთა სიჭარბე. აქტიურ ბრუნვაში დასმული სუბიექტს მხოლოობითში აქვს არტიკლი წარმოდგენილი-ა სუფიქსით, ხოლო მრავლობითში - აკ-ით. განუსაზღვრელი ფორმა იქნება გიზ-ონ (ერთი, ვიღაც კაცი"). აქტიური ბრუნვა-აკ დაბოლოებას ღებულობს მხოლოობით რიცხვში, ხოლო ეკ-ს მრავლობითში. ეს ფორმები იხმარება გარდამავალი გმნის სუბიექტად. ისევე როგორც ქართულში, ამ შემთხვევაში, გარდაუვალ გმნასთან სახელობით ბრუნვას ვხვდებით გარკვეულ დროსთან. გარდაუვალ გმნასთან - ბასკური ენა ინდენტერმინატივებზე უფრო ხშირად ხმარობს დეტერმინატივებს. ერგატიული ბრუნვა მკაცრად არის დაკავშირებული გმნის პასიურ კონსტრუქციასთან, ნომინალურთან. წინადადებაში: "ლიბურუ ბატ იგორი დუტ, ბერაკ ეგინა" - "მან გამომიგზავნა მე წიგნი", ჩვენ ნათლად გამოვყოფთ ფორმის პოსესიურ ღირებულებას, რომელიც არის დამახასიათებელი გმნურ-ი ნომინალური (ეგინა) კონსტრუქციისათვის. გარდამავალ გმნებთან დაკავშირებულ სახელებში, როგორც ხ. ულებნეკი[3] აღნიშნავს, გამოირჩევა კაგუს ენერგეტიკუს და კაგუს ინერცია. ყოველი მათგანი

---

1 Herbert P.Houghton,An Introduction to the Basque Language,Leiden,Brill, 1961 (Cap.VIII).

2 Ant.Tovar,Rhe Basque Language,Philadelphia,1957.

3 An Introduction to the Basque Language,Leiden,Brill,1961,p.10.

იძლევა ორ სახესხვაობას, რომელიც მმნის პასიურობაზეა დამოკიდებული. ენერგეტიკული ბრუნვა გვხვდება გარდამავალ მმნასთან და აღინიშნება გარდამავალ ბრუნვად, ეს მაშინ, თუ ის დავის მხრივ უპირისპირდება გარდაუვალობის ბრუნვას[1].

ბასკურში გარდამავლობა შეიცნობა სახელებსა და ნაცვალსახელებზე -(ე)ჯ-ის დართვით პოსტპოზიციურ ა-არტიკლზე. გარდაუვალობას გარეგნული ნიშნები არ გააჩნია. ბასკურის გარდამავლობის (ტრანზიტივის) ბრუნვა შეესაბამება ქართული მოთხრობითს, ხოლო ინტრანზიტივის - სახელობითს[2]. ამჟამად ჩვენ მხოლოდ ორ არსებით ფაქტორზე მივუთითებთ, ისიც ძალზე ზოგადად, ესაა: ბასკურის აგლუტინაციურობა და ერგატიული კონსტრუქცია, რითაც იგი მსგავსებას იჩენს ქართველურ ენებთან კერძოდ, ქართული ენასთან, რომლის ლიტერატურული ენის საფუძველია ქართული (აღმოსავლეთ საქართველოს) დიალექტი. საინტერესოა აგრეთვე რიცხვით სახელთა კონსტრუქცია, რომელიც ემთხვევა, ისევე, როგორც ქართულში, ოცობით სისტემას:

1-ბატ, 2-ბი, 3-პირუ, 4-ლაუ, 5-ბორტ, 6-შეი, 7-სასპი, 8-სორეი, 9-ბედერაცი, 10-ჰამარ, 11-ჰამეკა (ეკა-1), 12-ჰამაბი...

20 - ჰოგეი, 21 - ჰოგეი ეტა ბატ, 22 - ჰოგეიტაბი,

40 - ბერჰოგეი (ორი-ოცი)

60 - ჰირუეტჰოგეი (სამი და ოცი)

80 - ლაუეტჰოგეი (ოთხი და ოცი) და ა.შ.[3]

---

1 Сб.,"Эргативная конструкция предложения",М.,1950,с.94.

2 ი ქ ვ ე, გვ. 97-98.

3 იხ. H.P.Houghton , დასახ.ნაშრ.,გვ.13-14. 1976 წლის თსუ-ს გამომცემლობამ გამოსცა ა.ჩიქობავას წინასიტყვაობით და რედაქციით რენე ლაფონის შრომის "ბასკური ენის" ქართული თარგმანი; გამოიცა შ. ძიძიგურის "ბასკები და ქართველები" თბ., 1978 წ. გვ. 1-206; "საქართველო და ესპანეთის იბერია" ("მნათობი", №3); "საენათმეცნიერო საუბრები" (1960 წ.); Грузинский язык /Крит.очерк 1968); "ქართული ენის თავდადასავალი" 1969; Баски и Грузины."Лит.Грузии,1977. "ბასკეთში მოგზაურობა" (1977 წ.) სადაც უფრო ვრცელურადაა განხილული ენის და ისტორიის საკითხები. თს უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე ტარდება სემინარები ბასკურში.

ბასკური ენის ყველაზე უფრო ძველი ნიმუშები შემონახულია აკვიტანიურ წარწერებში, რომლებშიც შემორჩენილია ღვთაებანი, მამაკაცთა და ქალთა სახელები. შუა საუკუნეების ძეგლებში საკუთარ სახელთა გარდა გვხვდება სხვადასხვა საგანის აღმნიშვნელი ბასკური სიტყვებიც. 1140 წელს ემერიკ პიკარდმა, რომელიც "კოდექს კალიქსტინუსის (გამოცემულია სანტ-იაგოში) ავტორად იცნობა, იმოგზაურა ბასკების ქვეყანაში. ემერიკ პიკარდი საკმაოდ მოკლედ და საინტერესოდ აღწერს ბასკონიას, ამავე დროს საინტერესო ნიმუშებს იძლევა ლექსიკიდან. XVII საუკუნის ძეგლებიდან რამდენიმე საყურადღებო ციტატაა შემორჩენილი ლუციო მარინეო სიკულოს (1533), კასპარ გომესის (1536), რაბელეს (1543) და ბენვენუტო ვალკანიუსის ნაწერებში (1597). XVII-XVIII ს-ში აღსანიშნავია სან-მიგელ ბერნარდო დეშაპორეს "პრიმიტიული ბასკური ენა", რომელიც დაიწერა 1545 წელს ბორდოში. ამავე საუკუნეებს განეკუთვნება სახარების ხუან დე ლისარაგესეული თარგმანი, დაბეჭდილი 1571 წელს, რომელსაც დართული ჰქონია საეკლესიო კალენდარი და ლექციური ლოცვები. მთარგმნელობით მუშაობას ეწოდა "ყველაზე უფრო განსწავლული ბასკი" ლისარაგა. ბასკური ლიტერატურის ფასეულობა ნიმუშს წარმოადგენს 1596 წელს პამპლონაში გამოცემული " Sentencias comunes en Bascuence". ეს ტექსტი მოწნეულია ერთადერთი ვარიანტით და ხელმეორეთაა გამოცემული ურგინოში.

XVII საუკუნეში მოღვაწეობდა იოანეს და-ეჩებერი, რომლის ნაწერებიდანაც აღსანიშნავია საახალწლო ჰიმნები და საკულტო საგალობლები (1630 წ.).

1643 წელს ბორდოში გამოვიდა პეტრო დე აშულას ხიზგულება, თისი ნაწერები იცვლება ბასკური ლიტერატურის შესანიშნავ ნიმუშად. 1657 წელს პარიზში დაიბეჭდა ოიენარტის ანდაზები და პოემები.

1664 წელს პარიზში გამოვიდა სილვინ პუვრის მიერ თარგმნილი "ფილოტეა". ამ ეპოქის ძეგლებიდან საყურადღებოა მარტინ ჰოიარის (ბაიონი, 1677), თომას კემპის და არამბოლაგას (ბაიონი, 1684) ნაწერები.

ახალი ეპოქა შექმნა ბასკურ ლიტერატურაში იეზუიტმა მანუელ დე ლარა-ბერიმ (1690-1766 წწ.). მისი ნაშრომები " De la antiguedad y universatidad del Basquenze en Espana -ს სახელწოდებით გამოიცა 1728 წელს, რომელსაც მოჰყვა მეორე წიგნი " Demonstracion previa ol Arte que se dara a luz desta lengua" (სალამანკა, 1729 წ.). ეს იყო ბასკური ენის პირველი საფუძვლიანი გრამატიკული გამოკვლევა, რომელსაც დღესაც დიდი ღირებულება გააჩნია. აქ უაღრესად საყურადღებოა ბასკური დიალექტის საკანგებო გაანალიზება. ავტორმა გამოკვლევას დაურთო სამენოვანი: ბასკურ-ესპანურ-ლათინური ლექსიკონი, რომელიც 1745 წელს გამოსცა სან-სებასტიანში.

1731 წელს დონ ხუან დე პეროშეგიმ გამოაქვეყნა საკმაოდ გრძელი სახელწოდების ("ძველ გერმანულ სტილში II") შრომა " Origin y antiguedad de la lengua bascongada y de la nobleza de Cantabria . . . .", რომელშიც ავტორი საკანგებოდ იკვლევდა ბასკების წარმოშობის საკითხს. ხუან დე ჰარანელემ ლაბორეულ დიალექტზე ხელმეორედ დარგმნა ოთხთავი.. ბასკების გენეზისის საკითხი საკმაო აზრთა სხვადასხვაობებს და დისკუსიებს იწვევდა არა მარტო ესპანეთისა და პირინეის საზღვრებს გარეთ, არამედ თვით XVIII საუკუნის ბასკურ ლიტერატურაშიც. ეს ძველი ტრადიცია ახლაც ცოცხლობს: უამრავი ჰიპოთეზა, უამრავი თეორია, მაგრამ წინ გადადგმული საფუძვლიანი ნაბიჯი არ ჩანს. უძველეს პერიოდში გამოცემული, თუ დარგმნილი ძეგლებიდან ჩქეფს ხალხური მეფლვეობა, ყველაფერს, ემჩნევა დიდი და შორეული ტრადიციის მატარებელი ბეპირსიფლვიერების კვალი. ბასკური ფოლკლორი გმას იკაფავს იეზუიტთა ენათმეცნიერულ და ეთნოგრაფიკულ გამოკვლევებში რომლებშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა დიალექტების შესწავლას. ძველთაგანვე თაობიდან თაობაზე გადადის ეთნოგრაფიული ყოფა, ადათი, სასიმღერო-პოეტური ტრადიციები, რომლებიც განიცდიან ესპანური ცივილიზაციის დიდ ზეგავლენას[1].

---

1 Schindler Kurt,Folk music and poetry of Spain and Portugal,New York,1942.

შეუძლებელია თანამედროვე ბასკური მუსიკა გამოთიშო პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ ხალხთა და თვით ბოგადესპანური მემკვიდრეობისაგან, ასევე ვერ განიხილავ ბასკურ სახალხო სანახაობებს, თეატრს ძველი ესპანური თეატრიდან მონყვეტილად.

ბასკურს უნდა განეცადა კორეოვას ხალიფატის ისეთივე ბედავლენა, როგორც პირენეის სხვა ხალხებმა განიცადეს. ეს საკითხები საკმაოდ მცირე, მაგრამ საფუძვლიანი გამოკვლევებით არის წარმოდგენილი საბჭოთა მეცნიერებაში[1].

პროფ. ი. ფაბაიუამ საფრანგეთის და ესპანეთის ბასკონიიდან ჩამოიტანა უაღრესად საინტერესო ხალხური სიმღერების ჩანაწერები და ბასკური სიმღერების კრებული. მუსიკათმცოდნე ე.ნ. ნერეთლის მეშვეობით ჩვენც მივიღეთ ბეღვიიდან რამდენიმე ბასკური ხალხური სიმღერის ნიმუში. წინამდებარე ნაშრომი ამ მონაპოვრებს ემყარება. ბასკური ტექსტები ესპანური თარგმანების დახმარებით ქართულ ენაზე გადმოთარგმნეს პროფ. ი. ფაბაიუამ და ისტორიის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელმა ბ. ციორგაძემ, ხოლო ბასკური ტექსტები გერმანული თარგმანების მიხედვით ვთარგმნეთ ჩვენ. ფოტომასალა დაამუშავა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელმა ო. გვილავამ.

ბასკური, ესპანური, კატალონური, ისევე როგორც ფრანგული, იტალიური და სლავი ხალხის ერთხმიანი თუ მრავალხმიანი, პროფესიონალური თუ არაპროფესიონალური მუსიკა ხმათა მოძრაობისა და ვერტიკალური განფენილობის დროს ეფუძნება ტერცია-სექსტურ თანაფარდობას, მაშინ როდესაც ქართულისა და ბიზანტიურისათვის ამოსავალია კვარტა-კვინტური საფუძველი; მეორე მხრივ, გათვალისწინებულია ისტორიული პროცესები, რომელთა გავლენასაც განიცდიდა ესპანური ცივილიზაცია და რომელსაც შეეძლო ასიმილირება მოჰყოლოდა წინარეპირენეული მოსახლეობის: ესაა - ძველი ფინიკური, ბერძნული, რომაული, ჩრ. საფრანგეთის არალიტურგიკული და ლი-

---

1 С.Мокульский,Хрестоматия по истории западноевропейского театра, т.1,М.,1953,с.257-379.

ტურგიკული საკულტო ჟანრების, ლათინური ფსალმოდიის და საგოგადოდ ლიტურგიკის, ბოგადრაინდული, ტრუბადურული და ტრუვერული ცივილიზაციის, მაღალ ჟანრების, შესრულების ტრადიციების გადმონერგვა, აღმოსავლეთის - რომის, ბიზანტიის ბეგავლენა, არაბეთის - კორდოვის ხალიფატის მაღალი კულტურა, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე ბატონობდა აღმოსავლურ სამყაროსა და სამხრეთ ევროპის ტერიტორიებზე: (სიცილია, პირენეის ნახევარკუნძული, კრეტე...); ამ გავლენებს იგზიტების "განიქმული" ქვეყანაში არ შეეძლო უკვალოდ ჩავლილ და თავისი შედეგი არ მოჰყოლოდა.

მეორე მხრივ ფაქტია, რომ თვით ესპანეთის სხვადასხვა პროვინციაში შემორჩენილია მრავალხმიანი ხალხური სიმღერების ნიმუშები და აგრეთვე სანტიაგო დე-კომპოსტელა ევროპაში ითვლება პროფესიონალური მრავალხმიანობის ერთ-ერთ უძველეს და მთავარ ცენტრად.

ისმის კითხვა, რის ნიადაგზე აღმოცენდა პროფესიონალური მრავალხმიანობა: თვით ადგილობრივზე, თუ სხვა ქვეყნებში შემუშავებული მრავალხმიანობის ჟანრების და ფორმების ბეგავლენა-შემოტანის მეთხებით. ეფიქრობთ, რომ აქ არსებითია ადგილობრივი მრავალხმიანი ბაგისი, ხოლო ათვისებული მრავალხმიანი ფორმები ბეერნაშენია, რომლებიც განვითარდნენ ადგილობრივ ნიადაგზე.

ჩვენ ხელთ გვაქვს მუსიკათმცოდნე ე. წერეთლის მიერ გამოგზავნილი და ჩვენ მიერ გამოუკიდებლად შეკრებილი X-XIII საუკუნის მუსიკალური ნიმუშების სანოტო და ფონო ჩანაწერები, აგრეთვე ადამ დე ჰალის ფირფიტები "Dieu comment porroie","Si dous regars de ma dame","O Dieu comment amouretes", კონდუქტუსი "Veris ad Imperia", XIII საუკუნის კონდუქტუსი - "O Maria Virgo pia","A la Charté","Son me regarde", "In saeculum viellatoris", ლეონინის "Deum Time..., დაახლოებით 70-მდე ნიმუში, რომლის ძვ. ქართულ მუსიკასთან შედარებას გამოცემას ვფიქრობთ; ვუდარებთ მაგ ესპანურ უძველეს ნიმუშებს და წყობის მიხედვით ვერ ვხედავთ საერთოს[1].

---

1 მუსიკალური ფორმების შესახებ იხილეთ: Fr.Gennrich,Grundri: einer Formenlehre des mittelalterlichen Liedes,Halle,1932.

ცნობილია, რომ ბრიტანეთის კუნძულების არქაული მოსახლეობას უკავშირებენ ძველ ესპანელ იბერიელებს, განსაკუთრებით ჩრდილოეთით მცხოვრებ წინარეშოტლანდიურ ფენას. ევროპაში უძველესი დროიდანვე არსებობს ცნობები მრავალხმიანი სიმღერების შესახებ. ასეთი სიმღერები გავრცელებულია მეტწილად პიქტებთან. ამ ფაქტზე ჩვენ ყურადღება გაგვამახვილებინა გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორმა ფრედერიკ რიმერმა (1974 წლის გლაზგოში ყოფნის დროს), მანვე გამოგვიგზავნა თავისი საინტერესო მონოგრაფია "შოტლანდიური მუსიკის ისტორია"[1]. შოტლანდიური მუსიკის შესახებ არსებობს საყურადღებო მონოგრაფიები[2], რომლის გარკვეული ნაწილიც დაცულია მოსკოვში, ლენინის სახ. ბიბლიოთეკაში. ფრ. რიმერის მონოგრაფიის მე-14, 16, 17, 18, 23-ე, 31, 37, 49, 50-ე გვერდებზე წარმოდგენილ პოლიფონიურ ნიმუშებში ვხვდებით ოქტავურ და სექსტურ პარალელიზმებს, მარტივ იმიტაციურ ფორმებს. უფრო მოგვიანო ხანებში კი, ბევრად უფრო განვითარებული მრავალხმიანობას იგივე საფუძველი აქვს, რაც ესპანურს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის ხალხების შინაგან ურთიერთობაში უფრო მეტი ურთიერთგანვლენები უნდა ვეძებოთ, ვიდრე მის გარეთ. ამ ხალხებს გააჩნიათ მაღალტრადიციული თვითმყოფადობა, კონსერვატიულობა; შემოქმედი კულტურა განიცდის მძლავრ აღგილობრივ ასიმილირებას და იღებს დამოუკიდებელ სახეს.

ჩვენს თავზე ვიღებთ ძველი ესპანური, იბერიული და ბრიტანული მუსიკალური ნიმუშების გაანალიზებას და მათი ისტორიის კვლევას, მაგრამ არ შეიძლება ბოლამდე მაინც არ მივუთითოთ ზემოთ მოყვანილი მიმართებათა შესახებ გავრცელებული ჰიპოთეზაზე.

ის ვინც ქართული მუსიკას იკვლევს, გვერდს ვერ აუვლის სამი ძირითადი საკითხის განხილვას: 1. ქართული მუსიკის მიმართებას იბერიულ-კავკასიურ სამყაროსთან, 2. გენეტიკური მიმართების პრობლემათა გან-

---

I Kenneth Elliot and Frederick Rimmer, A History of Scottish Music, London, 1973.

2 H.G.Farmer, A History of Music in Scotland, London, 1947; H.N.Shire, Song, Dance and Poetry of the Court of Scotland under King James VI, Cambridge, 1969; D.Johnson, Music and Society in Lowland Scotland in the Eighteenth Century, London, 1972.

ხილვას ძველი აღმოსავლეთის უძველეს ცივილიზებულ ქვეყნებთან(შუმერები, პროტოხეთები, ხურიტები, ურარტელები...) 3. ქართველ-ბასკური მიმართების ჰიპოთეზას. ამ სამი პრობლემიდან მეორე და მესამე საკითხი შესწავლილი გვაქვს. თუ კი ჩვენ ვეხებით ბასკებთან და უფრო ზუსტად პირენეის იბერიასთან საქართველოს იბერიის მიმართების პრობლემას, გამოვლენილი მხოლოდ და მხოლოდ ქართული მუსიკის შესწავლილან. ჩვენი გამოკვლევა რამდენიმე ათეული წლების მანძილზე გრძელდება და ვფიქრობთ, მივაღწიეთ გარკვეულ საყურადღებო შედეგებს. ყველაფერი, რაც მიღწეულია შემოხვევითობით არ აიხსნება, ეს პრობლემა რთულია და რაც უფრო ღრმად იყრებით მასში, მით უფრო რთული და მიმზიდველია იგი, რადგან მრავალ ჰიპოთეზას უჩნდება თავისი ახსნა.

ბასკეთი და ბასკები

"შენი ხმა მესმის ჩაბნეული შენივ კვნესაში,
ხმა - ადამის დანიდ დასერილი,
ხმა წამებისავი..."

ფრიდრიხ ხალვაში

საკმარისია იფქვას "ბასკები" და უკვე ისმება კითხვა: ვინ არიან ისინი; საიდან მოვიდნენ იმ ტერიტორიაზე, სადაც ამჟამად ცხოვრობენ? რომელ ენაზა ოჯახს ეკუთვნის ბასკური ენა; აქვთ თუ არა ბასკებსა და ბასკურ ენას კავშირი ქართველურ ტომებსა და ქართველურ ენებთან? და მრავალი სხვა.

ბასკების საიდუმლოების საკითხი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა სწავლულთა შორის. ამის მიზეზი, ჯერ ერთი, ის იყო, რომ ბასკეთი, ბასკური ენა ყოველთვის წარმოადგენდა პატარა კუნძულს ევროპაში დიდ ქვეყნებსა და ენებს შორის და განსხვავებული მაგალითია. მეორე, ბასკებს განიხილავენ, როგორც პირენეის (იბერიის) ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იბერთა მონათესავე ტომს. ისტორიაში ცნობილია ორი იბერია: იბერია აღმოსავლეთში, კავკასიაში, დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე და იბერია დასავლეთში, იბერიის (დღეს პირენეის) ნახევარკუნძულზე, დღევანდელი ესპანეთის ტერიტორიაზე.

დიდ ინტერესს იწვევს ის ფაქტიც, რომ ბასკებმა, ამ პატარა ერმა, ტმირული ბრძოლის შედეგად საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნეს საკუთარი ენა, ზნე-ჩვეულებები, კულტურა. ისინი ყოველთვის მამაცურად იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის.

ბასკები თავის ენას "ეუსკარას" ("ეუსკერას") უწოდებენ, თავის თავს - "ეუსკალდუნს", თავის ქვეყანას კი "ეუსკალ ჰერიას". ბასკურად "ჰერი" (ერი) ქვეყანას, ხალხს, ნიშნავს.

მსოფლიოში ორი იბერიის არსებობა და ისიც ერთმანეთისაგან ასე დაშორებულად, ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. ძალიან ადრეული რჩებოდა საკითხი: სად იყო იბერიელ ტომთა პირველი საცხოვრებელი ადგილი? დასავლეთში, თუ აღმოსავლეთში?

მარკუს ვარონი (ძვ.წ. 68 წ.)-პომპეუსის ელჩი ესპანეთში, აპიანე, ფლ. დიურკო, დე-მორგანი, ა. დორინგი და სხვ. იბერიელ ტომთა თავდაპირველ სამშობლოდ მცირე აზიას, კავკასიას მიიჩნევენენ. მათი აზრით, იბერიელ ტომთა ერთი ნაწილი კავკასიიდან, მცირე აზიიდან ბოლოთ წავიდა, მიაღწია დღევანდელ პირენეის ნახევარკუნძულის ტერიტორიას, იქ დამკვიდრდა და ამ ადგილს უწოდა იმ ქვეყნის სახელი, საიდანაც წამოვიდა ე.ი. "იბერია". "ესპანეთის იბერები წარმოშობით აზიის იბერიიდან არიან"[1] - წერდა პლინიუს უმცროსი (ახ.ს. 62-114 წწ.).

სტრაბონი, დიონისიოსი, სოკრატე სქოლასტიკოსი და სხვანი პირიქით ფიქრობდნენ, რომ იბერები კავკასიაში დასავლეთიდან მოვიდნენ. ჯერჯერობით ამ საკითხზე ერთიანი აზრი არ არსებობს. ბასკოლოგი ფილიპ ვეირინი 1957 წელს წერდა: "ლინგვისტები პოულობენ ბასკურსა და კავკასიის დღევანდელ ცოცხალ ენებს შორის საერთოს, კერძოდ ფონეტიკაში, სიტყვების ძირებსა და გრამატიკულ სუფიქსებში. ისეთი ცნობილი სპეციალისტებისათვის, როგორიც არიან პროფესორი რენე ლაფონი და კარლ ბუდა, არსებობს საერთო ეუსკარო-კავკასიურს შორის, რომლის ერთ-ერთი შტო არის ბასკური. მათი აზრით ბასკები მოვიდნენ აზიიდან პირენეის ნახევარკუნძულზე ნეოლითის პერიოდში. აღვნიშნავთ, რომ ეს აზრი ამჟამად მეტად გავრცელებულია, თუმცა ჯერ არაა საყოველთაოდ აღიარებული[2].

დასავლეთის იბერიის შესახებ ქართულ წყაროებში ცნობები VIII-IX საუკუნეებში მოიპოვება[3]. X საუკუნეში ცნობილმა ქართველმა მწიგნობა-

---

I "Iberi populi Hispaniae ab Iberis Asiae orti sunt".

2 Philippe Veyrin, Les Basques, Arthaud, 1975, p.89.

3 იხ. რ.სირაძე, "ესპანეთის ქართველობა" უძველესი მოხსენიება ქართულ მწერლობაში, ჟურნ."მნათობი", 1971, №3, გვ.175; შ.ძიძიგური, ბასკები და ქართველები, თბ., 1978, გვ. 77-79.

რმა იოანე მოაწმინდელმა ქადაწყვიტა გამგზავრებულიყო ესპანეთში, რა-
თა ეხილა "ქარიზველნი არა მცირენი ნაოესავნი მუნ"[4].

ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარენმა 1673 წლის ოებერვალში, ქარიზლის მეფე ვახტანგ V-თან[5] სტუმრად ყოფნის დროს, პირველად შეიტყო აღმოსავლელ და დასავლელ იბერიელთა ნათესაობის შესახებ. ჟან შარენი წერს: "გამომშვიდობებისას, მან (ვახტანგ V-მ. - ი.ფ.) მკითხა, როგორ ბრძანდებაო ჩემი ნათესავი, ესპანეთის მეფე და ძვირფასი ქვეყნის მორწმუნე თასით შესვა მისი სადღეგრძელო". შემდეგ ჟ. - შარენი წერს: "... დიდხანს ვიფიქრე იმის შესახებ, თუ რანაირად უნდა ყოფილიყო მთავარი (მეფე ვახტანგი - ი.ფ.) ესპანეთის მეფის ნათესავი და მივხვდი, რომ ეს მრავალი ალეორის აგრს ეთანხმებოდა"[6].

ჟან შარენი მიუთითებს იმაზე, რომ 'რომის პაპი[7] დასავლეთის იბერიისაგან განსხვავებით, ქარიზლის მეფეს მიმართავდა, როგორც "აგრის იბერიის მეფეს" ან "იბერიის მეფეს".

პირენეის იბერებს ძვ.წ. VIII-V სს. მაღალი კულტურა შეუქმნიათ. ამ დროს მათი კულტურა მოიცავდა არა მარტო იბერიის ნახევარკუნძულს, არამედ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონებს (სარდინია, იტალიის ზოგიერთი რაიონი), ჩრდილოეთ აფრიკას, ხოლო დასავლეთით - კანარიის კუნძულებს და ბრიტანეთის კუნძულების ზოგიერთ რაიონს.

---

4 იხ. შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 80; ი. ფაბიუა, ბასკები: ლეგენდები და ფაქტები, თბ., 1979, გვ. 47-48.

5 ჟ. შარენი მიიღო ქარიზლის მეფემ ვახტანგ V-მ (1658-1675) და არა თეიმურაზ I-მა, რომელიც ამ დროს უკვე ათი წლის გარდაცვლილი იყო (იგი შაჰ აბას II-ის მიერ ასტრაბადის ციხეში გამომწყვდეული 1663 წ. გარდაიცვალა).

6 იხ. ჟან შარენი, მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ), ფრანგულიდან თარგმნა გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მგზავ მგალობლიშვილმა, თბ.,1975,გვ.349.

7 აქ იგულისხმება პაპი ურბან VIII და არა კლიმენტი VIII, ჩვენ გვაქვს ევროპის არქივებიდან ჩამოტანილი სხვა დოკუმენტებიც, სადაც ქარიზლის მეფე "იბერიის მეფედაა" მოხსენიებული.

დღევანდელი ბასკები დასავლეთის, პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებ იბერიელთა შთამომავლები არიან. ბასკური ენა იმ ენასთანაა დაკავშირებული, რომელ ენაზეც პირინეის იბერიელები ლაპარაკობდნენ. ცნობილი ფრანგი ბასკოლოგ-კავკასიოლოგი, ბბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი პროფ. რ. ლაფონი წერდა: "ბასკური ენა ერთადერთი ცოცხალი ენაა დასავლეთ ევროპაში, რომელიც ინდოევროპულ ენათა ოჯახს არ განეკუთვნება, და ერთადერთი გადარჩენილი ენაა იმ ენათაგან, რომლებზეაც სამხრეთ გალიასა და იბერიის ნახევარკუნძულზე ინდოევროპულ ტომთა შემოსვლამდე ლაპარაკობდნენ".

"ბასკური ენა, - წერს ნორვეგიელი ქართველოლოგი, ბბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფ. ჰანს ფოგტი,—იბერიულ-ბასკური საიმუმლოების ერთადერთი გასაღებია. ბასკური ენა თუ გაქრა, მომავალი თაობები დაკარგავენ საუნჯეს, რომელიც უძველესი დროის მრავალი საიდუმლოს გასაღებს ინახავს".

ბასკურ ენას ფლობენ იმ 14 ენათაგან ერთ-ერთად, რომელიც ლათინურმა ენამ ვერ მოშალა. "ბასკურის მსგავსებამ" ძველ და ახალ ლათინურ ენებთან (არანაკლებ ორი ათასი წლის განმავლობაში) ვერ დაუნათესავა ბასკური ენა ესპანურსა და ფრანგულს" - წერს აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა.

კავკასიურ ენებთან ბასკურის ნათესაობის შესაძლებლობის შესახებ აგრი პირველად ჯერ კიდევ XVI საუკუნეში გამოთქვა. აქედან მოყოლებული ბევრი უცხოელი მეცნიერი (ვ.ჰუმბოლდტი, ჰ. შუხარდტი, ა. ტრომბეტი, ი. კარსტი, კ. ჯეფბეკი, ე. დიუმეზილი, კ. ბოუდა, რ. ლაფონი, ე.ალიერი, კ. მიჩელენა, შ. კინტანა, ი. ბრაუნი და სხვ.) ბასკური ენის კავშირს კავკასიურთან ქართველური ენების გვით ეძიებს.

იბერიულ-კავკასიურ ენებთან ბასკური ენის ნათესაობის სასარგებლოდ ბნიშვნელოვანი მოსაგრება გამოთქვეს საბჭოთა მეცნიერებმა - ნ. მარმა, ვ. შიბმარიოვმა, არნ. ჩიქობავამ, შ. ძიძიგურმა, ი. გიცარმა და სხვ.

ესპანელი მეცნიერი პროფ. ანტონიო ტოვანი (Antonio Tovar) წერს:



ბასკური ოჯახი

"დღეს უკვე შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საყოველთაოდ მისაღებ ყოფმარიტებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არსებითი და ტიპობრივი მახასიათებლების და ლექსიკის ბევრი ელემენტის მიხედვით ბასკური მსგავსია რთული შემადგენლობის კავკასიური ჯგუფისა, რაც გვავარაუდებინებს ძალზე შორეულ ნათესაობას, რომელიც, აღბათ, რამდენიმე ათასწლეულის წინანადელი წარსულიდან მომდინარეობს"[8].

ბასკურ ენას უპირებენ არა მარტო იბერიულ-კავკასიურ ენებს, არამედ, ზოგი ავტორი ბასკურის ნათესაობას ეძებს ურალურ-ალთაურ და ჩრდილოეთ ციმბირის ძველ ენებთან (მაგალითად, ჩუქჩების ენასთან), აფრიკის ქამიტურ ენებთან.

ამასთან დაკავშირებით აკად. არნ. ჩიქობავა სრულიად სამართლიანად სვამს საკითხს: "შეიძლება ბასკური ყველა ამ ენის მონათესავე იყოს? შეიძლება, თუ კი ყველა ამ ენას ერთმანეთის მონათესავედ მივიჩნევდით, მაგრამ ასეთ რასმე საფანარო ავტორთაგან არავინ ამტკიცებს"[9]. და იქვე დასძენს: „ბასკურის ჩათვლის საკითხი რომ ტაირკვეს, საჭიროა ენათა ნ ა თ ე ს ა ო ბ ი ს საკითხი ე რ თ ნ ა ი რ ა დ ესმოდეს მკვლევრებს... საჭიროა იფიქრას ისიც, თუ რას ნიშნავს მონათესავე ენა და რაა საჭირო, რომ ვირწმუნოთ ენათა ნათესაობა."

აკად. არნ. ჩიქობავა მიუთითებს იმ პრობლემებზე, რომლებსაც უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება იმათ, ვინც სხვა ენებთან ბასკურის ურთიერთობას სწავლობენ. ც ა ლ კ ე უ ლ ი ნიშნები ერთ ენას შეიძლება სულ სხვადასხვა ენასთან საერთო ჰქონდეს და ეს არაა განსაკუთრებული რამ, მაგრამ სტრუქტურული ნიშანთა კ ო მ პ ლ ე ქ ს ი ისტორიულ-ტენეტიკური ურთიერთობის საკითხს აღძრავს. "და ამ მხრივ ბასკურთან სიახლოვეს ყვე-

---

8 იხ. ანტონიო ტოვარი, ბასკური ენა, ავტორიზებული ინგლისური თარგმანიდან თარგმნა ნათელა სტურუამ. არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი, 1960, გვ. 33.

9 იქვე, გვ. 9.

ლაგე მეტად იბერიულ-კავკასიური ენები ამჟღავნებენ.

რიგი საერთო სტრუქტურული მოვლენა იქცევს ამთავითვე ყურადღებას; ასეთია, მაგალითად:

1. პოსტპოზიციური მსაგებელი (არტიკული) და მისი მიმართება ბრუნვის ფორმასთან და ბ რ უ ნ ე ბ ი ს პ რ ო ც ე ს თ ა ნ. აქ ქართულისა და აღიღური ენების ჩვენება იქცევს ყურადღებას, პირველ ყოვლისა...

2. ერგატიული ბრუნვის წარმოება და ერგატივის ადგილი ბრუნვის სისტემაში – სხვადასხვა კატეგორიის სახელებში (ეს ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას ეხება, სადაც კი ბრუნება გვაქვს).

3. გმნის უღვლილების პრინციპები – კლასოვანი, კლასოვან-პიროვანი და პიროვანი უღვლილება (სხვადასხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში).

4. ობიექტისა და სუბიექტის აღნიშვნა გარდამავალ გმნაში (უღვლილების ტიპებთან დაკავშირებით).

5. ორგანული და აღწერითი (პერიფრასტიკული) წარმოების ხვედრითი წონა გმნის უღვლილებაში (ლაკურში, ჩანურში, ქართულში, აფხაზურში, აღიღურ ენებში).

6. გმნის ფუძის სახელური ბუნება და ამისი გამოვლენა სხვადასხვა ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენებში.

7. გვარის კატეგორიის საკითხი სხვადასხვა ჯგუფის იბერიულ-კავკასიურ ენათა გმნაში.

8. ერგატიული კონსტრუქცია და მისი გამოყენების არეალი.

9. სახელთა გრამატიკული კლასის კატეგორია და სემანტიკური კატეგორია (ვინ? რა?); მორფოლოგიური და სემანტიკური კატეგორიის ურთიერთობა; თანამედროვე ვითარება და ისტორიული წარმოქმნა-განვითარება.

10. სახელთა გრამატიკული კლასის კატეგორიის ქონა-არქონა და მისი მიმართება საქმეთა თუ ცოცხალ-არაცოცხალის კატეგორიათა გარჩევასთან.

ყველა ამ საკითხში ბასკური ენის სისტემა ეხმაურება იბერიულ-კავ-

კასიურ ენათა სისტემას" - დაასკვნის აკად. არნ ჩიქობავა[10].

ამასთანავე, აკად. არნ. ჩიქობავა აუცილებლად თვლის ბასკური ენათმეცნიერების სპეციალისტთა და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების სპეციალისტთა თანამშრომლობას და ბასკურ-კავკასიური ენობრივი ურთიერთობის მეცნიერული კვლევას.

და ბოლოს, აკად. არნ. ჩიქობავა წერს: "კ ა ვ კ ა ს ი ო ლ ო გ ე ბ მ ა უნდა ი ს წ ა ვ ლ ო ნ ბ ა ს კ უ რ ი, რომ ბასკური ენის მინაკანი წყობა, მისი მინაფორმა და ფსიქოლოგია გაიგონ და შეიგრძნონ.

ბასკოლოგებმა კიდევ ჩაიხედონ ი ბ ე რ ი უ ლ-კ ა ვ კ ა ს ი უ რ ე ნ ა თ ა ი ს ტ ო რ ი ა შ ი.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივაღწიოთ მტკიცე წარმატებებს ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზის მეტად რ თ უ ლ და მეცნიერულად დ ი დ ა დ მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ პ რ ო ბ ლ ე მ ა თ ა კ ვ ლ ე ვ ი - ს ა ს"[11].

თანამედროვე ბასკეთი შედგება შვიდი პროვინციისაგან, რომელთაგან ოთხი ჩრდილოეთ ესპანეთშია, ხოლო სამი - სამხრეთ საფრანგეთში.

ჩრდილოეთ ესპანეთში ბასკების ქვეყანა მოიცავს ოთხ პროვინციას. ესენია: ბისკაი - დედაქალაქი ბილბაო (ბასკურად ბილბო); ალავა (არაბა) - დედაქალაქი ვიქტორია (ბასკური სახელწოდება, გასტეისი); გიპუსკოა - დედაქალაქი სან-სებასტიანი (ბასკური სახელწოდება: დონოსტია); ნავარა (ნაპარა, ნაპარია) - დედაქალაქი პამპლონა (ბასკური სახელწოდება: ირუნია).

სამხრეთ საფრანგეთში ბასკებს უკავიათ სამი პროვინცია: ლაბურდი (ლაპურდი) - დედაქალაქი უსტარიცი (უსტაიცე); ქვემო ნავარა (ბანაპარია) - დედაქალაქი სენ-ჟან-პიე-დე პორი (დონიბანე გარასი); სული (სიბერო, შუბეროო) - დედაქალაქი მაულეონ-ლიბაროე (მაულე, ლაიმტარე).

---

10 იქვე, გვ. 13-14.

11 იქვე, გვ. 15.



ბასკური სახლი

საფუძვლიე ბასკურ ოჯახში

ორივე ბასკეთის ტერიტორია 20685 კვ. კმ შეადგენს, ხოლო მოსახლეობა – დაახლოებით 2510 ათასს. მაგრამ არ არსებობს ბუსტი ცნობა იმისა, თუ რამდენია აქედან ბასკი. ორივე ბასკეთში ბასკურად ლაპარაკობს მხოლოდ 600 ათასი კაცი, ხოლო ასი ათასამდე ბავშვი კერძო დაწყებით სკოლებში ეუფლება დედაენას. გარდა ამისა, ათეული ათასობით ბასკი, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზების გამო არ იციან მშობლიური ენა, ამჟამად ძალმოდებულნი ეუფლებიან მას. ბევრმა ბასკმა იცის ბასკური ენა, მაგრამ წერა-კითხვა არ იცის. ახლა ეს ნაწილიც ეუფლება წერა-კითხვას.

ამრიგად, უკანასკნელ პერიოდში ბასკებს შორის მშობლიური ენისა და წერა-კითხვის დაუფლებისადმი დიდმა ინტერესმა იჩინა თავი. "როგორ ბატონო, – მიმართა ბილბაოში ერთ-ერთმა ბასკმა იურისტმა ხოაკინ ლოპეს ლუუუდამ, – ამბობთ, რომ თქვენთან საქართველოში სწავლობენ ბასკურ ენას და სირცხვილი არ იქნება, რომ ჩვენ დედაენა არ ვიცოდეთ?"

წიგნები გამოდის ბასკურ ლიტერატურულ ენაზე. ჯერჯერობით იბეჭდება ორენოვანი (ესპანური და ბასკური) გაზეთები და ჟურნალები, მაგრამ არის ჟურნალ-გაზეთები მარტო ბასკურადაც.

საერთო გამომცემლობის საქმე კარგადაა დაყენებული ესპანეთის ბასკეთში. გამოდის დიდი ბასკური ენციკლოპედია, გამოსულია უკვე 10 ტომი:

"ბასკური მითოლოგიური ილუსტრირებული ლექსიკონი", "ბასკურ-ესპანურ-ფრანგული ლექსიკონი" (6 ტომი), "ბასკური ხალხური სიმღერები", "ბასკური ანთროპოლოგია", "ბასკეთის ისტორიულ-გეოგრაფიული სიტყვარი", "ბისკაის სამფლობელოს საერთო ისტორია", "ნავარას სამეფოს ანალები", "გიპუსკოას ისტორია", "ქალაქ ბილბაოს ისტორია" (4 ტომი), "ბასკური საუკეთესო ნოველები", "ბასკ ცნობილ პირთა ბიოგრაფიები" და სხვ.

ბასკურ ენას ჩვა დიალექტი ანალიზა, ამიტომ ბასკური სალიტერატურო ენიანი ენის ნორმების შემუშავებაზე მუშაობს ბასკური ენის სამეფო აკადემია ("ეუსკალიკაინდია"), რომელიც 1918 წელს შეიქმნა.

ბასკები თავისი სამშობლოს ორად გაყოფას (ესპანეთის ბასკეთად და

საფრანგეთის ბასკეთად) ბედის უკუმარჯობას მიაწერენ და თავიანთ ქვეყანას ერთიანად, განუყოფლად ფლიან. შვიდი პროვინციის ერთიანობაგე (ბასკურად "სასრიაკ ბათ" - ერთიანი შვიდეული) ისმის საუბარში, ლექსებში, სიმღერებში.

ქართველების მსგავსად ("ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო"), ბასკებიც თავისი სამშობლოს ერთიანობას უმღერიან. ასეთი ერთ-ერთი ლექსის ავტორია ბასკი პოეტი სალდუბი (Saldubi):

Hartz eder bat bada gure mendietan
zaspi adares dena zabaltzen airetan,
Frantzian,Espanian,bi alderdietan;
Lehen hiru ta han lau,bat da zaspietan.

ქართული თარგმანი ბნკარეიდან შესრულებულია ბ. გემაგაშვილის მიერ:

"ჩვენს მთებში ერთი მძლე მუხა დგას ტოტებაფრიალი,
სამი ტოტი აქვს საფრანგეთის ცაში გაშლილი,
ოთხი მძლე ტოტი უკავია მისი ესპანეთს
და ერთი ძირი აკავშირებს შვიდთავ ერთმანეთს".

სამშობლოსა და ეროვნისადმი უსაზღვრო სიყვარულია გამოხატული ორ ბასკურ ლექსში, პირველი ეკუთვნის პოეტ აჩობიას (Atchobia), მეორე - პოეტ ლისარდის (Lisardi):

Eztiz estitzeko,
Eskoz argitzeko,
Ezkuara gurea,
Ezkuara maitea.

ქართულად: "თაფლის სანთლებე უბრწყინვალესო,
და თვითონ თაფლზე უფრო უტკბესო,
უსაყვარლესო ჩვენო ენისკენო,
უსაყვარლესო ენავ ბასკურო".

და ბასკი. ბოეტის შაბიერ ლისარდის (გარდაიცვალა 1936 წელს) ლექსში "ყოველია ენა, რომლის ქარიული ბარგმანი ეკუთვნის გრეტა ჩანტლაძეს.

"ახლა მე, ო ძლიერის ენავ,
მინდიხარ ყოველ სულგმულია ენად,
შენ ცოდნის ფრთებით ასული ზეცას,
სხეულით ძველო, სულით ახალო,
კანით ყვითელო, ტვინით ცოცხალო!"

ამ სტრიქონებს ტვინდა შევუდარეთ ჩვენი სახელოვანი პოეტის, სოციალისტური შრომის გმირის პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის ლექსი "ხმა კატამონიან":

" - ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიყო
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ყირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვაოა და კირთა"...

1937 წელს, ესპანეთში რესპუბლიკური მმართველობის დროს, ესპანეთის ბასკებმა მიიღეს ავტონომია. მაგრამ როგორც კი ესპანეთში ფრანკოს დიქტატურა დამყარდა, ბასკების ავტონომია გააუქმეს. ფრანკისტებმა ბასკურ ენაზე ლაპარაკი აკრძალეს, ბასკურ ენაზე სწავლების შესახებ ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მიუხედავად ამისა, ფრანკოს ფაშისტურმა რეჟიმმა ვერ გასტეხა ბასკების პატრიოტული, გმირული სული.

1979 წელს ესპანეთის ბასკეთში მოეწყო რეფერენდუმი თვითმმართველობის მიღების შესახებ. თვითმმართველობის სტატუსს ხმა მისცა 91,6 პროცენტმა. ამრიგად, 1980 წელს ბასკებმა ავტონომიური თვითმმართველობა ("აუტონომი ესტატუტოა", "Autonomi Estatutoa") მიიღეს.

ბასკური პრობლემა - ბასკურ-ქარიული ურთიერთობის საკითხები - სულ უფრო აქტუალური ხდება როგორც საქართველოში, ისე ესპანეთისა, საფრან-

გეოსა და ევიდ ბასკეთში. ფარდოვდება კონტაქტები ბასკ, ფრანგ, ესპანელ და ქართველ სპეციალისტებს შორის. საფუძველი ეყრება მეცნიერთა ურთიერთგაცვლას.

ბასკურ-კავკასიური, ბასკურ-ქართული ურთიერთობის პრობლემებზე ორივე ბასკეთში მუშაობენ მეცნიერები: კ. მიჩელენა, შ. კინტანა, ა. ფოვარი, ხ. ლიცუნია, ჩილარეგი და სხვ. (ესპანეთში); ჟ. აღიჩელარი, ჟ. აღიერი და სხვ. (საფრანგეთში).

1976 წლის ივლისში საქართველოში ჩამოვიდა პროფესორი ლუი არამბურუ-აღტუნა (Luis Haramburu - Altuna) მეუღლიანერ (ქ.სან-სებასტიანიდან). მან დააფვალიერეს ფბილისის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ მცხეთაში, ბორში, ფასანაურში, ფალავში. პროფ. ლ. არამბურუ-აღტუნა აღფრთოვანებული დარჩა ნანახით და გადაცემული იმ მრავალი მსგავსებით, რომელიც, როგორც ფვითონ ამბობდა, არსებობდა საქართველოსა და ბასკეთს, ქართველებსა და ბასკებს შორის. მან ერთი კვირა გაატარეს საქართველოში: სწავლობენენ ქართულ სიმღერებს, ლექსებს, იწერდნენ ქართული სიტყვებს. სხვანაშორის, ისინი სწორედ წერდნენ და ადვილად გამოიქვამდნენ ქართულ სიტყვებს. უფროდ საქართველოსა და ქართველებისადმი დიდმა სიყვარულმა დააწერინა პროფ. ლ. არამბურუ-აღტუნას ლექსი, რომელშიც ავტორი მთელ გულითადობით და შინაგანი რწმენით მიმართავს მთელს საქართველოს.

Ilia M.TABAGUA lagunari

Hemen gara Tibilitzen
Georgia ezagutzen
anaien bila rusi-aldean
hemen gebiltzen.

Bi herrian arteko
lokarriak ugaritzen
benetan gu ez gaitu
ian honek nekatzen.

Isena du Ilia

Tabagua txit maitia

laguna dugu bihotzetikan

sotzen dugu guria.

Gausa berak lotzen gaitu

maite gudu aberria

sekulan ez da gure artean

sortuko asia.

Georgia eta Euskadik

badute aspaldidanik

lokarri sendo, garreman franko

antzinan galdurik.

Hori uste dugu

bainan ez da frogaturik

elkar lanean jakinen dugu

serbait argigorik.

Entzun zaidazu laguna

esan behar dizudana

bi herriak ezkontzeko

ba hator eguna.

gurtzen zaitut gaurkoan

eta badut itxaropena

urruti gabe Euskal-Herria

joango zerana.

Tibilitzen, 1976 ko ustailak 17.

Luis Haramburu-Altuna.

ქარდველ ძმას

მისმინე, ლაგუნა[1] ილია,
მისმინე, ძმაო.
რასაც აქ ვამბობ, ჩემს სისხლშია
ადასი წლობით:
არც სტუმარი ვარ აქ მე ახლა,
არც მეგობარი,
გადარეული ამ მდებით და
ამ მასპინძლობით.
არამედ ძმა ვარ,
განშორებული ვინ იცის როდის,
რომელ დელგამში ფირთა და მეხთა,
ის ძმა ვარ,
ახლა კვლავ ძმას რომ შეხვდა.
ვუცქერ შენ მხარეს, როგორც საკუთარს,
მე მთაწმინდაზე ამაღლებული,
ფიფქოს ის ჩემი – იბერიის მთა
შენს იბერიის მთას ერწყმის გული.
მე აქ მოვედი, რომ გამეგონა
მრავალხმიანი ფქვენი ჰანგები.
ეს ის ხმებია, დედის ბაგეთგან
რომ წამომყვა და არ ვიკარგები.
რა საიუბილო ჩაგიმალავს,
ფქვი, საქართველო, საამური.
ერთგვარ სახელებს, ერთგვარ სისხლისღვრას
გადურჩენიხარ, ეუსკადია – საქართველოვ, –

---

1 ლაგუნა (ბასკ.) – მეგობარი, ამხანაგი.

ტარდეციო პეროტის საფამაშო მოედანი

ჩემო მამული!

ტყვიით და სისხლით

მოხნულ-მორწყული,

ვერ წარიტაცა შენი და ჩემი

მინა ვერავინ.

აღბათ, ამიტომ ჰგვანან ერთმანეთს

ჩვენი თავთავი, ჩვენი მტევანი.

მისმინე, ლაგუნა ილია,

მისმინე ძმაო.

მოვსულვარ შენთან,

გაწმორებული ვინ იცის რიგის,

რომელ დელგმაში

ყირია და მეხთა,

მე ძმა ვარ,

ახლა კვლავ ძმას რომ შეხვდა.

თარგმნა ფრიდონ ხალვაშმა[1]

ლუის არამბურუ-ალტუნას ამ ლექსის რუსული ვარიანტი მწერალმა ალ. კიკნაძემ გამოაქვეყნა მოსკოვში:

Луис Арамбуру

БРАТУ

Это стихотворение написал в дни пребывания в Грузии баскский поэт и публицист Луис Арамбуру. Оно посвящено советскому профессору Илье Табагуа, автору работ о проблеме баскско-кавказского родства.

Послушай, лагуна[2] Илья, послушай,

---

1 იხ. ფრიდონ ხალვაში, ხმა ნაფესავი, გაზ. "კომუნისტი", 1978 წ. 22 იანვარი;
ფრიდონ ხალვაში, ასი მზე ედების გულისა, ბათუმი, 1979, გვ.98-99;

2 Лагуна /баск./ - приятель, друг.

Что хочу сказать я тебе
Не как гость ослепленный грузинским вниманием,
Не как друг, а как брат,
Брата нашедший после долгой разлуки
И сердцем приникший к нему.

Я приехал к тебе, в этот край многозвонный,
Чтобы услышать напевы,
Знакомые с детства,
И слова, что шептали когда-то
Уста материнские мне.

Я приехал к тебе, в этот край доброликий,
Чтобы с вершины Мтацминда[1]
Увидеть в лиловой дали,
Где смыкается небо с землею,
Истоки дороги
К моим горам Иберийским
О гор Иберийских твоих.

Что за тайна в тебе, Сакартвело,
Древнее Сакартвело?

Многих друзей имела,
С врагами сражалась одна,
Эускадиа-Сакартвело[2],
Отчая сторона.
Длинных бед вереница,
Удары мечей.
И кровь одна на полях - твоих и моих.

---

1 Мтацминда - гора над Тбилиси.

2 Эускадиа - Земля басков; Сакартвело - Грузия.

Не потому ль,
Не потому ль так похожа пшеница,
Колосящаяся на них?
Сердцем откройся, лагуна Илья,
Этим стихам, сердцем откройся!

Перевод А.Кикнадзе[1]

1977 წლის 3 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა ბასკების მეგობარია საგზაურების თავმჯდომარე, ესპანეთის კორტესის (პარლამენტი) სოფილი დეპუტატი დოქტორ მანუელ დე არანეგი (Dr.Manuel de Aranegui). *მას ახლდა მეუღლე მირენა დე არანეგი* (Maren S.de Aranegui), *ჟურნალისტი, პარლამენტთაშორისო კავშირის ესპანეთის ჯგუფის აღმასრულებელი მდივანი. ერთვნებით ორივე ბასკი.*

დოქტ. მ.დე არანეგი უკვე სამჯერ იყო საბჭოთა კავშირში, საქართველოში კი ცოლ-ქმარი პირველად იყვნენ. ისინი ორი კვირით სოფიაში ყოფილან და სპეციალურად, საკუთარი ხარჯებით, საქართველოში ჩამოვიდნენ, რათა თვალის ერთი გადაკვლევით მაინც ენახათ ეს ქვეყანა. თბილისიდან ისინი კვლავ სოფიაში დაბრუნდნენ.

დოქტ. მ.დე არანეგიმ მადრიდსა და ვიტორიაში (აღმავას პროვინციის დედაქალაქი) მოანყო საღამო თემაზე: "ბასკები და ქართველები"; მადრიდში-კონფერენცია თემაზე: "იბერები და ბასკები". ამ კონფერენციის მუშაობაში ბევრი ესპანელი და ბასკი სპეციალისტი მონაწილეობდა. ამასთანავე, მ.დე არანეგი სისტემატურად ბეჭდავდა სტატიებს საქართველოზე, ქართულ კულტურაზე, ქართულ დამწერლობაზე. მას მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა მწერალ ალ. კიკნაძესთან და მისგან საჭირო მასალებს ღებულობდა.

მართალია, სტუმრები თბილისში მხოლოდ ორიდღეს იყვნენ, მაგრამ დროის მაქსიმალურად გამოყენებით დაათვალიერეს ქალაქი, საქართველოს

---

1 См."Наука и жизнь",1980,№3,с.77.

პროფ. რ. ლაფონი და მისი მეუღლე ქარდველი
სნაველუნდა მორის

ხელოვნების მუზეუმში, სახელმწიფო უნივერსიტეტი (შეხვდნენ რექტორ პროფ. ე. ჩხიკვიშვილს), კინოსტუდიაში ნახეს დოკუმენტური ფილმები საქართველოზე, იყვნენ მცხეთაში.

ბასკურ-ქართული ურთიერთობის შესწავლის დარგში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს საქართველოში: გამოქვეყნებულია შრომები[10], მუშაობენ ბასკურ პრობლემებზე; ბასკურ-ქართული ურთიერთობაზე სისტემატურად კითხულობენ ლექციებს - შ. ძიძიგური, გ. ჩანგლაძე, ი. ფაბაღუა.

1977 წლის ივლისში ბასკური ენის საშეფო აკადემიის (ბილბაო) მიწვეით ესპანეთში, კერძოდ, ესპანეთის ბასკეთში იმყოფებოდა საბჭოთა სამეცნიერო დელეგაცია (აკადემიკოსი შ. ძიძიგური, პროფ. ი. ფაბაღუა, ვ. ბონდარენკო). ეს იყო საბჭოთა მეცნიერების პირველი დელეგაცია, რომლის მიზანს შეადგენდა არა მარტო ბასკ და ესპანელ მეცნიერებთან კონტაქტის დამყარება, არამედ ესპანელი და ბასკი მეცნიერების უშუალოდ გაცნობა, მათთვის იმის გაგიარება, თუ რა კეთდება საქართველოში ბასკოლოგიის დარგში.

ჩვენი იქ სტუმრობის პერიოდში ბასკური ენის სამეფო აკადემია არ წარმოადგენდა სახელმწიფოს ხარჯზე მყოფ ორგანიზაციას. ამიტომ ჩვენი დელეგაციის მიწვევისა და ესპანეთ-ბასკეთში მისი ყოფნის ხარჯები თავის თავზე აიღო ესპანეთის ფირმამ "სიეკს. ს.ს." C.I.E.X.S.A." - "შერეული საგარეო გენერალური კომპანია. ანონიმური საზოგადოება". გენერალური დირექტორი ბასკი პედრო დე უსია - Pedro de Ussia.

---

10 იხ. ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა. აკად. არნ. ჩიქობავას წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბილისი, 1976. მასში მოთავსებულია: რენე ლაფონი, ბასკური ენა; მისივე, ბასკური ენა და კავკასიური ენათმეცნიერება; არნ.ჩიქობავა, ბასკოლოგ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი და იბერიული-კავკასიური ენათმეცნიერების მორიგი ამოცანები. იხ. ასევე: შ.ძიძიგური, მოგზაურობა ბასკეთში, თბ., 1977; მისივე, ბასკები და ქართველები, თბ., 1978 (დარგმნილია ესპანურ ენაზე); ი.ფაბაღუა,ბასკები: ლეგენდები და ფაქტები,თბ., 1979; შ.ძიძიგური, ბასკურ-კავკასიური პრობლემები, თბ., 1981 და სხვ.

დელეგაციის წევრებმა მადრიდის აეროპორტზევე ეიგრძენიო მასპინ-ძლების ყურადღება. აქ დაგხვდნენ საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები (მაო შორის ჩვენი თანამემამულე ვ. ლონდაძე) და ბემოხსენებული ფირმის წარმომადგენლები. სასტუმროში მონყობის შემდეგ, იმავე საღამოს, ფირმის პრეზიდენტმა პედრო დე ურსიამ საბჭოთა დელეგაციას სპეციალუ-რი მიღება მოუწყო. მიღებას ესწრებოდნენ ესპანელი და ბასკი ოფიციალური პირები, პრესის წარმომადგენლები, ესპანეთში სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლები (ი. სმირნოვი, ი. ივანოვი, ვ. ლონდაძე. იმ პერიოდში იქ მყოფი საბჭოთა მწერალი ი. სემიონოვი) და სხვ. პრესის წარმომადგენლებმა არ დაასვენეს და საბჭოთა დელეგაციისაგან აიღეს ინტერვიუ ესპანეთში მეცნიერების დელეგაციის ჩასვლის მიზნების შესახებ.

ესპანეთ-ბასკეთში ყოფნის პერიოდში საბჭოთა დელეგაციას მუდამ ახლდნენ ბემოხსენებული ფირმის წარმომადგენლები: ხუან გარიგესი (Juan Gariguez), ხოსე ანტონიო მარტინი აღონსო-მარტინესი, როსენდო ე. ჩავარია, აღფონსო დე ურსია (Alfonso de Ussia), ფირმის პრეზიდენ-ტის უმცროსი ძმა), ანტონიო გონსალესი (Antonio Gonsalez), ხუანა პივის კარპალო (Juana Pivis Carpallo), ხოსე გარსია, ხოსე მ. დე ინჩაურაგა (José M.de Inchaurraga) და სხვ.

მადრიდში საბჭოთა დელეგაცია შეხვდა ესპანეთის სამეფო აკადემიის წევრებს, ენათმეცნიერ აკადემიკოს ხოაკიმ კალვო-სოტელოს (José Calvo-Sotello) ბეთაურობით. მასპინძლებმა ჯერ გაგვაცნეს ესპანეთის სამეფო აკადემიის სტრუქტურა, რომ აკადემიის საბჭოში 36 წევრია, რო-ცა ადგილი დავისუფლდება, ახალს ირჩევენ. საბჭოს შემადგენლობაში შედის ბოგიერთი წევრ-კორესპონდენტიც. მსოფლიოში არის ესპანურ ენაზე მოლაპარაკე 20 აკადემია (იგულისხმება ლათინური ამერიკის იმ ქვეყნე-ბის აკადემიებიც, სადაც სახელმწიფო ენა ესპანურია). ფიქმის ყველ-გან არსებობს ესპანური ენის საბოგადოება, მაგრამ მათი ცენტრია მად-რიდის აკადემიასთან არსებული ესპანური ენის საბოგადოება. ტარდება

ესპანური ენის პრობლემებთან დაკავშირებით კონგრესები. უკანასკნელი კონგრესი ჩატარდა სანტიაგოში (ჩილე). მადრიდის სამეფო აკადემიის ესპანური ენის განყოფილება აქვეყნებს სიტყვარებს. არსებობს ესპანური ენის ლინგვისტური სიტყვარი; ასევე სიტყვარში განიხილავენ ესპანურ ენაში შესული ახალი სიტყვებს (და ასეთი სიტყვა გაჩნდა ესპანური ენის სამყაროში). გამოცემულია ლინგვისტური სიტყვარის 200 ტომი. ეს მხოლოდ დასაწყისია.

მასპინძლები დაინტერესდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მუშაობით, მისი სტრუქტურით, ცალკეული განყოფილებისა და კვლევითი ინსტიტუტების მუშაობით, ბიუჯეტით, ენით და სხვ. მათ აინტერესებდათ ქართველი ენათმეცნიერების, ფილოლოგების, ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფების მუშაობა; კულტურისა და მეცნიერების განვითარება საბჭოთა საქართველოში და სხვ. ბოლოს საუბარი შეეხო ესპანეთში საბჭოთა დელეგაციის ჩამოსვლის მიზნებს და ბასკურ-ქართული ურთიერთობის საკითხებს. ესპანელმა კოლეგებმა სურვილი გამოთქვეს სამეცნიერო ლიტერატურის გაცვლის შესახებ ესპანეთისა და საქართველოს აკადემიებს შორის, რაც ხელს შეუწყობდა ორივე მხარის ურთიერთგაცნობას.

ხოსე ანტონიო მარტინი ალონსო-მარტინესმა (Charo José A.Martin Y Alonso-Martinez), აკადემიაში მიღების შემდეგ, ქალაქის დათვალიერება შემოგვთავაზა. მადრიდი ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქია ევროპაში და ღირსშესანიშნაობებითაც მდიდარია. მადრიდი (ესპანეთის დედაქალაქი 1561 წლიდან) განთქმულია ისტორიული ძეგლებით, აბჯლებით და ნაგებობებით. აი ზოგიერთი მათგანი: მზის თავშესაფარის მოედანი (XVI ს.), იქვე ესპანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობა (XVII ს. პირველი ნახევარი), სეგოვიას ხიდი (აგებული 1582-4 წწ.), მთავარი მოედანი (აგებული 1619 წ.), მუდამ ხალხით სავსე რასტორის უბანი, ტოლედოს ხიდი (1732 წ.), ტოლედოს კარიბჭე (1827 წ.), სამეფო აკადემიის სახვითი ხელოვნების მუზეუმი (გაიხსნა 1752 წ.), სა-



სანტუარიო დე არანცაცუ ონიატე.გიპუსკოას პროვინცია.
მარცხნიდან:ვ.ბონდარენკო,შ.ძიძიგური,ღუის ვიღიასანტე,
შ.კინტანა,ი.ტაბალა /1977 წლის ივლისი/.

მეფე აკადემიის ისტორიული მუზეუმი, სიბელეს მოედანი XIX საუკუნის შენობებით, რომანტიკული მუზეუმი, მუნიციპალური ბიბლიოთეკა (300 ათას ტომს შეიცავს) არქიტექტორ პედრო რიბერას გეგმით აგებული პარკით, ხოსე ანტონიოს პროსპექტი, სერვანტესის ძეგლი ესპანეთის მოედანზე, კამარჯვების თაღი მონკლოას მოედანზე, მორის მინდვრების პარკი, მეფის მოედანი და სასახლე (სასახლე ღიეს მუზეუმს უკავია) აღმოსავლეთის მოედანი ცხენზე ამხედრებული ფილიპე IV-ის ძეგლით, აღკალას კარიბჭე (1778 წ.) და სხვ.

დიდი ინტერესით დავათვალიერეთ მსოფლიოში ცნობილი მადრიდის სურათების გალერეა მუზეუმში "პრადო"; ვარდისფერი და ნაცრისფერი აგურითა და ქვით ნაშენი "პრადოს" მუზეუმის შენობა (200 მეტრის სიგრძისა და 40 მეტრის სიგანის) მოიცავს სამ სართულს და ასზე მეტ დარბაზს. აქ წარმოდგენილია მსოფლიოში ცნობილი მხატვრებისა და სკულპტორების - ჯერომის, ბოსხის, ველასკეზის, მურილიოს, ელ გრეკოს, გოიას, ტიციანის, რუბენსის, ვან დეიკისა და სხვ., 3 ათასზე მეტი სურათი და 400 ქანდაკება.

კალვო სოტელოს ქუჩაზე მდებარე ეროვნული ბიბლიოთეკა შეიცავს 2,5 მლნ. წიგნს (მათ შორის 2500 ბიბლიოგრაფიული იშვიათობას წარმოადგენს).

მიგვიყო ესპანეთში ავტორთა უფლების საზოგადოების პრეზიდენტმა, ბასკმა ფრედერიკო მორენომ.

მადრიდის სხვა ღირსშესანიშნაობათა დათვალიერების შემდეგ, საღამოს, დელეგაცია მიიყო ცნობილმა ესპანელმა სკულპტორმა ლუის ანტონიო სანგვინომ (Luis Antonio Sanguino) დავათვალიერეთ მისი სახელოსნო - ნამუშევრები. ამის შემდეგ, მადრიდსა თუ მის გარეთ, ლუის ანტონიო სანგვინო არაერთხელ იყო ჩვენთან. იგი ყოფილი სპორტსმენია. მისი თანხლებით ენახეთ კორიდა - ხართან ბრძოლა, რაც დიდი გასართობია მადრიელებისათვის. მარტიდან-ოქტომბრამდე ყოველი კვირადღის ნაშუად-

ოვეს ადასტურებდა მადრიდელი ტკბება ამ სანახაობით. კორიდასადვის მადრიდში ორი შესანიშნავი არენაა აგებული. არანაკლები პოპულარობით სარგებლობს ფეხბურთი. ესპანეთს ორი ძლიერი გუნდი ჰყავს: "რეალ მადრიდი" ("სამეფო მადრიდი") და "მადრიდის ატლეტიკო". პოპულარობით სარგებლობს მადრიდის იპოდრომიც. მადრიდში საცხენოსნო სპორტს მაშინ საფავეში ედგა ირაკლი ბაგრატიონი.

4 ივლისს, დიდი ჩვენი დელეგაცია მიიღო სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ესპანეთში ა.ს. ბოგომოლოვმა. საუბარში მან გაინტერესება გამოიჩინა ბასკურ-ქართული პრობლემებისადმი და ყოველმხრივ ხელს უწყობდა დელეგაციის ნაყოფიერ მუშაობას. საუბარს ესწრებოდა საელჩოს პირველი მდივანი იგორ ივანოვი (ედით ქართველი, წარმოშობით ახმეტელიან).

საბჭოთა დელეგაცია დაჭრაპირველად მიწვეული იყო ადი დღით. მაგრამ მადრიდში ჩასვლის შემდეგ მასპინძლებმა დელეგაციას წარუდგინეს 16-დღიანი პროგრამა და ითხოვეს ჩვენი თანხმობა. დელეგაცია დაეთანხმა მასპინძლების წინადადებას, მით უმეტეს, რომ პროგრამის მეორე ნახევარი მოიცავდა ბასკეთის დათვალიერებას და ბილბაოში ბასკ სპეციალისტებთან შეხვედრას.

მადრიდიან დელეგაცია ქ. ტოლედოში გაემგზავრა. ტოლედო მდებარეობს მადრიდის სამხრეთით. ტოლედოს რომ უახლოვდები, ქალაქის ციხესიმაგრეები და კედლები სამხედრო ქალაქის შთაბეჭდილებას ქმნის. მდ. ტახოს მაღლობ ნაპირებზე განლაგებული ტოლედო არწივის ბუდეს მოგვაგონებს. იმ ადგილას, სადაც ახლა ტოლედო მდებარეობს, უძველეს დროში ცხოვრობდა იბერიული ტომი კარპეტანი; ამ ადგილს ეწოდებოდა ტოლეტუმი. აქედან წარმოიშვა ტოლედო. (ბასკურად ტოლე – დუმილი; ტოლედა – საქონლის საძოვარი ადგილია). ძვ.წ. 192 წელს ტოლედო რომაელებმა დაიპყრეს. ერთხანს იგი ვესტგოთების სამეფო დედაქალაქი იყო, შემდეგ მაურებმა დაიკავეს, 1085 წელს – ესპანელებმა. 1561 წლამდე ტოლედო ესპანეთის დედაქალაქი იყო.

ქალაქში აღსანიშნავია ტოლური სტილით აგებული ტაძარი (XIII ს.). შიგნით იგი მორთულია მიგული ანელის, ოფანელის, ტიციანის, ბურბარანის, ველასკესის, ტოიას და სხვათა სურათებით. ტაძარი ოამით განადგურებულია 750 ნაკურით. ესპანელი მწერალი ბენიტო პრესეს ტალეოსი ამბობდა: "ტოლედო ესპანეთის მეხელი ისტორიაა".

დავამთავრეთ ქალაქის დათვალიერება და ჩვენმა გამყოლმა ანტონიო გონსალესმა (Antonio Gonsalez) გვითხრა: "შეუძლებელია ტოლედოში ჩამოსულმა კაცმა დატოვოს ქალაქი მისი სამგარეულოს გემოს გასინჯვის გარეშე". უკვე საღამოს დროა იყო. ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ სტუმართმოყვარე მასპინძლის წინადადება. საღამოს მადრიდში დავბრუნდით.

ერთ მშვენიერ დღეს, დილით, ექსკურსია პორტუგალიის საზღვრების მიმართულებით გაემგზავრა. მადრიდ-სალამანკას გზაზე, მარცხნივ გადავუხვიეთ და მივედით ეს ესკორიალში, სადაც მდებარეობს ცნობილი ეს ესკორიალის მონასტერი (1563-1584 წწ. აგებული). ამ მონასტერს "მსოფლიოს მერვე საოცრების" უწოდებენ.

ამ მოგზაურობაში ჩვენ გვახლდა ფირმის წარმომადგენელი ხოსე გარსია (José Garsia). ხოსე გარსია იმ ესპანელ ბავშვთა ჯგუფში იყო, რომელიც ესპანეთში ფრანკოს ფაშისტური დიქტატურის დამყარების შემდეგ (1939 წ.) საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა. მან განადგილება მოსკოვში მიიღო. გახდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. კითხულობდა ლექციებს მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში. მან არაერთი წიგნი გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირში - ესპანეთის ისტორიის დარგში. ხოსე გარსია უკანასკნელ წლებში დაბრუნდა თავის სამშობლოში. იგი ამჟამად გემოხსენებული ფირმას ემსახურება. შესანიშნავად იცნობს თავისი სამშობლოს კულტურასა და ხელოვნებას. დიდი აღფრთოვანებითა და სიყვარულით გვიყვებოდა თავისი ქვეყნის ისტორიას.

ესპანეთის მეფე ფილიპე II (1556-1598) დიდი ხანი ცხოვრობდა ეს ესკორიალში და იქ გარდაიცვალა. ეს არის შესანიშნავი დასასვენებელი

ზემოთ: პროფ. შ. კინტანას შეხვედრა აკად. აინ. ჩიქობავასთან.

ქვემოთ: პროფ. შაბიერ კინტანა.

ადგილი. ჩრდილოეთით და დასავლეთით მას მთები აკრავს, აღმოსავლეთით და სამხრეთით – დაბლობები. მეფე ფილიპეს ეკუთვნის ელ ესკორიალის მონასტრის აგების იდეა, ეს ადგილი სამეფო პანთეონიცაა. ეს ულამაზესი ანსამბლი (207 მ X 161 მ), კუთხეებში 55 მ სიმაღლის ცალი ციხეკოშკით, ცენტრში ბაგილიკით, წარმოადგენს მუზეუმს. აქ არის შესანიშნავი დარბაზები, მდიდარი სურათებით და ქანდაკებებით; მონასტრის კედლებზე და ჭერზე ლუკა კამბიასოს მიერ შესრულებული მხატვრობით; კარლოს V-ის საწოლოდაგი, მომღერალი გუნდის მთავარი დარბაზი ორღანითა და სხვა ინსტრუმენტებით, ფილიპე II-ის სარკოფაგი, ინფანტას საფლავი, მეფეთა პანთეონი, "თაყვანისცემა", "ქრისტეს ცხოვრება", სასადილო დარბაზი, ელჩების მისაღები დარბაზი, ელჩთა სალონი, XVIII ს. სასახლე, ტოლედოს, ელ გრეკოს და სხვა მხატვრების სურათების გალერეა, ხალიჩები, ისტორიული ბრძოლების გამომხატველი სურათები კედლებზე, დიდების დარბაზი და სხვ.

ამავე შენობაშია ბიბლიოთეკა, რომელშიც ინახება ხელნაწერები. ვიცოდი, რომ აქ ინახებოდა ესპანელი მისიონერების (XVI–XVII სს.) ჩანაწერები. ეს მისიონერები მოღვაწეობდნენ აღმოსავლეთში და, ცხადია, ბევრი ახალი და საინტერესო მასალა იქნებოდა საქართველოზე, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ასე იოლად, ერთი მისვლით, ამ ხელნაწერებს არავინ გვაჩვენებდა. მაინც ხელნაწერების კანონიერება ჩვენი იქ ყოფნისას დაკმაყოფილი აღმოჩნდა.

ელ ესკორიალის მონასტერ-მუზეუმისა და ქალაქის დათვალიერების შემდეგ კვლავ ავედით მთავარ გზაზე – მადრიდ-სალამანკა. გზაზე ერთ ხანს ამ გზით ვიარეთ, შემდეგ მარცხნივ გადავუხვიეთ [illegible] ავედით მთავარ გზიდან 5 კმ-ზე მდებარე "ვალე დე ლოს კაიდოსში" ("დაცუპული ადამიანების ველი"). აქ, ლეონეს მთაზე, კლდეში გამოჭრილია ეკლესია. ეკლესიაში შესასვლელის წინ დასაფლავებული არიან ისინი, ვინც იბრძოლეს ესპანეთში სამოქალაქო ომის (1936–1939 წწ.) წლებში [illegible] ადამიანები

მაგრამ ესპანეთის სხვადასხვა [illegible]ებიან, მიუხედავად მათი პოლიტიკური მრწამსისა. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ დასაფლავებული არიან კომუნისტებიც, რესპუბლიკელებიც და ფრანკისტებიც (რაზეც თავის დროზე კომუნისტებმა და რესპუბლიკელებმა პროტესტი განაცხადეს).

მთაში შესასვლელის წინ პატარა მოედანია, აქედანაა შესასვლელი მთაში, რელიგიური მოტივებით მოხატული მაღალეფრიანი "გვირაბის" გასელის შემდეგ მნახველის წინ იშლება მაღალეფრიანი ეკლესია მოხატული ფერადი კედლებით. მთავარი დარბაზის ცენტრში, სამსხვერპლოს წინ დასაფლავებულია ესპანეთის ფაშისტური პარტიის ფალანგის შემქმნელი (1933 წ.) ხოსე ანტონიო პრიმო დე რივერა (იგი 1937 წელს მოკლეს რესპუბლიკელებმა), ხოლო სამსხვერპლოს უკან ფრანკოს საფლავია. საფლავი იატაკის დონეზეა, იგი მხოლოდ შემოხაზულია და აწერია: "კაუდილიო ფრანჩესკო ფრანკო".

ამ ეკლესიის ტაძრა-აგება ფრანკოს განკარგულებით 1940 წელს დაწყებულა და 1959 წელს დაუმთავრებიათ. იქ მუშაობდა ფრანკოს რეჟიმის დროს დაპატიმრებული 20 ათასი კაცი. 1960 წელს ეკლესია გაუხსნიათ. მის გახსნას რომის პაპი იოანე XXIII დასწრებია. ამჟამად ეკლესია მოქმედებს და წარმოადგენს მოცულობა თავმოყრის ერთ-ერთ ადგილს, ისევე როგორც ვატიკანის წმ. პეტრეს ეკლესია ან ლურდი (სამხრეთ საფრანგეთში). მთაზე უგარმაგარი ჯვარია აღმართული.

აქედან ისევ მთავარ გზაზე გავედით და ვიდა-სალამანკას მიმართულებით გავეგზავრეთ: ავილაში (მადრიდიდან 112 კმ-ზე) საინტერესოა XII ს. ეკლესია და იმავე საუკუნის ციხესიმაგრეები, რომელთა კედლები დღემდე შემონახულა. სალამანკა განთქმულია თავისი უნივერსიტეტითა და შუა საუკუნეების ძეგლებით. იგი შემოგვმით კარგი დასასვენებელი ადგილიცაა.

მივედით მადრიდ-სალამანკას მთავარი გზის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ სეგოვიაში (მადრიდიდან 88 კმ-ზე). ქალაქი განლაგებულია მაღ-

ლობზე და მის გარშემო შესანიშნავი პეიზაჟი იშლება.

უძველეს ბრონში, კელტების მოსვლის წინ, აქ ცხოვრობდა ვაკსეოს ტომი (ვასკოს? ბასკოს?). კელტების შემდეგ აქ რომაელები გაბატონდნენ. სახელწოდება "სეგოვია" ისტორიაში გვხვდება ძვ.წ. 140 წლიდან. (ბასკურად: "სეგა" - ცელი; ესპანურად: "სეგადორ" - მთიბველი, მცელავი; ლათინურად: "სეგეს" - ფესვა, დადესილი ველი). სეგოვიას მიდამოები განჭმული იყო საძოვრებად და აქ მწყემსები ცხოვრობდნენ. დღევანდელ სეგოვიაში ყველაზე საინტერესოა რომაელთა ბატონობის ეპოქიდან შემორჩენილი ორსართულიანი აკვედუკი.

სეგოვია იყო სამხედრო-სტრატეგიული ადგილი. აქ იყვნენ ვესტგოთებიც და არაბებიც. ჯერ კიდევ XII საუკუნეში არაბი გეოგრაფი ალ-ედრისი წერდა, რომ სეგოვია ქალაქი არ იყო, არამედ ადგილი, სადაც ლაშქარი იდგა, ხოლო მის გარშემო რამდენიმე სოფელი მდებარეობდა. ქალაქის სახე მან შემდგომში მიიღო. ამჟამად სეგოვიაში ჩასვლისადვის საინტერესოა: საკადედრალო საყდარი, ალბიგუეხოს მოედანი (მოხსენიებული აქვს სერვანტესს), არიას ალვილას კოშკი და სხვ. სეგოვიას ახლოსაა ისტორიული ადგილები: ლაგრანხანი ("ესპანეთის ვერსალს" უწოდებენ), აქაა მეფის სასახლე (ლეს ერმა-ერმი მდიდარი მუზეუმი ესპანეთში), ციხეკოშკებად მორთული ალკაზარის სასახლე და სხვ. მავრიტანულ სტილზე აგებული ალკაზარის სახელწოდებად ცნობილი მეფის სასახლეები სხვადასხვა ადგილას იყო ესპანეთში: ტოლედოში (დაინგრა 1936 წელს), სეგოვიასა და სევილიაში (ლუმდე შემორჩა).

ამდენი შთაბეჭდილებებად დაღლილები სეგოვიაში განჭმული რესტორანის "მეგონ დე კანდილო"-ს წინ აღმოვჩნდით. უამრავი ხალხი ირეოდა განსაკუთრებით ტურისტები. ჩვენს მასპინძელს ხოსე გარსიას წინდაწინ რომ არ შეეკვეთა მაღრიდიდან ადგილები, სეგოვიას ამ საუკეთესო რესტორანში ვერ მოხვდებოდით, აქაური მენიუ ბასკეთიდან და ლოკოკინიდან დაწყებული - შემწვარი ტყლიდ დამთავრებული - ყველაფერს გთავაზობდა.



სიბურე /საფრანგეთის ბასკეთი/, სახლი, სადაც 1875 წელს
დაიბადა მორის რაველი.

სეფოვიიდან მადრიდში დავბრუნდით. საღამოს კვლავ სკულპტორ ლუის ანტონიო სანგინოს ვეწვიეთ, აქ ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ, მათ შორის დეპუტატი სოციალისტი კარლოს საიასი. მან ყველა იქ მყოფი დაპატიჟა კონცერტზე, რომელზეც მისი მეუღლე მოეწყო. ქ-ნი საიასი გასტროლებზე იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში და მეტად კმაყოფილი დარჩენილა საბჭოთა მაყურებლის მიღებით.

კონცერტის შემდეგ ფირმამ საბჭოთა დელეგაციას ვახშამი მოუწყო კუჩილეროს ქუჩაზე, კაფე-რესტორან "ჩინიტაში" (დაარსებულია 1725 წელს). აქ დელეგაციის საპატივცემლოდ მონველული იყო ანდალუზიის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი.

მადრიდიდან ბასკეთში გავემგზავრეთ.

მივდივართ მადრიდიდან პირდაპირ ჩრდილოეთით - მადრიდ-არანდა-ბურგოსის გზით. ბურგოსიდან პირველი ბასკური პროვინციის - ალავას დედაქალაქ ვიტორიასკენ (გასტეისი) ავიღეთ გზა. აქ უკვე იწყება ბასკური ქალაქები და სოფლები ბასკური სახელწოდებებით: ეტურა, დალო, არიეტა, ტორი, მესკია, ვიტუნია, არაია, სორია, აკუტია, ურბაში; მდ. არაქელი, აგერ რესტორანი "ტურია" და ა.შ. ვიტორიაში არ გავჩერებულვართ, იგი გავიარეთ და გზა გავაგრძელეთ პირდაპირ ქ. პამპლონას მიმართულებით.

პირველი ბასკური ქალაქი, სადაც დელეგაცია შეჩერდა, იყო ნავარის[12] პროვინციის დედაქალაქი პამპლონა[13]. აქ სასტუმრო "სამ გვირგვინში" მიგვიღეს. ამ მოგზაურობაში დელეგაციას ახლდა ზემოხსენებული ესპანელი სკულპტორი ლუის ანტონიო სანგინო მეუღლითურთ.

ივლისის თვე განსაკურებით მნიშვნელოვანი პერიოდია პამპლონაში. 7-14 ივლისს აქ ტარდება ბასკების ეროვნული დღესასწაული "სან ფერმინი" ("წმ. ფერმინი"). შვიდი დღის განმავლობაში შეიძლება გაეცნოთ

---

12 ნავარა (ბასკ.) — "ნავ ერი" ("სავსე ქვეყანა, მხარე").

13 ქალაქის სახელი "პამპლონა" დაკავშირებულია პომპეუსის სახელთან. იხ. ი.ტაბაღუა, დასახ. ნაშრ., გვ. 77.

ბასკების ბნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს, ყოფა-ცხოვრებას. "სან ფერმინი" კარნიოზული იმპროვიზებული: უძველესი დღესასწაულია ბასკეთში.

შვიდი დღე-ღამის განმავლობაში გარდა ავადმყოფებისა და პატარა ბავშვებისა (მათი მომვლელებით) სახლში არავინ არ რჩება. ხალხი სეირნობს ქუჩებში ბილიდან კვიან ღამემდე, ფიფქის მფელი ღამე. ბევრი ღამესაც ქუჩაში ატარებს, იქ ძინავს; ყველას აცვია ეროვნული ტანსაცმელი, მორთული ნიფელი ნაჭრის ტანიერი ქამრით, ნიფელი ყელსახვევით. ისინი მღერიან ბასკურ სიმღერებს, ცეკვავენ. თან მიაქვთ ღვინო ღოქებით, ბოთლებით, ტიკებით, ფვითონ სვამენ და სხვებსაც თავაზობენ. უარის თქმა უხერხული. კაფე-რესტორნებში დასაჯდომი ადგილი არაა. მფვრალს აქ ვერ ნახავთ (ვერც რესტორანში და ვერც ქუჩაში). ყველა მხიარულობს და ბეიმობს. აცვიათ საღღესასწაულო ტანისამოსი. მრავალი მათ შორის ტრიმფოა მორთული და ასახიერებენ სხვადასხვა პერსონაჟებს. ზოგი ნიღაბშია და ასახიერებს ცხოველებს; ქუჩებსა და მოედნებზე მართავენ სცენებს, ზოგი მაფგანი ჩვენს ყოფნობას მოგვაგონებს.

ყოველი ბასკი მღერის და ცეკვავს. მეტად გავრცელებულია ორი ბასკური ცეკვა: "ბასკური ნაბიჯი" და "ბასკური ხტომა". საბალეტო ცეკვებიდან ყველაზე უფრო დამახასიათებელია: "ჰაერში ტრიალი" და "ხტომა".

პამპლონა საუნივერსიტეტო ქალაქია, ამიტომ ჩასვლისთანავე უნივერსიტეტში მივედით. პირველი შეხვედრები და საუბრები გადავლისნინებული ყო უნივერსიტეტში, მაგრამ "სან ფერმინის" ღღესასწაულმა ხელი შეგვიშალა.

პამპლონა კორიდას[14] ქალაქია. "სან ფერმინის" ღღეებში კი კორიდას განსაკუთრებით ბევრი მაყურებელი ჰყავს. ამ ღღეებში პამპლონაში ჩამოდიან არა მარტო ესპანეთის ყველა კუთხიდან, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. "სან ფერმინის" ღღეებში პამპლონას სას-

---

14 კორიდა (ესპ.) – სირბილი, სწრაფი მოძრაობა; "კორიდა და ტორეს"- ხარების ბრძოლა, ხარების სირბილი. ბასკურად: "კორრიდა", "კურრიდა" – ტრიალი.

ტუმროლებში აღგილის შოვნა თითქმის შეუძლებელია. ამ დღესასწაულზე ჩამოსვლელები 6-7 თვით აღრე უკვეთავენ სასტუმროს ნომრებს. ბევრი (მაგ შორის ამერიკის შეერთებული შტატებიდან) საკუთარი მანქანითა და მასზე მიბმული საცხოვრებელი ფურგონით ჩამოდის.

კორიდა ანუ ხართან ბრძოლა საინტერესო სანახაობაა. ხარის კულტი ბასკეთში უძველესი დროიდან იყო გავრცელებული. ბასკების ისტორიაში ცნობილია "ხალხური კორიდა", "ხარების ფრიალი" ანუ "შოკამუტურა" (მაგალითად, სან-სებასტიანში)[15].

ჩვენი მეცნიერის ჭროწნის აზრით, ხართან ბრძოლა პირენეის ნახევარკუნძულზე კავკასიიდან შევიდა[16]. თუ ამ აზრს გავიზიარებთ, მაშინ კიდევ ერთი საბუთი გვექნება დამტკიცებული იმისა, რომ პირენეის იბერები კავკასიიდან წავიდნენ. ჩვენი მეცნიერი კი სწორედ ამ აზრს იცავს.

აკად. შ. ძიძიგური, ეყრდნობა რა ვ. ბარდაველიძის, ი. მეგრელიძის, და ვ. შამილაძის გამოკვლევებს, მიუთითებს, რომ ხართან ბრძოლის ნიშნები ძველ საქართველოშიც გვაქვსო. იგი შენიშნავს, რომ "ხარებთან თამაშის ცერემონიალი აგრარულ-რელიგიური კულტების წლიური ციკლიდან გაბაფხულის შეხვედრისადმი მიძღვნილ დღესასწაულში იყო ნარმოდგენილი".[17]

კორიდა იბერიის ნახევარკუნძულიდან გავრცელდა სხვა ქვეყნებში (საფრანგეთი, ლათინური ამერიკის ქვეყნები და სხვ.). კორიდა ენყობა, საერთოდ, დღის მეორე ნახევარში, მაგრამ პამპლონაში, "სან ფერმინის" დღესასწაულის დღეებში, მისი ცერემონიალი იწყება დილის 7 საათზე. დილით აღრე ხარებს ქალაქის გარეუბნებიდან (სადაც მათ ინახავენ და ბრძოლისათვის ამზადებენ) კორიდის მოედნისაკენ მიერეკებიან.

---

15 ბასკურად: "შოკამუტურა" - თავშეკავნილი თოკი.

16 იხ. შ.ძიძიგური, მოგზაურობა ბასკეთში, გვ. 22.

17 იქვე, გვ. 23. ჩვენი ნიგნის ერთ-ერთმა მკითხველმა გვაცნობა, რომ კორიდას მსგავსი თამაში უძველეს დროში ქართულშიც იყო გავრცელებული. მაგალითად, ბორის რაიონის სოფლებში მოხუცები ჰყვებიან, რომ თითქოს უძველეს დროში ყიდაობის მაყურებლების მხრიდან (როცა გამწვავდებოდა მოყიდავლებს შორის შეჯობრება) გაისმოდა შეძახილები: "ული, ული, ბუღა შეურჭვეთ".

ბასკური ცეკვები. ზემოთ: ცეკვა ვაშლებით.

ქვემოთ: ცეკვა "ფანდანგო".

ყივი-ხივიერით დაფეთებული ხარები მირბიან ქუჩაში. მათ წინ ხმაურით გარბიან მოხალისეები, უმთავრესად ახალგაზრდები, საღუსასნაულოდ გამოწყობილნი, ნითელი ბაფთებითა და გაგეთებით ხელში, რაც განსაკუთრებით აღიგიზნებს ხარებს. ხარებს უკან მისდევს ასობით ადამიანი, ასევე ყივილ-ხივილით. ამ დროს გზაჯვარედინები ჯებირითაა გადაკეტილი. იმ ქუჩებში, რომლებსაც ხარები გაივლიან, პირველი სართულზე ყველაფერი დაკეტილია და ფიცრებითაა აყვანილი, ხოლო აივნები-მეორე სართულიდან. გაყვანილია ხალხით, რათა იხილონ სანახაობა. გზაჯვარედინებზე და მოედნებზე, სადაც ეს პროცესია გადის, აგებულია ტრიბუნები მაყურებელთათვის (ისინი კი მეტია, ვიდრე ადგილები) და იყიდება ბილეთები. კერძო პირები, რომლებიც ეკუთვნით აივნები, მაყურებლებს ფულს ახალევინებენ.

ხარების გზა პირდაპირ კორიდას მოედნისაკენ მიდის. იქ კარიბჭეები ღიაა, ხალხი და ხარები ერთად შედიან მოედანზე, მაგრამ წინამძღოლნი მოედნის მოპირდაპირე მხარეს გაღებულ კარებთან იშლებიან და ხარებს უთმობენ გზას. ამრიგად ხარები უკვე შედიან მოედნის უკან მდებარე საკავში. ისინი აქ რჩებიან დღის 3 საათამდე (კორიდას დანყებამდე). ამ დროის განმავლობაში მათ აძლევენ მარილს, ასმევენ წყალს, რათა უფრო დამძიმდნენ.

ხალხი, რომელიც ამ ხარებს მოჰყვა, რჩება მოედანზე, ამ მოედანზე შემოუშვებენ სამ ხარს, მათ შორის ერთი ნამდვილი ტორეადორისათვის საბრძოლველად განკუთვნილი ხარია (ისინი ჩვეულებრივ შავები არიან), ხოლო ორი - თეთრი ან ყვითელი - დაკოდილი ხარია. ეს უკანასკნელნი არ არიან საშიში და ამიტომ, მოედანზე მყოფი ახალგაზრდები მათ უფრო თავისუფლად ეთამაშებიან (მე ვიცყოდი, ანვალებენ). მაგრამ შავი ხარი ("ტორო") ანცრევს იქაურობას, თუმცა რქები შეხვეული აქვს. სხვანაირად ის საშიში იქნებოდა იქ მყოფი ხალხისათვის. მას ყოველი მხრიდან უტევენ, ის კი ხან ერთს ეცემა, ხან მეორეს და

ასე გრძელდება მთელი საათი. თუ ხარმა მონინააღმდეგე წააქცია, მთავარია წაცეკვლმა დაიცვას თავი და სახე, რადგან ამასობაში სხვა მივარდება ხართან, იგი მას მიუბრუნდება და წაქცეული თავისუფლდება. ამ დროს სტადიონი გაჭედილია. ამ სანახაობისადვისაც ბილეთები იყიდება, რომელთა შეძენა ასევე ძნელია.

ჩვენი თანამგზავრის ლუის ანტონიო სანგინოს საშუალებით (მას აქაც ბევრი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს) ერთხელ ჩვენ დილის 7 საათზე ქუჩებში ხარების გარეკვას და მოედანზე მათ შემორეკ[illegible]ას (სტრაკეტის ქუჩაზე ზღვებარე რესტორნის შენობის მეორე სართულის აივნიდან) ვუყურეთ. შემდეგ, ზემოხსენებული სამ ხართან მოხალისეთა ბრძოლას დავესწარით.

ამ სანახაობის შემდეგ სასტუმროში ვბრუნდებით. 3 საათზე ისევ სტადიონზე ვართ და ხარებთან მატადორის[18] ნამდვილ ბრძოლას ვესწრებით. სტადიონზე, როგორც გვითხრეს, 90 ათასი ადგილია, მაგრამ დღეს აქ დაახლოებით ადგილებიც არაა. დღეს (7 ივლისი) "სან-ფერმინის" დღესასწაულის პირველი დღეა და ამიტომ საპატიო სტუმრებიც ბევრია. თავად ლოგანში ბის ესპანეთის პრემიერ-მინისტრი ადოლფო სუარესი (ამბობენ კორიდას დიდი მოყვარულიაო).

მატადორი თავიდანვე არ გამოდის მოედანზე. მოედანზე მატადორთან ერთად ერთ-ერთ ბოლოს გამოშვებული ხარს ("ტორო") ჯერ მატადორის "თანამემწეები" ებრძვიან; საკმაოდ დაღლიან მას და შემდეგ მოედანზე შემოდის მატადორი. ის გაიღებ კარები და მოედანზე გაცოფებული ხარი შემოვარდა. სტადიონზე დიდი ხმაურის გამო, ერთხანს გაოგნებული იდგა, მოედანზე ადამიანს ეძებდა და როგორც კი არენის მოპირდაპირე მხარეზე კაცი (მატადორის ერთ-ერთი თანამემწე) შენიშნა, მისკენ გაქანდა. ადამიანი არენის კედელს ამოეფარა, ხოლო ხარი მთელი ძალით ამ კედელს ეძგერა.

18 მატადორი (ესპ. "მატარ" – "მოკვლა") –ის, ვინც ხარს ბრძოლის დროს ჰკლავს. ტორეადორი (ესპ. "ტორერო")– ფრანგებმა უნიდეს იმას, ვინც არენაზე ხარს ებრძვის. ესპანურად: ხარი – "ტორო", ბასკურად: ხარი – "სესენ", ხართან ბრძოლა – "სესენ-გუდუ".

ახლა მოედნის მეორე მხარეს გამოჩნდა მატადორის სხვა თანაშემწე, ხარი იქითკენ გაიქცა. ერთხანს ასე გაგრძელდა.

შემდეგ მატადორის რამდენიმე თანაშემწე მოედანზე ერთად გამოდის. ისინი მაოკენ გამოქცეული ხარს საოცთოდ ბურგზე რკინის ისრებს არჭობენ და განზე გადახტომით თავს შველიან. ეს რკინის ისრები ანკესივით ეჭიდებიან კანში ხარს და ბედვე რჩებიან, რაც მოძრაობისას ძლიერ ამწარებენ მას. ამ დროს, არენაზე შემოდის ორი მხედარი. ისინი არენის სხვადასხვა მხარეს დგებიან. გამწარებული ხარი ხან ერთისაკენ, ხან მეორისაკენ გარბის და ეჯახება ცხენს, მაგრამ იმ მხარეს, რომელზეაც ხარი რქებით ეჯახება, ცხენი მაფრაცის მსგავსი სქელი ნაჭერითაა დაცული და ხარის რქები მას ვერაფერს აკლებს. ამასობაში მხედარი ბასრი შუბით ბურგზე ჩხვლეტს ხარს და კიდევ უფრო აღიგზიანებს მას (სხვათა შორის, ცხენებს იმ მხარეზე, საიდანაც ხარი ეჯახებათ, თვალი ახვეული აქვთ, რათა ხარი არ დაინახონ და არ შეშინდნენ) ასე რომ, ცხენი მარტო დაჯახებას გრძნობს. ამ დროს მოედანზე მატადორის ექვსი თანაშემწე იმყოფება და ხარი იმათკენაც გარბის. ისინი კი კვლავ ბურგში ისრების ჩარჭობით უმასპინძლებიან მას.

ამის შემდეგ მხედრები და მატადორის თანაშემწეები არენიდან გადიან. გახელებული ხარი მარტო რჩება. იგი მსხვერპლს ეძებს. აი ამ დროს, ბრჭყვიალა ტანისამოსში საგანგებოდ გამოწყობილი მატადორი უეცრად შემოიჭრება მოედანზე. იგი ქუდს მოიხდის, ხალხს მიესალმება, ქუდს გადაკიდებს. მათი რწმენით: თუ ქუდი მინაზე სწორად დაეცა, მატადორი ბედნიერია და გაიმარჯვებს, ხოლო თუ ქუდი გადაბრუნდა – მას ბედი არ წყალობს. ჩვენს მატადორს იმჯერად გაუმართლა. მან კიდევ ერთხელ თვალი შეავლო ლოჟას, ხოლო ორმა თანაშემწემ ხმალი და წითელი წამოსასხამი მიართვეს. მატადორი ხარისაკენ მიტრიალდა, გასისხლიანებული ხარი მისკენ გამოიქცა. მატადორმა მას წითელი წამოსასხამი დაუხვევრა (ამ ხარებს განსაკუთრებით წითელი ფერი აღიგზიანებთ). ასე დაიწყო მატადორის

ბასკური ცეკვები. ზემოთ: ცეკვა "ოდდარა".

ქვემოთ: ცეკვა ღვინოს ტიკით.

და ხარის ბრძოლა. რამდენადაც მატადორი გაშლილ წითელ ნამოსასხამს თავისთან ახლო დაიჭერდა, იმდენად ხარი უფრო უახლოვდებოდა და მის ფანისამოსს სისხლით სვრიდა, მით უფრო მატადორის მისამართით სტადიონზე შეძახილები ძლიერდებოდა.

ბასკები, რომლებიც სტადიონზე უმრავლესობას შეადგენენენ, ბასკურ საბრძოლო სიმღერებს მღეროდნენ, მატადორს ამხნევებდნენ და მუნწოდებდნენ: "ოლე, ოლე!"[19] კმაყოფილი მატადორი ფრანცისკო რუის მიგელ ტორერო (Francisoo Ruis Miguel Torero), როგორც დახელოვნებული და განჯმული მატადორს შეეშვენოდა, ისე აგრძელებდა ხართან ბრძოლას. აი ერთი მომენტი: მატადორი კახელებულ ხართან პირისპირ დადგა. ერთი წამი ხარი გაჩერდა, ხოლო მატადორმა დაიჩოქა მის წინ. მთელი სტადიონი ფეხზე აიგა ტაშის გრიალითა და შეძახილებით: "ოლე, ოლე! მატადორი წამოხტა, ხარი გონს მოვიდა, ბრძოლა გაგრძელდა. ფინალი ახლოვდებოდა. მატადორს ხარი ისე უნდა დაეღალა, რომ ის განმომცველულად ოთხივე ფეხით სწორად დამდგარიყო. ხმალს, რომელსაც მატადორი მას ჩაასობდა, გულამდე სწორად უნდა მიეღწია, ძვლებს ხმლისთვის ხელი არ უნდა შეეშალა. თუ ხმალი ძვალს მოხვდება, გულამდე ვერ მიაღწევს, ხარი არ მოკვდება, ხოლო მატადორს არენიდან სტვენით გააძევებენ.

დაღლილობისაგან ენა გადმოგდებული ხარი მატადორის წინაშე დადგა. მთელი სტადიონი ყვიროდა: "ოლე", ოლე!..." მატადორი მივარდა; ხარს ბურგიდან ხმალი ჩაასო გულის არეში და სწრაფად უკანვე ამოიღო. ამით გზა მისცა გულიდან ამოხეთქილ სისხლს, რომ ხარი მაღე მომკვდარიყო. მაგრამ რამდენიმე ხანი ხარი მაინც იდგა გაოგნებული. გრძელდებოდა შეძახილები: "ოლე, ოლე!..." მატადორმა იშიშვლა ქამარში ჩადებული პატარა ხანჯალი და ხარს თავში, შერჩეულ ნერტილში ჩაარტყა. ხარი დაეცა. ბრძოლა დამთავრდა. გაბარჯვებულმა მატადორმა ტაშისა და

---

19 ესპარნულად: "ოლე" - "ყოჩაღ"; ბასკურად - "სურვილი", "გემოვნება", "სიამოვნება".

კომპლიმენტებისაგვის მადლობა გადაუხადა მასპინძლებს, აიღო თავისი ქუდი და იგი ტაშის გრიალში მოეგნიდან გააცილეს.

ამის შემდეგ სწრაფად შეგროდიან არენაზე, მოკლე ხარს თოკით ცხენზე მიაბამენ და გააქვთ. მოედანს გაასწორებენ. მატადორი ისვენებს. არენაზე ახალ ხარს შემოუშვებენ. თავიდან იწყება ყველაფერი. ბოლოს მატადორი კლავს ამ ხარსაც. ასე რომ, ერთი თამაშის დროს სამი ხარი გამოასალმეს სიცოცხლეს, თითოეული 700-800 კგ წონის. მოკლული ხარები რესტორნებში მიაქვთ.

ჩვენმა მასპინძელმა ლუის ანტონიო საწვინომ სტადიონიდან სასტუმრო "ოლიმპიკენ" გაგვაქროლა, რომ ბრძოლაში გამარჯვებული მატადორს, რომელიც ამ სასტუმროში ცხოვრობდა, შევხვედროდით.

სასტუმროს წინ თავი მოეყარათ პრესის, რადიოს, ტელევიზიის წარმომადგენლებს, ხალხს... ისინიც მატადორს ელოდებოდნენ. სასტუმროს კარებთან სასტუმრო-რესტორნის პატრონი მარკოს დასპა (Marcos Daspa) შეხვედა. იგი მოგვესალმა და წინ წაგვიძღვა. ჩვენ უკვე სასტუმროს ვესტიბიულში ვართ, გაისმა შეძახილები, მატადორი მოვიდა. ჩაგვიარა, მეორე სართულზე ავიდა. ჩვენ უკან გავყევით. იგი ოთახში შევიდა, კარები დაკეტა. დიდი სარკის წინ სანდლები ენთო ... სანდლებთან მივიდა, [illegible]ცა, ყველა სანთელი ჩააქრო, ჩვენსკენ მობრუნდა, ხელი ჩამოგვარდა (სი ფანისამოსი სისხლში იყო გასვრილი). ჩვენ მადლობა გადავუხადეთ. მსახურმა ფანისამოსის გახდა დაუწყო. ჩვენ წამოვედით.

რესტორან-სასტუმრო "ოლიმპი" ცნობილია პამპლონაში. ჰემინგუეი მისი ხშირი სტუმარი და მარკოს დასპას მეგობარი ყოფილა. ფეხსაცმლის მწმენდავი ხელში ჰემინგუეისთან გადაღებული სურათის ასლებს, ყველას უჩვენებს და ამყობს. სასტუმროს ეზოში ჩვენი მასპინძლის ლუის ანტონიო სანგინოს მიერ შესრულებული ჰემინგუეის ბიუსტი დგას.

პამპლონაში ბევრი ისტორიული ძეგლია: ციხესიმაგრის მოედანი, საკათედრალო სადარი (1127 წ.) კარლოს III-ის სარკოფაგი, წმ. ნიკოლო-

ბის ეკლესია (XII-XIII სს.), რომანული ეკლესია (XII ს.), ნავარას მუზეუმი და არქივი; ნავარას პროვინციის ტერიტორიაზე მიედინება მდ. ებრო, რომელსაც აქვე ერთვიან მდინარეები არგა და ეგა. ქ. პამპლონა მდებარეობს მდ. ირათიზე, რომელიც მდ. არაგონს ერთვის.

ნავარას პროვინციაში, გარდა ქ. პამპლონისა, თავიანთი ისტორიული ძეგლებით აღსანიშნავია ქალაქები: ტუდელა, თაფალა, ოლიტე, ლეირე, იხუე, ესტელა, ელისონდო.

პამპლონაში დავთვალიერეთ ბასკი მხატვრის მიგელ ანგელ ეჩაურის (Miguel Angel Echauri) სახელოსნო. ბასკი მხატვრის გვარმა ჩვენი დიდი ხელოვანი ირაკლი ოჩიაური მოგვაგონა. ბასკური გვარი "ეჩაური" მიღებულია ორი სიტყვიდან: "ეჩე" - ბასკურად "სახლი", "ური" - ქალაქი (ან კიდევ: "ურ" - წყალი). "ეჩ"-დან მიღებული სხვა გვარებიც არის ბასკეთში: ეჩევარია, ეჩებარია...

ბასკურში გვარები ისევე იწარმოება როგორც სხვა ენებში. მაგალითად, ბასკ. ჰარისდი-ა, ან ჰარისტეგი-ა მუხადან მიღებული გვარია; ისევე როგორც მეგრ. ყდონი-ა, ქარდ მუხა-ძე, რუს. დუბ-ინინ.

პამპლონაში სტუმრად მიგვიწვია საავტორო საბოჭადოების პრეზიდენტმა ფედერიკო მორენო-ტორობამ (Federico Moreno-Torroba).

პამპლონადან ჩვენ ჩრდილოეთისაკენ გავემგზავრეთ. გავიარეთ ბასკური სოფლები და პატარა ქალაქები: სოკო, სოკოა, ოლაგუე, ლესა, ელიჩონდო, ეჩალარი, ლესაკა, მეჰომია, ამარა...

ბასკეთში ისეთი შთაბეჭდილება გექმნება თითქოს ყველა მღერის და ცეკვავს. ჩვენმა მასპინძელმა ლუისმა სიმღერა "პოდა ნავარა" წამოიწყო ("გაოცნი ნავარა"), და დაამთავრა სიმღერა "ჰარალიი"-თ ("ჰარალო" საერთოდ, წინ წანევაზე, წინ წასვლაზე მიუთითებს). ეს სიმღერები, რომელთაც აქ მთიელთა სიმღერებს უწოდებენ, ძალიან გავს ჩვენს კახურ სიმღერებს. ეს და მრავალი სხვა ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ბასკეთის შედარება საქართველოს მხოლოდ ერთ რომელიმე კუთხესთან (სამეგ-

ბასკი ბავშვები ეროვნულ ტანისამოსში.

ახალგაზრდა ბასკი.

რეო, გურია,...), როგორც ეს ბოგიერი მკვლევარს ჰგონია, სწორი არ იქნებოდა.

ბასკურ-ქართული შესადარებლად მაგალითები მოეძებნება, მაგალითად: "ბილიკი", "ბორბალი", "ბორცვი", "ერუბული", "ბარი", "ბაგვი",... (ქართულში); "ზხური", "ნგარა", "გირინი", "ონდო", "ონდეთ", "გვერდი",... (მეგრულში); "ეგერ", "ეგარ", "იპარი", "პარი", "ლარე", "ლახვრა", "მალაგე",... (სვანურში); "ნაბურვა", "კილეგ", "კილეგ",... (გურულში); "დაბურკვა", "დაიბურკვა",... (ფშავში); "ბიგა", "ბიჯგი", (აჭარულში) და ა.შ.

ჩვენი ექსპედიცია საოამოს კიპუსკოას ექსპედიციაში[20] ჩავიდა და სასტუმრო "ლონდონს" ეწვია.

სან-სებასტიანი მშვენიერი, წყნარი ქალაქია. იგი მდებარეობს მდ. ურუმეას შესართავთან და გაშენებულია მდინარის ორივე მხარეზე. სასტუმრო "ლონდონი" კი ზღვის პირზე მდებარეობს. აქედან ნახევარწრედ იშლება ორი დიდი პლიაჟი-ზონცა (ბასკ.-"კაუჭი") და ონდარეტა (ბასკ. - "ქვიშა"). მაყურებლის წინ იშლება სან-სებასტიანის უბე (კანტაბრიის ზღვის ნაწილი), შუაში წმ. კლარას (ბერმეტსახელი: "კუ", ვინაიდან კუს ჰგავს) კუნძული, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ ზღვაში შეჭრილია ორი მთა: ურგული და იგელდო. ორივენი ქალაქს დაჰყურებენ. ქალაქის გარეთ მშვენიერი სანახაობა ვენახებია და სიმინდის ყანებით დაფარული დაბლობი ორია და მთა აიცტორი.

სან-სებასტიანში დაგვემშვიდობა ლუის ანტონიო სანგინო და მისი მეუღლე, მაგრამ შემოგვიერთდა ხოსე ანტონიო მარტინი ალონსო-მარტინესი (José A.Martin Y Alonso - Martines) მეუღლითურთ.

აქვე შევხვდით ბასკური ენის სამეფო აკადემიის წევრს ამბროსიო დე ლატარაინ ეჩევესტეს (Ambrosio de Latarain Echeveste). მისი

---

20 სან-სებასტიანი - მისი ბასკური სახელწოდებაა დონოსტია (ბასკ. "დონ"-წმინდა; "ოსტია" - მსხვერპლი, "კივლი").

მეგზურობით დავამკვიდრეთ ბასკების ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი "სან-ფერმო". იგი მოთავსებულია XVI ს. აგებულ შენობაში. აქ, მრავალი ექსპონატი იპყრობს ყურადღებას ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ქართულ-ბასკურის შედარებისათვის. განსაკუთრებული შესწავლის ღირსია ბასკური დოლმენები და საინტერესოა მათი შედარება კავკასიის, კერძოდ საქართველოში აღმოჩენილ დოლმენებთან[21].

სან-სებასტიანში გავეცანით"შემნახველი საიაროს" (პრეზიდენტი ხულიო აბად მატა (Julio Abad Mata) მუშაობას. იგი დაარსებულია 1906 წელს და აფინანსებს გიპუსკოას პროვინციის საგამომცემლო ორგანიზაციებს. ეს დაწესებულება, რომელიც ათას თანამშრომელს ითვლის. ავტონომიური უფლებით სარგებლობს და ემსახურება მხოლოდ გიპუსკოას პროვინციას.

სან-სებასტიანიდან საფრანგეთის ბასკეთისაკენ გავემგზავრეთ. გავიარეთ ულია, ლესო, ირუნი და მდ. ბიდასოამდე მივედით. ამ მდინარეზე გადის ესპანეთისა და საფრანგეთის ბასკების საზღვარი. ეს საზღვარი ახლა არაა დაკეტილი, თავისუფლად გადადიან (ფრანკოს რეჟიმის დროს საკონსულოების ნებართვა იყო საჭირო გადასვლისათვის). ესპანეთის მხარეზე მდებარეობს ქ. ირუნი, ხოლო საფრანგეთის მხარეზე - ქ. ანდაი. ირუნი დაბლობზეა-მდ. ბიდასოას გაღმა კი მთებია. ირუნსა და ანდაის შორის, ესპანეთის მხარეს, ფუენტერაბიაში სან-სებასტიანის აეროპორტია გაშენებული.

ირუნის გარეუბანის მაღლობზე მდებარე რესტორანიდან, რომელსაც ვეწვეთ კარგად მოჩანს მდ. ბიდასოას ორივე მხარე, მისი შესართავი (იგი ბისკაის ყურეს ერთვის) და შესართავთან მდებარე ხოხობის ან კონფერენციის კუნძულები, რომელზეც 1660 წელს ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთის მეფე ლუი XIV და ესპანეთის მეფე ფილიპე IV[22].

---

21 იხ. ვ. მაროვინის, ო. ჯაფარიძის, ბ. კუფტინის ნაშრომები.
22 იხ. ი. ფაბიუა, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

საიამოს სან-სებასტიანში დავბრუნდით; მეორე დილით ბილბაოსკენ გა-ვემგზავრეთ. ჩვენმა მასპინძელმა ხოსე ანტონიომ გვირჩია მოგზაურობა არა მარტო გზით (ავტოსტრადით), არამედ ზღვის სანაპიროზე მიმავალი ვი-წრო გზით, რომ ბასკურ სოფლებსა და პატარა ნავსადგურებში მეტი კონტაქ-ტი გვქონოდა ბასკებთან.

გავიარეთ ბერბერანა, ტუალენი, იგლიდო, მეთევზეთა სოფელი იორი, სადაც ნავების შეჯიბრება ენყობა. მშვენიერია პლიაჟი "ჩოკო შიკი". ქ. • სარაუსი განთქმულია დიდი პლიაჟით, სასახლეებით, ვილებით, პარკებითა და სასტუმროებით. აქ დასასვენებლად ჩადიოდა ესპანეთის დედოფალი იზაბელა II.

ჩავედით მეთევზეთა ქალაქ გეტარიაში. იგი ცნობილი მეგზაურის ხუან სებასტიან ელკანოს სამშობლოა (ფილიპინებზე მაგელანის მოკვლის შემდეგ დედამიწას რომ შემოუარა), აქ მისი ძეგლი დგას. მივაშურეთ რესტორანს. იგი ზღვის პირას მდებარეობს და ქვია "კაია". ამ ადგილსაც "კაია" ენო-ებება. რესტორნის მეპატრონის ოჯახმა როცა გაიგო, რომ ჩვენ "ქართველი ბასკები" ვართ და რამდენიმე სიტყვა ბასკურადაც ვუთხარით, არ იცოდნენ როგორი პატივი ეცათ ჩვენთვის. ათას დაგვტრიალებდნენ. მოგვართვეს ად-გილობრივი ნითელი ღვინო "ჩაკოლი ჩოპინეჩანი".

ბილბაოსაკენ გზა განვაგრძეთ. კვლავ მშვენიერი ადგილები: სუმაია, დევა, მოტრიკო. მივედით გერნიკაში. იგი მდ. ოკაზე მდებარეობს და ცნობილია ბასკების ისტორიაში. მეფე ფერდინანდმა და დედოფალმა იზაბელა კასტილელმა აქ დადეს ფიცი, რომ პატივი ეცათ ბასკების ადგილსა-თვის. 1937 წელს გერნიკა მიწასთან გაასწორა ფრანკოს მხარეზე მოქმედ-მა ჰიტლერელთა ავიაციამ. გერმანელი ფაშისტების ეს ბარბაროსობა ასა-ხულია პაბლო პიკასოს ცნობილ სურათში "გერნიკა". ეს სურათი 40 წელი ნიუ-იორკის მუზეუმში იყო და ახლახან დაბრუნდა ადგილ სამშობლოში.

გერნიკაში სანტა-კლარას ქუჩაზე არის ბასკების ხუნჯას სახლი. ამავე სახლში ინახება ბისკაიის სენიორიის მთავარი არქივი, აქვეა ბასკების ისტორიული მუზეუმი. ეკლესიის ეზოში დგას ცნობილი გერნიკას

ხე ("გერნიკაკო არბოლა"), გერნიკას მუხა ("გერნიკაკო არიც")[23].
ხოსე მარია იპარაგირეს ლექსი "გერნიკაკო არბოლა" ბასკების ჰიმნია.
აი ეს ლექსიც:

Gernikako arbola

da bedinkatua,

euskaldunen artean

gustiz maitatua.

Eman ta zabal zazu

munduan frutua

Adoratzen zaitugu

Arbola santua.

გერნიკას ხეო! წმინდაო წმინდავ,

ბასკებისაგვის დიდად საყვარელო.

შენი ნაყოფი მთელს მსოფლიოს

უნდა ვაცნო და ვაავრცელო.

ოჰ, წმინდა ხეო,

ყოველი ბასკი გეუბნება:

შენ დაგვანს ცცემო.

გერნიკას დადგენილების შემდეგ ბისკაის დედაქალაქ ბილბაოში[24] *ჩავედი. აქ დავტოვეს ხოსე ანტონიომ და მისმა მეუღლემ. იგი შეცვალა ხსენებული ფირმის ვიცე-პრეზიდენტმა როსენდო ე. ჩავარიამ* (Rosendo E.Chavaria). *რ.ე. ჩავარია კომერსანტია. იგი მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა კავშირ-ესპანეთის საგაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობას. რ.ე. ჩავარია ძალიან დაინტერესებულია ბასკურ-ქართული ურთიერთობათა პრობლემით. დაბადებულია ნიკარაგუას დედაქალაქ მანაგუაში, იქ მიუღია*

---

23 *იხ. ი. ფაბიუა, დასახ. ნაშრ., გვ. 84.*

24 *ბილბაოს (ბასკურად: ბილბო) სახელწოდებას შემდეგნაირად ხსნიან ხოლმე ბასკ. "ბელ ვაო" - "მშვენიერი ფონი".*

ტარიღება და ეიდ ხანს უმუშავია, მაგრამ მანამდეში ამ რამდენიმე წლის წინად მომხდარი ეიდი მინისძვრის ერის უსახლკაროდ დარჩენილა და ცოლ-შვილით საცხოვრებლად მარრიდში გადასულა.

ბილბაოში შევხვდით ბასკური ენის მასწავლებლებს ხესუს დე ოლეაგას, პენია აღბის შაბიერს (Jesus de Oleaga,Penia Albis Xabier); იურისტ ხოაკინ სოპეს ლულეტას (Joaqui Sopes Luluete). მალად საუბარში ვავეცანით ბასკეთის დაწყებით სკოლებში ბასკური ენის სწავლების საკითხებს.

ერთ დღეს, ბილბაოს სასტუმრო "ეილა დე ბილბაოში" ჩვენთან მოვიდა საშუალო ტანის ახალგაზრდა და მოგვმართა ქართულად უაქცენტოდ: "გამარჯობთ ბატონებო! როგორ ბრძანდებით? მე ვარ პროფესორი შაბიერ კინტანა". ეიახ, ეს იყო ბასკური ენის სამეფო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი შაბიერ კინტანა (Xabier Kintana), რომელიც ამ დღიდან ბილბაოში ყოფნისას მეგობარ თან გვახლდა.

ბილბაო ინდუსტრიული ქალაქია. იგი თავისი გარეუბნებით (ეჩევარი, ბაშაური, ლერონა, პაგაშარი, ელირიო) კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ქალაქს გაჰყურებს მთა არჩანდა. ბილბაო ბასკეთის კულტურული ცენტრია. აქაურ ოპერის თეატრს "კამპოს ელისეოს" და არიანას თეატრს ბევრი მაყურებელი ჰყავს[25].

პროფესორ შაბიერ კინტანას საშუალებით ბილბაო კარგად გავაანალიზეთ. ვნახეთ ბილბაოს რამდენიმე გამომცემლობა. კერძოდ, ბასკური წიგნების გამომცემლობა, რომლის უფროსმა ხოსე მარტინ დე რეტანამ (José M.Martin de Retana) ბევრი წიგნი გვაჩუქა. საინტერესო წიგნები გამოგვიგზავნა, აგრეთვე, აღვოკატმა ხესუს დე ოლეაგამ (Jesus de Oleaga).

ბილბაოდან ექსკურსია გაეგზავნა სანტუარიო დე არანცაცუ ონია-

---

25 J.A.Arana Martija,Opera Vasca en Viscaya,Edita la C.A.V.,1977.

ტეში (79 კმ-ზე ბილბაოდან). აქ საბჭოთა დელეგაცია შეხვდა ბასკური ენის სამეფო აკადემიის წევრებს. კერძოდ, აკადემიის პრეზიდენტს ლუის ვილიასანტეს (Luis Villasante), აკადემიის პრეზიდიუმის მდივანს ხუან სან-მარტენს (Juan San-Martin), მუსიკათმცოდნე ხოსე ანტონიო არანა მარტინას (José Antonio Arana Martija) და სხვ. აქვე იყო პროფ. შაბიერ კინტანაც. საუბრის დროს განიხილეს ბასკ და ქართველ მეცნიერთა კონტაქტების გაფართოების, მეცნიერთა, ასპირანტთა და სტუდენტთა გაცვლის და სხვა საკითხები.

ბასკური ენის სამეფო აკადემიის წევრები დადებითად შეხვდნენ საბჭოთა დელეგაციის წინადადებას ქართველ და ბასკ მეცნიერებს შორის კონტაქტების დამყარებისა და მეცნიერ-სპეციალისტთა გაცვლის შესახებ. ეს საკითხი, როგორც პროფ. შაბიერ კინტანამ შემდგომში შეგვატყობინა, აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე სპეციალურად იქნა განხილული და მოწონებული.

ბასკური ენის აკადემიის ორგანო "ეუსკერა" ("Euskera ") სისტემატურად აქვეყნებს სტატიებს ბასკურ-ქართული ურთიერთობაზე.

მეტად საინტერესო იყო საუბარი ბასკ სპეციალისტებთან. კერძოდ ბასკურ-კავკასიურ ურთიერთობაზე მათი შეხედულებების გაცნობა, ბასკების ისტორიის ერთიანი, ყოვლისმომცველი წიგნის გამოქვეყნებისა და სხვ.

საინტერესო იყო ასევე ბასკუნთან შეხვედრა და საუბარი. ბასკი, ბასკური ენის გადეხვის მიზნით, გვთავაზობს ისეთ სიტყვებს, როგორიც ქართულშიც გვაქვს: "ბაყაყი წყალში ყიყინებს". ბასკი კი გვთავაზობს: "აკერრაკ, ადარრაკ, ოკერრაკ, დუტუ"[26] (სიტყვასიტყვით: "ხეებს, რქები გადაღუნული აქვთ").

ბასკები სტუმართმოყვარე ხალხია. ბასკურ-ქართულ ურთიერთობის ჰიპოთეზა ბასკეთში ყველგანაა ცნობილი. ამიტომ საქართველოდან ჩასული პიროვნებას განსაკუთრებული პატივისცემით ექცევიან. განსაკუთრებული

---

26 "Akkerrak,adarrak,okkerrak,dutu".



ცნობილი ბასკი ფეხბურთელი ირიბარი.

ავტოგრაფი: "ქარიფული მეგობრებს სულით და გულით.

ირიბარი".

ყურადღებასა და პატივისცემას გაიმსახურებდა თუ რამდენიმე სიტყვას ბასკურადაც ეტყვიდა. მაგ., გამარჯობა ბატონებო! – "აგურ ჯაუნაკ!" როგორ ბრძანდებიდა? – "ნოლა სარა?"; მე კარგად ვარ – "ონი ნაის"; თქვენ კარგად ხართ? – "ონდო საუდეტ?"; ჩვენ კარგად ვართ, ემერდის წყალობით – "არას ინდო გარა, ჯაინკოარი ეშკერ"; მამა და დედა, ორივე კარგად არიან – "აიტა ეტა ამა, ბიაკ ონდო დირა"; სად მიდიხარ? – "ნორა სოას?"; სახლში მივდივარ – "ეჩერა ნოა"; და თქვენ? – "ეტა სუ?"; მე სახლიდან მოვდივარ –"ნი, ეჩეტიკ ჰედე ნაის"; კარგად იყავით – "ისან ონცა"; ნახვამდის – "იკუშ არტე"; გამარჯობა პატარა ბიჭო! რა ქვია შენ? – "აგურ მუტიო! სერ დუკ ისენა?"; მე მქვია ილია – "ილია დუტ ისენა"; საიდან ხარ შენ? – "ნუნგოა ჰაის?"; სად ცხოვრობ თქვენ? – "ნუნ ბისი სარა?–; მე თბილისიდან ვარ – "ტბილისკოა ნაის; გაბრძანდიო! – "ჯარ საიტეს!"; მადლობთ, სიამოვნებით – "მილეშკერ, ტოგოტიკ"; რამდენი წლისა ხართ? – "სენბატ ურთე დიტუს?"; სამოცი წლისა ვარ – "ჰირუოგეი ურთე დიტუტ"; როგორი ამინდია? – "სერ არო და?" წვიმს, ცხელია, ცივა – "ეურია არი და, ბერო და, ჰოც და"; რომელი საათია? – "სერ ტენორე და?"; პირველი საათია – "ორეუ ბატა და"; თქვენ კარგად გეძინა? – "ონგი ლოტინ დუსუ?"; დიახ, ძალიან კარგად – "ბაი, ბისიკი ინგი"; რა არის ახალი? – "სერ და ბერრი?"; არაფერია ახალი – "საჰარრაკ ბერრი".

რადგან ქართველებში დიდ ინტერესს იწვევს ბასკური ენა, გავბედავ სამაგალითოდ მოვიტანო რამდენიმე ბასკური სიტყვა, "ფიფარეა" – საფიფურია. (საფიფური არის), "ტინი" – კედე; "ოფასალი" – პურის ქერქი; "სალაპარტა" – აგიტაცია; "აინფიცინდუ" – წინასწარმეტყველი; "აინფიცინაფე" – წინანდელი; "აიფიცინ" – ფასადი, წინა ნაწილი; "ოჩო" – მგელი; "აკარა" – გამორჩევა; "გუნე" – ადგილი, მხარე; "გუნეკა" – ნაწილ-ნაწილ; "გუნეს" – მსგავსება, ურთიერთგაგება.

"ტომენის" – მშია (სიტყვასიტყვით: "მშიერი ვარ მე"); "ეგარინის"

- მწყურია ("მწყურვალე ვარ მე"); "ჰოცია" - ცივა ("სიცივე არის ის"); "ბერობა" - ცხელა ("სიცხე არის ის"); "ონსარა" - კარგად არის ის; "ფანბა" - ყრუ, ჩუმად; "მაიტე უკან დიტ" - მე ის მიყვარდა ("სიყვარული მქონდა მე მისი"); "მაიტე დუტ" - მე ის მიყვარს ("სიყვარული მაქვს მისი მე"); "კანიბეტ შური ბატ ტაღიდუა" - მან ერთი ოთხი ცხვარი დაკარგა ("ოთხი ცხვარი ერთი დაკარგა მან").

"ტეღიტუ" - დარჩენა: "ნაკო" - მე ვრჩები, "ჰაკო" - შენ რჩები, "დაკო" - ის რჩება, "ტაკოს" - ჩვენ ვრჩებით, "საკოს" - თქვენ რჩებით, "დაკოს" - ისინი რჩებიან ("ნ,ნი" - მე; "ჰ, ჰი" - შენ; ტ, ტუ - ჩვენ; "ს,სუ" - თქვენ; "ის", "ისინი" - ბასკურში ცალკე არ გამოიყენება, მაგრამ სიტყვაში ასო "ი" ამ ნაცვალსახელების მაჩვენებელია).

"სურტაი" - ხე, რომელიც ბევრ შეშას იძლევა. აქედან ინარმოება შემდეგი სიტყვები: "სურიინ" - ტყეტალი, "სურტინო" - მეტყეტლე, "სურტინუა" - სატყეტლე; "ტოტო" - აბრი, სურვილი, სურვილისაკენ მისწრაფება, სიამოვნება; "ტოტორ" - მკაცრი, მაგარი; "ირი", "�iri" - ქალაქი; "ბერი" - ახალი; "iliberi" - ახალქალაქი.

ბასკურად: "ნეშკა" - რკინა მოუნული ფავი, ჩამოსაკიდებელი. სვანურში: "ნეშკა (კედლის სახელია, ხაიშის ს.ს.) ერთი და იმავე სემანტიკისა და წარმოშობის გეოგრაფიული სახელწოდებებია". იგი ბოსლის ჭერზანაა დაკავშირებული, გეოგრაფიული ტერმინის - ტერასა-ს ფუნქციური ექვივალენტია და სვანურში ლანდშაფტის გამრეკ ან შვეულ კალთებზე, მოცრო ტერასული დავაკებების აღმნიშვნელი"[27]. ბასკურად "ჯახუნდერი" - ციცი სოფელი. ჯახუნდერი - სოფელი ლენტეხის რაიონში. მოგვაქვს ბასკურ-კავკასიურ ენათა სიტყვების შედარების რამდენიმე მაგალითი:

---

27 ა. ფკალეა, რამდენიმე საერთო-ქართველური ფუძის მქონე ტოპონიმის ისტორიისათვის, "მაცნე", ენისა და ლიტ. სერია, 1974, № 3, გვ. 115-116.

ბასკური: "აკერ" – ვაცი ქართული: "კრავი", "კრაველი",
მეგრული: "კირიბი",
"ანაი" – ძმა ქართული: "ნანა",
"აშტო"–ვირი აფხაზური: "აფსად",
"ჰარი"–ქვა ქართული: "ქარვა",
ლაკური: "კარუ",
"გუდა"–ომი ქართული: "გაგუდვა", "მოგუდვა",
"იბილი"–წასვლა ქართული: "ბილიკი",
"იბარ"–ბარი ქართული: "ბარი",
"იბონ"–ფბა მეგრული: "ბონუა", "იბონს",
"ანც, ონც"–მიმართულების გამომხატველი. ასევეა აფხაზურშიც
"ოლიუ"–სველად ყოფნა ქართული: "ოლე" (ჭაობი).
"ლაგუნ"–მეგობარი ჩარქეზული: "ლეგო",
"ლარე"–ვერი ქართული: „ლარი"
"ირაკური"–კითხვა ქართული: "შეკრება",
მეგრული: "კოროცხუა",
"ერდი"–ნახევარი მეგრული: "გვერდი",
"ჰიტ"–სიტყვა ქართული: "ფიცი",
"გარგარ"–ყვავი ლაკური: "გერგერ",
ქართული: "ქერი",
"ნეგარ"–ცრემლი მეგრული: "ნგარა",
"გურაშო"–მშობლები ქართული: "გვარი",
."ურ"–წყალი ქართული: "მეურნე"; წყურგილი, სქური;
დიოსკურია.

ჩვენი საბჭოთა დელეგაციის მუშაობის წარმატება მნიშვნელოვნად განპირობა საბჭოთა კავშირის საელჩოს ყურადღებამ და მხარდაჭერამ. სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ესპანეთში ა.ს. ბოგომოლოვმა ორჯერ მიიღო ჩვენი დელეგაცია და ჰქონდა მასთან საუბარი.

ბასკეთში მოგზაურობის შემდეგ დელეგაციის წევრები დაებრუნდნენ

ბაღრიღში, ხოლო იქიღან საბჭოღოში ცამოვემგზავრეთ. ესპანეთში, კერძოდ ბასკეთში საბჭოთა ღელეგაციის მოღვაწეობა ფართოდ აღნერა ესპანურმა და ბასკურმა პრესამ[28].

საბჭოთა მეცნიერების პირველი ღელეგაციის ბასკეთში ყოფნის შემდეგ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით, საქართველოში ორთვენახევარი იმყოფებოდა ბასკური ენის სამეფო აკადემიის წევრი, ფილოსოფიისა და ფილოლოგიის ღოქტორი, ღესკოგრაფი, მთარგმნელი, ბილბაოს უნივერსიტეტის პროფესორი ფრანსისკო შაბიერ კინტანა ურტიაგა. მისი მასპინძლობა და მეცნიერული ხელმძღვანელობა იკისრა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა.

პროფ. შაბიერ კინტანა ცაეცნო არა მარტო თბილისის ღირსშესანიშნაობებს, არამედ ენვია მცხეთას, ტორს, იყო ყვარელში (ეაესნრო ილია ჭავჭავაძის 140 წლისთავის ღოესასნაულს და სიტყვითაც ცამოვიდა), სიღნაღში, თელავში (ეააღვალილერა იყალთო და ალავერდი). ლექცია თემაზე: "ბასკური ენის თანამედროვე მდგომარეობა და ბასკურ-ქართული ურთიერთობანი" წაიკითხა თბილისის უნივერსიტეტის სხეოთაა ეარბაზში, ფოთის ფასისის სახალხო აკადემიაში, ქუთაისის - ბელადის აკადემიაში[29]. ნახა წყალტუბო, ვანი (ეააღვალილერა ცალაკტიონ ცაბიძის სახლმუზეუმი) და სხვ.

პროფ. შ. კინტანა შეხვდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს პროფ. ე. ჩხიკვიშვილს (ცადასცა მას ბილბაოს უნივერსიტეტის რექტორის მარტინ მაგეოს მეგობრული წერილი), აკად. არნ ჩიქობავას, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს ოთ. თაქთაქიშვილს (ცა-

---

28 Jose Acosta, En Georgia siempre ha sido dominio popular que vascos y georgianos son del mismo tronco, "El Diario Vasco", 10 de julio de 1977, p.24; Toressa Doueil, Georgianos y Vascos somos hermanos, "El Correo Espanol. El Pueblo vasco", 12 de julio de 1977.

29 იხ. ი. ცაბაღუა, ბასკი მეცნიერი ქუთაისში, ცაგ. "ქუთაისი", 23.V. 1979.

Baina es betiko!

Itsuliko nais,bai

Lagun neurea;

Isanen nais hemen oraino,

Agurtzeko,ikusteko elkar.

Tori ene eskuas,bihotza,

Aireportuan.

Bidaia Luze da,

Adiskide maiteok,

Goraintziak beras gustioi.

Urte gutiren barru

Agertuko nais berriro.

Tbilissi,24.VII.1978.

Xabier Kintana.

აი მისი ქარდული დარგბანი, რომელიც ბწკარედიან პოეტს ნაბი კი-ლასონიამ გააკეთა:

... მაგრამ არა საბუღამდე

მეგობარო, მიყვიავარ,

მეგობარო წახვამდის.

მიყვარ, ანა მშვიდი ვარ,

კიდევ ბევრჯერ გნახავდი.

კიდევ ბევრჯერ ამ მხარეს

ნმინდა ხსოვნით ვახარებ, -

მაგრამ გზაა ოფორტი -

აჰა, აეროპორტიც.

აჰა, ხელიან ეს გულიც

ერთი რნმენით წახატი.

მეგობარი, ერთგული,

მშვიდობიან და წახვამდის!"[30]

საშობაოში დაბრუნების შემდეგ პროფ. შაბიერ კინტანამ ბასკურ და ესპანურ გაზეთებში[31] გამოაქვეყნა სტატიები, დღევანდელი - საბჭოთა საქართველოს[32] და აქ მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ[33]

პროფ. შ. კინტანას დიდი სურვილი ჰქონდა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში ერთი პატარა კუთხე დათმოდა ბასკეთს, სადაც ნაჩვენები იქნებოდა ბასკების ისტორიულ-ეთნოგრაფიული სახე, რისთვისაც წიწასწარ დატოვა: ანტონ ჩაკონის პატარა, მაგრამ ძვირფასი ბასკური ხაიჩა, მხატვარ სიმფრიდო კოხის ნახატი სურათი და სხვა სურათები. მაგრამ ეს კარგი იდეა ჯერ ვერ განვახორციელეთ.

საქართველოში ყოფნის დროს შაბიერ კინტანა წარმატებით ეუფლებოდა ქართულ ენას და ქართველ სპეციალისტებთან ერთად მუშაობდა შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" ბასკურად თარგმანზე.

საქართველოდან გამგზავრების წინ პროფ. შ. კინტანა გაზეთ "კომუნისტში" გამოქვეყნებულ სტატიაში[33] "ქართველებმა კარი გაიხადეს" წერდა: "საქართველოში, სადაც კი ვიყავი, ყველგან ვეგებებოდნენ ქართველი ხალხის უდიდეს სითბოს და სიყვარულს ჩემი მშობლიური ბასკი ხალხი-

---

31 Xabier Kintana,Euskaldunentzat Georgia ezezaguna da,georgiarrentzat,ostera,Euskal Herria bigarren aberria,"Deia",10.VIII.1978;X.Kintana,Georgiako Herritik dator notizia... Euskaldunon anaia dikia Kaukasian,"Egin",28.IX.1978; X.Kintana,Euskaldun bat Georgian,"Egin",30.IX.1978;X.Kintana,Euskal Herritik Georgiara Moskun Zehar I,II,"Anaitasuna",1.X.1978;X.Kintana, Euskal akademiko bat georgiaraz kezkaturik,"Egin",4.X.1978;X.Kintana,Gudiaxvili eta Zuloaga pintatzaileak eta kapela ahaztua,"Egin",6.X.1978;X.Kintana,Los soviéticos no estan obligados a saber ruso,"Egin",22.X.1978;X.Kintrna,Euskaldun bat Georgian - Un Vasco en Georgia,"Egun on",N°14,1978;X.Kintana,Georgia:Un nuevo libro sobre los Vascos,"ERE",N°21,1980 etc.

30 ი. ტაბაღუა, ბასკები - იბერების შთამომავლები, "ნორჩი ლენინელი", 22.IX.78.

31 ი.ტაბაღუა, კიდევ ბევრჯერ გნახავდი, გაზ. "კომუნისტი", 28.I.79.

საბმი. თქვენმა ხალხმა თავისი დიდი და კეთილი გული გადაბეჭდა.

ყოველივე ამას მე მინდა ეუპასუხო-"ვეფხისტყაოსნის" კარგი თარგმანით ბასკურად, ხოლო ჩემი ბასკი კოლეგები შეეცდებიან ასევე კარგი ილუსტრაციები გააკეთონ მისთვის".

პროფ. შ. კინტანა შესანიშნავად ასრულებს თავის დაპირებას. იგი ინტენსიურად მუშაობს "ვეფხისტყაოსნის" ბასკურად თარგმნაზე. მან უკვე თარგმნა 176 სტროფი ბასკურად და ჟურნალ "ეგანში" გამოაქვეყნა[34]. თარგმანს წინ უძღვის შესავალი, სადაც პროფ. შ. კინტანა ბასკ მკითხველს საერთო წარმოდგენას უქმნის საქართველოზე. იგი წერს: "ბასკურ ენაზე "ვეფხისტყაოსნის" თარგმნით მე ვამდიდრებ ჩვენს ბასკურ კულტურას. ამავე დროს მე მინდა პატივი დავდო და მადლობა გადავუხადო ქართველ ხალხს, ამ ჩვენს ძმა ერს, რომელიც ასე ახლოა ჩვენთან. მით უფრო, რომ ჩემი აზრით, ხალხების ფასი და მნიშვნელობა ტერიტორიის ფართობის სიდიდით ან მოსახლეობის რაოდენობით კი არ უნდა განისაზღვროს, არამედ მათი შეღლების ღირსებით"[35].

პროფ. შ. კინტანა სისტემატურად აქვეყნებს სტატიებს საქართველოს შესახებ ბასკურ და ესპანურ ჟურნალ-გაზეთებში[36]. მასთან მუშაობენ ბასკი ახალგაზრდები: კარმელო ლანდა, ანჭონ ასკარგორტი, რამონ პენაგარიკანო და სხვა, რომლებიც დაინტერესებული არიან ბასკურ-ქართული ურთიერთობის საკითხებით. 1980 წლის თებერვალში (პარიზში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნის დროს) პროფ. შ. კინტანა ზემოხსენებული ბასკ მეგობრებთან ერთად ჩვენთან პარიზში ჩამოვიდა და ხუთი დღის განმავლობაში მუშაობდნენ პარიზის ბიბლიოთეკებში, ხოლო ჩვენგან ლებულობდნენ კონსულტაციებს ქართული ენაში, საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებში. პროფ. შ. კინტანა აქაც განაგრძობდა მუშაობას შოთა რუს-

---

34 იხ ი. ფაბიუა, ბასკები კითხულობენ "ვეფხისტყაოსანს", გაზ. "კომუნისტი", 1980 წ. 24 მაისი. "Egan",1977,N°I-6,pp.II9-I49.

35 "Egan",1977,N°I66,p.I24.

ბავეიის "ვეფხისტყაოსნის" მარგანზე. სხვაგან შორის, პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მუშაობს ერთი ბასკი ქალი - ალენ რობი (Mme Aline Roby), რომელმაც ბასკების ისტორიის შესახებ ბევრ საინტერესო წიგნზე მიუთითა.

იმავე ფებერვალში ტულუზის ლე მირაის უნივერსიტეტის მიწვევით ტულუზაში ჩავედი. ლექცია წავიკითხე საქართველო-საფრანგეთის ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობებზე. ლექციის დროს ვუჩვენეთ საქართველოს ისტორიული ძეგლები და სხვადასხვა ხედები (სლაიდები გააკეთა ტულუზის უნივერსიტეტის პროფესორმა, ბასკოლოგმა ჟაკ ალიერმა. იგი საქართველოში იყო). ლექციის შემდეგ პროფ. ჟაკ ალიერმა (Jacques Allières) და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ყოფილმა დეკანმა პროფ. ჟაკ. გოდშომ (Jacques Godechot) პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრა მოაწყვეს. ლექციას და ამ შეხვედრას ესწრებოდა ტულუზის მკვიდრი, ნახევრად ქართველი, ნიჭიერი ახალგაზრდა გიორგი (ჯორჯ) იასონოვსკი-შიშინაშვილი (Géorges Jassonovski - Chichinachvili), რომელიც ძალიან დაინტერესებული იყო ბასკურ-ქართული პრობლემით. (იმავე წლის გაფხულში მას ყველა საჭირო საბუთი მზად ჰქონდა მისი ოცნების განსახორციელებლად - საქართველოში გასამგზავრებლად. მაგრამ ბედმა უმტყუნა. ავარიაში მოჰყვა და დაიღუპა). მისი ერთადერთი და ბასკს მიანდოვეს. გიორგიმ იცოდა, რომ მეორე დღეს პროფ. ჟ. ალიერთან ერთად საფრანგეთის ბასკეთში მივემგზავრებოდით. მან გვთხოვა მისი სიძე და და (ბასკების ოჯახი) გვენახა. მისი სურვილი ჩვენ სიამოვნებით შევასრულეთ.

მეორე დღეს პროფ. ჟ. ალიერთან ერთად საფრანგეთის ბასკეთში გავემგზავრეთ. ბასკების ქალაქ ბაიონაში ჩავედით, კიდევ ერთხელ დავათვალიერეთ ბასკების მუზეუმი, ხელი შემდეგ შევხვედით და ვესაუბრეთ ცნობილ ბასკ მეცნიერს, ბასკური ენის გრამატიკის ავტორს პიერ

---

36 Xabier Kintana,Georgia;Un nuevo libro sobre los vascos,"Zre",febrero, 1980,N°21,pp.56-57;Xabier Galdeano,Euskaldun dat Georgian,Un vasco en Georgia,"Egun on",1980,N°14,pp.24-25.

ლაფიტს. იგი უკვე 80 წლის გადაცილებული იყო. ბასკეთში ჩვენი მოგზაურობით და ბასკურ-ქართული პრობლემებით დაინტერესდა აღგილობრივი რადიო, ტელევიზია და პრესა.

ვიმოგზაურეთ ბასკეთის სოფლებში. ამ მოგზაურობაში ჩვენი მასპინძელი იყო ქ. სარის მერი პოლ დიუტურნიე (Paul Dutournier, Maire de Sare Président du Bitzar des Maires du Labourd). ჩვენ ვმოგზაურობდით ესპანეთის მოსაზღვრე მთაგორიან სოფლებში, სადაც მოსახლეობა მხოლოდ ბასკურად ლაპარაკობს. მერმა გაგვაცნო ადგილობრივი ცხენების მეურნეობა, რომელსაც ივითონ ხელმძღვანელობს (Président National de l'Association Nationale du Pottok).

ბოლოს პატარა ბასკურ ქალაქ ურუგნ-სოკოაში მივედით და ბასკი ჟან ეჩებერის (Jean Etcheberry) ოჯახს ვეწვიეთ. მისი მეუღლე გამოხსენებული კიორგის დაა. მან სიამოვნებით მიგვიღეს. საღამოს ბიარიცის გავლით, ბაიონაში დაბრუნდით.

1980 წლის აგვისტოში ბილბაოში ჩატარდა ბასკოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელსაც ესწრებოდა ქართველ მეცნიერთა დელეგაცია აკად. შ. ძიძიგურის მეთაურობით[37].

---

37 იხ. შ. ძიძიგური, წაგესაობის ჰიპოთეზის აღიარება, გაზ. "კომუნისტი", 1981 წ. 8 აპრილი.

ბასკური მუსიკის ისტორიისა და თეორიის ზოგიერთი პრობლემატური საკითხის ანალიზი და მიმოხილვა

აკად. ი. ჯავახიშვილი[1] და აკად. ს. ჯანაშია[2], ასევე ბასკეთის ისტორიის სპეციალისტები[3] უკავშირებენ თავისი ქვეყნის წარმოშობას "ბიბლიის", "მესაქმის" IV თავში მოხსენიებული "იუბალსა" და "თუბალს", რომელთანაც ერთი იყო მჭედელი, ხოლო მეორე – მუსიკოსი. აკად. ს. ჯანაშია წერს, რომ "ქართლი, მცხეთა-არმაზის სამეფო, მხოლოდ ახალი პოლიტიკური წარმონაქმნი იყო იმ ხალხისა, რომელიც მეექვსე-მეხუთე საუკუნეებში საპირ-საბერის სახელით კარგად ცნობილი იყო ბერძნებისათვის და რომელიც მაშინ თავისი სამხრეთი საზღვრით ჯერ კიდევ დიდად არ იყო დაშორებული თავის დედასამშობლოს. დიდმნიშვნელოვანია ქართველი ერის ისტორიისათვის, რომ ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში წინააზიის ძირეული ტერიტორიის (წინააზია მცირე აზიისა და არაბეთის ნახევარ კუნძულის გამოკლებით) ოთხი უდიდესი ხალხიდან (სპარსელები, მიდიელები, სასპერები, კოლხები) ორი – კოლხები და სასპერები – ქართული მოდგმის იყო. სახელწოდება საბერ-საპირი თაბალ-თუბალის ჯგუფს ეკუთვნის და ის ისტორიული სურათი, რომელიც აქ წარმოდგენილია საბერ-საპირის გარშემო, აღადგენს თაბალ-თუბალის მოდგმის ისტორიას და საკითხით ეთანხმება ამ უკანასკნელს". ჩვენთვის აშკარაა, რომ მკვლევარი ქართველთა გენეზისს სხვა კუთხით წარმართავს, მაგრამ ჩვენთვის

---

1 ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1 ტ. თბ., 1951, გვ.23-24, ქართ. მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1956 თავი II, გვ. 57-66, 104-127.

2 ს. ჯანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე, თბ., 1940, "ენიმკი"-ს მოამბე, გვ. 665-6, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი "ენიმკის" მოამბე, ტ. 1, გვ. 221.

3 Adolfo Salazar, La Musica de España, Buenos Aires, 1953, p.130; J.A.A.Martija, Musica Vasca, San Sebastian, 1976, p.26.

ამ შემთხვევაში არსებითია ქართული ეთნიკურ-ტოპონიმიკურ სახელწოდებათა მიმართება ბიბლიურ "თაბალ-თუბალ-იუბალთან"[1].

წარმართული პერიოდი ბასკეთში, ძირითადად, არქეოლოგიური ძეგლებითაა წარმოდგენილი. ბაიონაში, მაულეონთან, უფრო ბუსტად ბაია ნავარასთან 1895 წელს აღმოაჩინეს ძვლის ფლეიტა, რომელსაც ორი მთელი და მესამე - (ბერა) დაგიანებული ნასვრეტი ეტაჩნია. ქრონოლოგიურად მას განსაზღვრავენ ძვ.წ. 9000-დან 6000-დე წლით. ანალოგიური სახეობის ფლეიტის ყველაზე უფრო არქაული ნიმუში ცნობილია მუსიკათმცოდნეობაში 20.000 წლით ჩვ. ერამდე. ეს ფლეიტა ბასკურში ინოდება: " o tristu da Isturitz"[2].

ასევე საყურადღებოა ბაიხრების დროს ნაპოვნი "კორნეტი" (corneta de Atxeta-Forua), რომელიც 1960 წლის 31 ივლისს 1,5 კილომეტრის დაცილებით ბასკაიდან - Forua la cuera de Atxeta -ში José Miguel Barandiaran -ის ეპოვა[3].



---

1 ს. ჯანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველ-საცხ... გვ. 660.

2 J.M. de Barandiaran,Euskalerriko leen gizona.Banat Idoztiak Argitaldaria, Donastia,1934,pp.31-34;J.A.A.Martija,Musica Vasca,San-Sebastian,1976,pp.30-31.

3 José Miguel de Barandiaran,Excavaciones en Atxeta (I Memoria,Imp.Provincial de Vizcaya,Bilbao.1960.n.8.

ამ საკრავის ბგერაზა შესაძლებლობებს მიუყენეს ძველი ბერძნული "ჟიმნი აპოლონისადმი" (278 წ. ძვ. წ.).



და მის მონაცვლე ბერიბის ezpatadntza და ონატეს banako, რომლებიც უძველესი ხალხური მუსიკის ნიმუშებს წარმოადგენენ და ბერძნულ ტრაგიკულ "კატალოსირობას" წააგავენ. ეს მელოდია 6/8 - ზე აგებული ნიმუშია:



რომელიც ძალზე მოუხდა ამ საკრავს და დიაპაზონი ზუსტად ჩაჯდა მის შესაძლებლობაში. ამ პერიოდის საკრავთა კლასიფიკაცია მოცემული აქვს José Antonio Martija -ს, დთავაზობთ მის მიერ შედგენილ ცხრილს:

ეპოქა	ადგილი	დარიღი ჩვ.ერ-მდე	საკრავი (ტერმინი დედნის მიხედვით არის წარმოდგენილი)
1	2	3	4
ძველი პალეოლითი	Aurinaciense	30.000	Palo zumbador Raspadores
	Solutrense		Maracas
	Magdaleniense	10.000	Flauta,Tuba

---

1 M.de Azkue,Musica Popular Vasca,Bilbao,1919,p.53.

2 J.A.A.Martija,Musica...,pp.31-36.

1	2	3	4
მეზოლითური	Aziliense	9.000	Tambor con ranura
		6.000	Flauta con agujeros
	Asturiense	4.000	Flauta travesera
ნეოლითური		4.000	Compana,xilofono
		2.500	Clarinete
სპილენძის		2.500	Arpa,Lira
		2.000	Citara,Campana de metal
ბრინჯაოს		2.000	Platilos,Laud
		1.000	Trompeta metal,Oboe
რკინის		1.000	Castanuelas
		0	Organo de boca[I].

გარკვეული პერიოდში უძველესი ბასკური მუსიკისათვის დამახასიათებელი იყო პენტატონიკური წყობა, რომელიც შემდგომ გადაიზარდა ჰექსატონიკურ წყობაში (დაახლოებით ეს ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: დო-რე-ფა-სოლ-ია და მი-ს დამატებით: დო-რე-მი-ფა-სოლ-ია ტამა). შემდგომი საფეხური იყო დიატონიკური პენტატონიკა (დო-რე-მი-ფა-სოლ-ია-სი). გრიგოლის ლიტურგია, ცხადია ტეტრაქორული სისტემაზე იყო დამყარებული, რომელიც ბოგადევროპული მოვლენა იყო როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ ქრისტიანული წარმოშობის საგალობლებში და რომელიც ძველი ბერძნული ახლებურად აღორძინების საფუძველზე დამკვიდრდა პრაქტიკაში.

/ J.A.A.Martija,Musica Vasca,pp.29-30.

ადრინდელი ქრისტიანობის ეპოქის თეორეტიკოსთა ანალიზის საფუძველზე ეს ტეტრაქორდები დაახლოებით ასე იყო წარმოდგენილი: დო-რე-მი-ფა// სოლ-ლა-სი-დო. ბერძნული კილოებმა განიცადეს ტრანსფორმაცია: 1. ფრიგიული კილოს საფრენია: რე-ლა-რე, 2. დორიულის: მი-სი-მი, 3.ლიდიურის: დო-ლა-დო. შემდეგში ამ კილოთა საფუძველზე მივიღეთ ხმათა კანონიკური ფორმულები: **Protos auténtico – dorio,Deuteros auténtico – frigio, Tritus auténtico – lidio,Tetrardus auténtico – mixolidio,** რომელთაც III საუკუნიდან დაემატა კიდევ ოთხი პლაგალური ხმა: **hipodorico, hipofrigio,hipolidio,hipomixolidio.**

გრიგოლის საგალობლები, როგორც შემდგომში დავინახავთ, ემყარებოდა დიატონური წყობის საფუძველზე დაკანონებულ კანონიკურ მელოდიურ ფორმულებს. გრიგოლის ქორალებისათვის დამახასიათებელი ტეტრაქორდული საფუძველი, ცხადია ბასკური ხალხური მუსიკის წყობათა ისტორიულ განვითარებასა და მის შინაგან ბუნებას არ შეესაბამება. ბასკურ მუსიკაში განვითარების პროცესი მოხდა წყობაზე ბგერათა ბუნებრივი დამატებისა და შევსების ნიადაგზე: პენტატონიკა, ჰექსატონიკა, ჰეპტატონიკა და შემდგომში უკვე მექანიკურად ყალიბდება ოქტავური წყობა. გრიგოლის ქორალებში კი, ამოსავალი იყო უძველესი ბერძნული ტრადიციები დაქვემდებარებული „მოდერნიზაციას", რომელიც ჩამოაყალიბეს ბოეციუსმა, გვიდო არეცოელმა, ჰუკბალდმა და სხვა გამოჩენილმა თეორეტიკოსებმა.

ესპანეთისა და განსაკუთრებით ბასკონიის სინამდვილისათვის ეს თეორიები, მათი მოძღვრება საკულტო სკოლებში აშკარად კათოლიციზმის მიერ თავსმოხვეული ჩანს. თავის მხრივ, ამ თეორიებმაც განიცადეს ხალხური მუსიკის მეკავლენა აღგილზე და თვით გრიგოლის ქორალების მკაცრ კანონმდებლობაში ისტორიულ განვითარებას არა ერთხელ გაუჩენია ბგარი და კვალი დაუტოვებია.

ავთენტური და პლაგალური კიდოების სქემა J.A.A.Hartija-ს ასე აქვს წარმოდგენილი:

MODOS GRIEGOS																			MODOS GREGORIANOS			
ANTIGUOS	SI	LA	SOL	FA	MI	RE	DO	SI	LA	SOL	FA	MI	RE	DO	SI	LA	SOL	FA	N.°	NOMBRE ACTUAL		
HIPOFRIGIO										mi	fa	mi	re	do	si	la	mi					
FRIGIO						RE	DO	SI	LA	SOL	FA	MI	RE						1.°	DORIO	AUTENTICO	PROTUS
HIPERFRIGIO		la	mi	fa	mi	re	do	si	la													
HIPODORICO									LA	SOL	FA	MI	RE	DO	SI	LA			2.°	HIPODORICO	PLAGAL	
DORICO					MI	RE	DO	SI	LA	SOL	FA	MI							3.°	FRIGIO	AUTENTICO	DEUTERUS
HIPERDORICO	SI	LA	SOL	FA	MI	RE	DO	SI											4.°	HIPOFRIGIO	PLAGAL	
HIPOLIDIO											FA	MI	RE	DO	SI	LA	SOL	FA	5.°	LIDIO	AUTENTICO	TRITUS
LIDIO							DO	SI	LA	SOL	FA	MI	RE	DO					6.°	HIPOLIDIO	PLAGAL	
HIPERLIDIO			SOL	FA	MI	RE	DO	SI	LA	SOL									7.°	MIXOLIDIO	AUTENTICO	TETRARDUS
						RE	DO	SI	LA	SOL	FA	MI	RE						8.°	HIPOMIXOLIDIO	PLAGAL	

CUADRO N.° 1

გრიგორის ქორალების ძირითადი პრინციპი "ნოტა-ნოტის წიგ", რომელიც ემყარება კანონიკურ ინტერვალურ შეპირისპირებას, J.A.A.Hartija-ს მიხედვით ასეა წარმოდგენილი: ქრომატიზმი და ენჰარმონიზმი, რომელიც ანტიკური პერიოდის ბერძნებისათვის ძველთანვე ცნობილი იყო და რომელიც დეტალურად ჰქონდათ შესწავლილი აირეჩქრისტიანული პერიოდის მუსიკის თეორეტიკოსებს, გვიან დამკვიდრდა პრაქტიკაში: როგორც საკულტო,



ასევე საერო ჰიმნოგრაფიაში. თვით ბემოდ ჩამოთვლილი ინტერვალები, რომლებიც "ნოტა-ნოტის წილ" გამოიხატებოდნენ, იძლეოდნენ შემდეგ თანაფარდობას:

1° 3° 5° 7° 2° 4° 6° 8°

რე-მი -ფა -სოლ-ლა -სი -დო -რე აქედან გამომდინარე. მეორე თანაფარდობა იყო:

5° 6° 7° 8° 1° 2° 3° 4°

ფა - დო - სოლ - რე რე - ლა - მი - სი

გრიგოლის ქორალების გავლენას უფრო საფუძვლიანად შევეხებით შემდგომ, ჩვენთვის უფრო არსებითი საკითხია ხალხური მუსიკის პრობლემათა კვლევა.

ბასკური ხალხური მუსიკა ძირითადად ერთხმიანია, აგებულია იგი მკაცრ დიატონიკაზე, ქრომატიზმი საერთოდ არ ახასიათებს და თუ კი აქა-იქ გვხვდება, ეს არის უფრო თანამედროვე სიმღერებში. ბასკურ ფოლკლორში მკვეთრად შეიგრძნობა დიალექტოლოგიური განსხვავება, რომელიც არა მარ-

ტო კუთხეების, არამედ სხვა ქვეყნათა ზეგავლენის სფეროთა მიხედვით განსხვავდება: ეს ეხება საფრანგეთის და ესპანეთის ბასკებს. მაგრამ ამ ორი უდიდესი ცივილიზაციის კვალი აშკარაა; ბოვარი არის ქალაქისა და სოფლის სიმღერებს შორის, ბოვისპირეთის, მდის და ბარის მცხოვრებთა მუსიკალურ მემკვიდრეობაში. ისტორიულად, ბასკური მუსიკის ჩვენამდე მოღწეული უძველესი ნიმუშები მტკიცედ ექვემდებარებიან ტრიგოლის ქორალის ძირითად კანონს "ნოტა-ნოტის წილ",... აქედან გამომდინარე: "სილაბი-სილაბის წილ", რომელიც მკაცრი ლოკონიზმითაა შემოგლეული[1].

ევით საკულტო მუსიკაში განირჩევა ორი ფენა: ერთი, - საკულტო - ხალხური, ხშირად ანონიმური წარმომავლობის, მეორე - კანონიკური-საკულტო, რომელიც დამკვიდრებულია იეზუიტთა მიერ. იგი საუკუნეთა მანძილზე დაიხვეწა და შეეგუა ადგილობრივ, ბასკურ საშემსრულებლო ტრადიციებსა და ხასიათს[2]. ევით ხალხურ მუსიკაში სილაბურობა გვევლინება რიტმის ძირითად ფაქტორად, რომელიც სიმღერით შესრულებისას დასაცდენი საკრავის თანხლებითაა წარმოდგენილი და უფრო რელიეფურად განსაზღვრავს ნაწარმოების ხასიათს და მის რიტმო-მელოდიურ სტრუქტურას. ხალხურ მუსიკაში ჭარბობს ნაციონალურ ცეკვებზე დაფუძნებული სიმღერები, რის გამოც მახვილი და რიტმული ფაქტორი წამყვან როლს ასრულებს. მას თან ერთვის რიული მელოდიკა მელოდიურ მიმოქცევებში[3]. მელოდიკა გვხვდება საკრედენ ტონებზე, ჩართული კადენციებში და რეფრენებში. მელოდიკა ახასიათებდა როგორც ტრუბადურული პოეზიას, რომელიც ლექსისა და მუსიკის სინთეზს წარმოადგენდა, ასევე კორიდის ხალიფატის მეშვეობით, ესპანურში დამკვიდრებული არაბული მელოდიათა აღ-

---

1 J.A.A.Martija,Op.cit.,p.273.

2 Rodney Gallop,Los Vascos,Madrid,1948,p.121.

3 Francisco Madina,La Musica Vasca,Buenos Aires,1943,p.59.

ქალაქი ინდოეთა, ბისკაის პროვინცია

სანტიაგო დე-კომპოსტელა, ბიბლიების ყარი

ნაგობასაც[1]. მეტრო-რიტმული დახვეწისას უდიდეს როლს ასრულებდა მარცვალთა სიგრძე-სიმოკლე, ხშირად მარცვლის დაგრძელებას ხელს უწყობდა მუსიკალური ფაქტურაც. მელიზმატიკით და ყოველგვარი ორნამენტიკით გამოირჩეოდნენ არა მარტო ხალხური სიმღერები, არამედ საკულტო "ალილუიებიც" - "No oiremos,pues,a nuestros kantario grandes vocalizaciones como en los alleluias gregorianos o en algunas canciones trovadorescas"[2].

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილი ციტატის ავტორი მელიზმატიკის ხმარებას მარტო "ალილუებს" არ მიაწერს, იგი ძირითადი ატრიბუტი იყო ფრანგული და ესპანური სოლო სიმღერების, როგორიც ტრუბადურებმა და ტრუვერებმა შექმნეს და სიმღერიანთა აკომპანიმენტზე სრულდებოდა.

ბასკური სიმღერები გამოირჩევიან ხშირი ტონალური მოდულაციებით და გადახრებით, მკვეთრი რიტმიკა ფორმის მარტივი სიმეტრიით. მისი უძველესი ვოკალური მუსიკის ამოსავალი ეფუძნება კვარტა-კვინტურ თანაფარდობას, სეკუნდურ და ტერციულ ინტერვალურ მსვლელობებს; მელოდიკის საფუძველია ტერციული წყობა. ისევე როგორც ქართულში, კერძოდ აღმოსავლურ ქართული დიალექტებში ძირითადია კვარტა-კვინტური თანაფარდობა, ხოლო მელოდიკურ მსვლელობაში სეკუნდურ-ტერციული ტონთა მოძრაობა[3]."საერთოდ ევროპულ მუსიკაში (მრავალხმიანი) პარალელური ტერციებით მოძრაობა ზედა და მეორე ხმის კომპლექსის მოძრაობის ხასიათს იძენს.... და ეს დამოუკიდებელი მნიშვნელობა განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ ბანის პარტიის მდებარეობით, რომელიც თან ახლავს პარალელურ ტერციებს"[4]. სექსტური და სეპტიმური მელოდიური მსვლელობა, ან ნახტომები, უფრო ახა-

---

1 J.A.A.Martija,Op.cit.,p.273:"De aqui que el canto romano y el gregoriano sean melismaticos".

2 M.de Azkue,Op.cit.,pp.35-37.

3 შ. ასლანიშვილი, ქართულ-ბასკური საგუნდო სიმღერების ჰარმონია თბ., 1970, გვ. 32.

4 შ. ასლანიშვილის ს.ფ. ნაშრომი, გვ. 47.

სიიდეებს საკრავიერ მუსიკას და არ არის ისე ხშირად გამოყენებული ვოკალურ ფაქტურაში[1].

ბასკურ სიმღერათა უმეტესობას ციკლური ან კუპლეტური ფორმის მქონეს, ერთი თემატური მასალა გააჩნია, რომელიც საკმაო ვარირებას განიცდის განმეორებისას. სიმღერათა ფორმები საკმაოდ მარტივი და რელიეფურია: $A-A_I-A_2$, $A-B-A$, $A-A-B-A$, $A-A_I-B-A_2$, სადაც A_I და A_2 ძირითად A -ს მოდიფიკაციას წარმოადგენს[2]. თავისი ტიპური ტემპების გამო, ბასკი მუსიკათმცოდნეები ამ ფაქტორის მიხედვით ახდენენ მათ კლასიფიკაციას. ტემპებით დიფერენცირება სიმღერებსაც ეხება და ცეკვებსაც. ლირიკული სოლო სიმღერები მეტწილად Andante -სა და Allegretto-ზე სრულდება. ამგვარი დაყოფა ახალი არ არის და მას ხშირად მიმართავენ პროფესიულ მუსიკაშიც. ამგვარად აქვს, მაგალითად, ბრუნო ფლოგელს ჰენდელისა და სხვა იმ საუკუნის კომპოზიტორთა ნაწარმოებები კლასიფიცირებული. ბასკური ხალხური მუსიკის მიმართ ეს დიფერენცირება დააკანონა J.A.Donostia -მ[3].

სპეციალური კვლევის ობიექტი იყო თვით ხალხური მუსიკის ტონა

1 Maria de Azkue, Musica Popular Vasca, Bilbao, 1919, p.45: "Pero tampoco se dan con normalidad grandes intervalos al de quinta. La virilidad que la frecuencia de saltos de cuarta y quinta imprime a nuestra musica està perfectamente atemperada por los intervalos de segundas y terceras que predominan sobre aquellos. De vez en cuandono dejan de sorprendernos, gratisimamente por cierto, apariciones eventuales de intervalos de sexta, séptima y hasta de octava, ésta principalmente en musica instrumental".

2 José Antonio de Donostia, De Musica Popolar Vasca, Bilbao, 1918, p.20; J.A.A. Martija, Op.cit., p.277.

3 José Antonio Donostia, Op.cit., p.14.

მიმართება ტემპერირებულ წყობასთან[1], რომელიც ამგვარ თანაფარდობას იძლევა:

მეორადი, ხაღხურისა-ვის დამახასიათებე-ლი ეიბრირება	ფიზიკური რხევები	ტემპერირებული წყობა (ფორტ-ნბე)
1	2	3
520	522 რო	522 რო
510		
500		502 სი
490	490 სი	
480		480 ლა დიეზ, სი ბემ.
470	470 სი ბემ.	
460		458 ლა
450	453 ლა დიეზი	
440		
430	435 ლა	436 სოლ ბ.ლა ბ.
420	417 ლა ბემ.	414 სოლ
410	407 სოლ ბ.	
400		
390	391 სოლ	392 ფა ბ.,სოლ ბ.
380	377 ფა ბ., სოლ ბ.	370 ფა
370		
360	362 ფა	349 მი
350		

1 J.A.Martiga,Op.cit.,pp.279-281.

1	2	3
340		
330	326 ბი	327 რე ფ., ბი ბ.
320	313 ბი ბ.	
310		
306	306 რე ფ.	
290	294 რე	
280	282 რე ბ.	283 რო ფ., რე ბ.
270	272 რო ფ.	
260	261 რო	261 რო.

ფანფარეოში რხევადი დიაგრამა ასე წარმოგვიდგება:



ეს ცხრილი მოითხოვს დაგუსტებას. ფორტეპიანოს ვიბრირება ნაკლებად ანგარიშგასაწევია, აჯობებდა ავტორს გამოეყენებინა პიანკო ან სუფთა წყობის, ფიგიკურ და თანამედროვე სიმღერაცა შედარებათა რხევების ცხრილი. ცხადია, ბასკური ხალხური მუსიკა, ისევე როგორც სხვა ხალხების, მოკლებულია ტემპერაციას. ტონები ხან 1/4, ხან 1/3-ით მაღლია, ან დაბლა ჟღერენ, მაგრამ ამ დაცილებაში წვლილი გარდა აღგილობრივი სპეციფიკისა - არაბული, ჯერ კიდევ კორდოვის ხალიფატის და შემდგომ აღჭურთან და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გავლენასაც მიუძღვის. ეს ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი ურთიერთს არ გამორიცხავს. არაბული წყობის საფუძველი მეტნილად ჩვიდმეტტონიანი გამაა, მკვეთრი რიტმით და მელოდია-გადამეტებული მელიზმატიკით. არაბული მუსიკისათვის 1/4 და 1/3 ტონების ხმარება ბუნებრივია და მით გამასაც ეს დიფერენცირება უდევს საფუძვლად; მეორე მხრივ ვერ ნახავთ ხალხს, რომელიც მუსიკაში, თუ კი იგი პროფესიული არ არის და ტემპერირებულ საკრავებზე, ან მათი თანხლებით არ სრულდება, რომ ძირითად სიმაღლეებთან შეფარდებით განსხვავება არ იყოს. მაგ., ქართული ხალხური სიმღერების გამოცემისას ე. არაყიშვილი, ხშირად მიუთითებდა - ეს სი ბემოლი უფრო დაბალია ან დიეზი უფრო მაღალი....

რაც შეეხება რიტმის და მეტრის საკითხს, აქ გასარჩევია საკულტო მუსიკის მეტრი და რიტმი საეროსაგან, პროფესიონალური-ხალხურისაგან. ი.ა.ა. მარტიხა, რიტმული ფორმულებში ხედავს სხვადასხვა ბეკავლენებს: საკულტოში - ძვ. ტრადიციული გრეგორის ქორალებისა, საეროში - ტრუბადურული პოეზიისა და მე-17, მე-18 სს. გადმონაშთებს. ის საგანგებოდ გამოჰყოფს ბასკურ მუსიკაში ირეგულარული რიტმებს: 5/8, 7/8, 9/8.. რაც უაღრესად გავრცელებულია და სპეციფიკურია მათი ძველი ცეკვებისა და სიმღერებისათვის[1]. ეს თავისებური რიტმული ხასიათი დაქვემდებარე-

---

1 J.A.A.Martija,Op.cit.,p.28}:"En nuestra musica popolar son muchos los ejem plos de ritmos irregulares o quebrados:5/8,9/8.Pero aunque irregulares,son ritmos sujetos a medida y nos ocuparemos de ellos en otro lugar".



ასტურია, წმიდა მიქაელის ტაძარი ლიდოში



წმიდა მარიამის ტაძარი ნარანკოში

ბული ია სიმღერის, ან ცეკვის ფუნქციურობასა და ტემპზე. სხვადასხვა ჟანრისა და განიშნულების სიმღერას, ან ცეკვას შესაბამისი რიტმი და მეტრი გააჩნია. იგორიტმულობა საერთოდ ახასიათებს ბასკურ საკულტო და საერო მუსიკას. ყოველ დიალექტს თავისი გამოკვეთილი, ინდივიდუალური თავისებურებანი აქვს. ი.ა.ა. მარტიხა სიმღერებს, თუ კი ის რიული ან ციკლური ფორმითაა წარმოდგენილი, ჰყოფს რიტმის და მეტრის მონაცემების მიხედვით, რომლებიც მკვეთრად მოდულირდებიან[1]. სხვადასხვა დიალექტის მუსიკას ბრავალი რიტმული ვარიანტი გააჩნია, რომელთა კლასიფიცირება და სახეობა მიუთითებს მათ ბრავალფეროვნებაზე.

ი.ა.ა. მარტიხას' ანალიზებით[2], გვექმნება ერთგვარი წარმოდგენა ფოლკლორული ნიმუშების რიტმისა და მეტრის შესახებ. ბასკურისათვის ტიპიურია 2/4 ზომა ("Les airs qui possèdent une phisionomie national bien caracterisée sont ceux écrits en 2/4")[3]. მაგრამ არა მარტო ეს ზომა ახასიათებს ბასკურს, არამედ 3/4, 6/8.... ფრანჩესკო მადინას თავის გამოკვლევაში მოჰყავს ბასკურ მუსიკაში ხმარებული ერთიმეორის საპირისპირო კომბინაციები:

6/8 --------- 3/4-ის საპირისპიროდ

2/4 --------- 3/4-ის

5/8 --------- 2/4-ის

6/8 --------- 9/8-ის

5/8 --------- 6/8-ის

3/8 --------- 2/8-ის საპირისპირდ

და რაც საინტერესოა: 3/8 ---- 8/8-ის საპირისპიროდ[4].

---

1 ი ბ ი დ ე, გვ. 286.

2 J.A.A.Martija,Op.cit.,p.286.

3 Fr.Michel,Le Payx...,p.436;J.A.A.Martija,Op.cit.,p.287.

4 Fr.Madina,La Musica Vasca,... p.77.

წარმოდგენილი აქვს აგრეთვე 5/8 ზომიდ ცხრილი იმ ნიმუშთა მიხედვით, რომლებიც დადასტურებულ არიან სხვადასხვა დიალექტებში:

Guipuzcoa	21
Viscaya	15
Navara	15
Benabarra	2
Laburdi y Zuberoa	2[1]

თუ რა დიდ როლს ასრულებს ხუთწილადი ზომა ქართულ საცეკვაო მუსიკაში კარგადაა ცნობილი, კერძოდ "ხორუმში" და რამდენგვარი რიტმული კომბინაცია აქვს ამ ცეკვას, ეს კარგადაა ცნობილი[2].

ეპოქაა მანძილზე ბასკური მუსიკის წყობა განიცდიდა განვითარებას. ტონალური წყობა საფუძველი იყო კანონიკურად ჩამოყალიბებულ მელოდიათა. მელოდიები ემყარებოდა აღებულების იმ ფაქტორს, რომლის ანალოგიაც მოიპოვებოდა ანტიკურ კლასიკურ ქვეყნებში. საბერძნეთში, როგორც ცნობილია, გარკვეული კილოს თავისი ემოციონალური აღქმა გააჩნდა და ზოგ თაოგანს აღმზრდელობითი მნიშვნელობაც ჰქონდა. ეს უძველესი ტრადიციები თავისი შორეული გადმონაშთებით, შეინიშნება როგორც ბასკურში, ასევე ქართულ და სხვა ცივილიზებულ ხალხთა ფოლკლორშიც[3]. ბასკური მუსიკის წყობათა ანალიზისას აღგილობრივ ცივილიზაციასთან დაკავშირებით, ოთხგვარი ტრადიცია შეიმჩნევა: 1. ანტიკური მსოფლიხედველობის ბეგავლენა, 2. გრიგოლის ქორალების მძლავრი კვალი, 3. აღმოსავლური (არაბული ხალიფატის, უფრო ზუსტად, კორდოვის ხალიფატის) გადმონაშთები, 4. კონტინენტალური მუსიკის ბეგავლენა.

---

1 J.A.A.Martija,Op.cit.,p.289.

2 ი. ყვარამაძე, ქართული ხალხური ქორეოგრაფია, თბ., 1957, გვ.97-106, Ш.С.Асланишвили,Народная танцевальная музика,Сб.Грузинск. музык.культура,М.,1957,с.65-83; ე.ჯანელიძე,ქართული თეატრის ხალხური საწყისები,თბ.,1948,I,გვ.85-219 /ეურხულების შესახებ/.

3 J.A.A.Martija,Op.cit.,p.294:"... la tonalidad es un fenomeno psicologico colectivo".

აღმოსავლური მუსიკა, როგორც ი. მარტიხა აღნიშნავს, იყო საფუძველი ბასკური მუსიკის ქრომატული და ენჰარმონიული წყობაა[1]. რაც შეეხება დიატონიკურ წყობას, ეს კონტინენტალური უძველესი მუსიკისათვის იყო დამახასიათებელი; მასზე იგებოდა ბრიგოლის ქორალები, რომლებიც მეთვრამეტე საუკუნემდე ბუდობდა თავისი მარტივი, არქაული სახით ბასკურ მუსიკაში[2]. მაჟორისა და მინორის გამაა, უფრო ზუსტად თანამედროვე გამაა დაფუძნება ახალ ეპოქას ეკუთვნის[3].

ბრიგოლის ქორალები თავისებურ კავლენას ახდენენ მელოდიის წყობაზე, შესრულების მანერაზე[4]. ბრიგოლის ქორალების კავლენით შექმნილი საგალობლები შემდეგ საეკლესიო კილოებს მოიცავდნენ:

1. დორიულს, რომლის წყობის ნატურალური საფუძველია რე-ლა-რე
2. ჰიპოდორიულს, რომლის წყობის ნატურალური საფუძველია ლა-ფა-ლა
3. ფრიგიულს, რომლის წყობის ნატურალური საფუძველია მი-დო-მი
4. ჰიპოფრიგიულს, რომლის წყობის ნატურალური სი-ლა-სი
5. ლიდიურს, რომლის წყობის ნატურალური საფუძველია ფა-დო-ფა
6. ჰიპოლიდიურს, რომლის წყობის ნატარალური დო-ლა-დო
7. მიქსოლიდიურს, რომლის წყობის ნატურალური სოლ-რე-სოლ

---

1 J.A.A.Martija,Op.cit.,p.295:"La musica oriental se basa en escalas cromaticas y enarmonicas,de medios,tercios y aun cuartos de tono,y en abundancias de intervalos de seguendas aumetadas,todo ello urdido en una imprabisa tonalidad".

2 Ibid.:"La musica occidental,en cambio,va caminado desde unas primitivas gamas incompletas hacia la escala diatonica que consigue bien pronto y difiniendose camo bitonal en el siglo XVIII".

3 Ibid.:"La mayoria de las canciones vascas estan concebidus en el sistema tonal moderno:estan nitidamente perfilados sobre uno de los modos, mayor o menor".

4 Rodney Gallop,Op.cit.,p.130:"La tonalidad modal (gregoriana) prestite mas como una influencia que como una concreta supervivencia y se percibe en la manera de cantar mas que en las propias melodias".

8. ჰიპომიქსოლიდიურს, რომლის ნყობის ნატურალური საფუძველია რე-დო-რე[1].

ცხადია, ხმათა ამგვარი განლაგება კაფოლიკური საკულტო მუსიკის ტა-ვლენას მიენერება და არა ბიბანტიურს[2]:

		Mode	Finalis	Ambitus
Protus authenticus	Primus tonus	1	d	d-d¹
Protus plagius	Secundus tonus	2	d	A-a
Deuterus authenticus	Tertius tonus	3	e	e-e¹
Deuterus plagius	Quartus tonus	4	e	B-b
Tritus authenticus	Quintus tonus	5	f	f-f¹
Tritus plagius	Sextus tonus	6	f	c-c¹
Tetrardus authenticus	Septimus tonus	7	g	g-g¹
Tetrardus plagius	Octavus tonus	8	g	d-d¹

უბრალო შედარებისაც კი ცხადი ხდება ბასკურისა და კონტინენტალური მუსიკის ნყობათა იდენტურობა:

I ავთენტური (დორიული) d – d^I

I პლაგალური (ჰიპოდორიული) A – a

II ავთენტური (ფრიგიული) e – e^I

II პლაგალური (ჰიპოფრიგიული) სი-სი (ეს ბასკურში ახალი მოვლენაა, თავიდან იყო სი ბემოლ-სი ბემოლი: B–b)

III ავთენტური (ლიდიური) f – f^I

III პლაგალური (ჰიპოლიდიური) c – c^I

IV ავთენტური (მიქსოლიდიური) g – g^I

IV პლაგალური (ჰიპომიქსოლიდიური) d – d^I

---

1 J.A.A.Martija,Op.cit.,p.297.

2 W.Apel,Gregorian chant,Indiana Unver.Press,1966,pp.133-178.

ქართული მუსიკის საკულტო კიდოთა განლაგება განსხვავდება დვინ საერისაგან, ლაფინურისა და კერძო, ბასკურისაგან. ქართული საკულტო კიდოთა საფუძველი მეშვიდე საუკუნიდან უახლოვდება ბიზანტიურს, მანამდე რა მდგომარეობა გვქონდა, უცნობია[1]. დვინ ბიზანტიურის ფანრიგთანაცაა განსხვავება[2]. ქართულ მუსიკაში ჰიპერ კიდოთა არსებობის ფაქტზე ჩვენს გარდა მიუთითებდა ბ. გულისაშვილი[3].

I E.Wellesz,A History of Byzantine Music,Oxford,1968,II edit.,pp.246-347;H.J.W.Tillyard,Handbook of the Middle Byzantine Musical Notation,Copenhagen,1935;J.Baasted,Intonation Formuls and modal signatures,Copenhagen,1966 П.Динев,Руководство по съвременна византийска невмена нотация,София,1964,с.66-70.

2 ვ.გვაბარია,ქართულ მუსიკალურ სისტემათა განვითარება,თბ.,1962, გვ.32-34; W.Gwacharia,Die Mehrstimmigkeit in der alten georgischen Musik, Beiträge zur Musikgeschichte Osteuropas,Wiesbaden,1977,SS.414-427;W.Gwacharia,Georgische Musikkultur der XI-XIII Jh.,"Revue Belge de Musicologie", Bruxelles,1970,vol.XXIV,fasc.164,pp.5-16;W.Gwacharia,Mehrstimmigkeit in altgeorgischen Handschriften,"Beiträge zur Musikwissenschaft",Berlin,1967,H. 3/4,SS.284-304; В.А.Гвахария,Музыкальная культура Грузии XI-XII вв. "Musica Antiqua,Bydgoszcz,1969,Polska,c.401-412;В.А.Гвахария,Музыкальная культура Грузии ХУ11-ХУ111 вв.,"Musica Antiqua,Bydgoszcz,1972,Polska,c. 727-767; В.А.Гвахария,Музыкальная культура Грузии эпохи царицы Тамары и Шота Руставели,"Musica Antiqua,Bydgoszcz,1975,c.469-484; ვ.გვაბარია ქართული და ევროპული მუსიკის ნაკუბათა ერთიანი საფუძველი,თსუ-სა და იენის უნივერსიტეტის შრომები,132 /140/,თბ.,1971,გვ.107-122...

3 Б.А.Гулисашвили,Гиполапы в груз.в народ.муз.творчестве, საქართველოს სსრ მეცნ.აკადემიის "მოამბე",ტ.58,№3,1970,...



უძველესი ბასკური ხელნაწერი სანტიაგო დე-კომპოსტელამდე, რომელიც წარმოადგენს ბრაგაერხმიანი მუსიკის ნიმუშს.

ბასკური საკულტო საგალობლებიდან, ძველი ჩანაწერების მიხედვით, დორიულ კილოში ფიქსირებულია 17, ჰიპოდორიულში - 27, მიქსოლიდურში - 18 და ჰიპომიქსოლიდიურში - 11, ე.ი. სულ 86 საგალობელი. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, სტატისტიკური მეთოდის მიხედვით, ყველაზე მეტად გავრცელებული წყობებია: დორიული, ჰიპოდორიული, მიქსოლიდიური და ბოლოს - ჰიპომიქსოლიდიური[1].

მართალია, ჩვენ კრიტიკულად ვართ განწყობილი ოდენობის მიხედვით პრიორიტეტის დადგენისადმი, მაგრამ საკითხის შესწავლის ამ ეტაპზე, ვიდრე სხვა ოდენობის საგალობლები ნაპოვნი არ არის, შესაძლოა, არც ფიქსირებული იყო, ანგარიში უნდა გავუწიოთ აღწერით მეთოდს, ანუ სტატიკურ მონაცემებს, რომლითაც პრაღის ლინგვისტური სკოლა იყენებდა და პოპულარობით სარგებლობდა ენათმეცნიერთა შორის.

გრიგოლის ქორალების ინტონაციებმა და წყობებმა დანდალანობით მოიკიდეს ფეხი ხალხურ მუსიკაში. ბასკი მუსიკათმცოდნეები ხალხური მუსიკის ნიმუშების კლასიფიკაციას საფუძვლად უდებენ მაჟორული და მინორული ხასიათს[2].

---

1 J.A.A.Martija,Op.cit.,p.298:"... fudamentalmente mientras que los cancioneros vasco,vivarais y breton por el eotudiados construian sus melodias gregorianas sobre los ya dichos N°I,2,7 y 8 modos".

2 Ibid.,p.302:"Veamos para concluir,aunque recurriendo a la fria estadistica,que la proporion de melodias mayores es superior a la de menores o melancolicas..." "De I8I6 melodias examinadas,833 afectan la tonalidad mayor y 5I9 la menor.La proporcion por ciento de las mayores es de 45,85. En las menores la cifra desciende u 28,02 - I75 danzasse desdoblan asi: I39 mayoras,8 menores,I en primer modo,7 en el septimo.I exafona (tipo mayor).Sumando las canciones vocales e instrumentales asi clasificadas, obtenemos un numero de I.99I y de ellas I.OII son mayores (48,8I %) y 534 menores (26,5I%).Cf.José Urunela,EL folklore musical vasco en Araba (Confer.en Vitoria,I935);J.A.A.Martija,Op.cit.,p.302.

ანალიზის საფუძველზე ნაწილი ხდება გამოყოფა ჰექსაქორდული და ჰეპტაქორდული ფანრიგების. 1816 სიმღერიდან (რომელთა ნიმუშებიც ფიქსირებულია): 833 მაჟორში, ხოლო 519-მინორში; საცეკვაო ნიმუშებიდან: 139 მაჟორშია და 8-მინორში; ტრიგორის კილოებზე ნიმუშებში, (სოლო სიმღერაში, ინსტრუმენტის თანხლებით), 1991 ნიმუშიდან: 1011 მაჟორშია და 534-მინორში. ცხადია, ამგვარი სტატიკური მეთოდით დაჯგუფებული კილოთა ანალიზი გარკვეული წარმოდგენას იძლევა მათ თანაფარდობაზე. ენათმეცნიერებაში აღნერით მეთოდს საფუძველი ჩაუყარეს ნ. ტრუბეცკოიმ, რ. იაკობსონმა, ს. კარცევსკიმ, ვ. მატეზიუსმა, ვ. სკალიჩკამ, ფ. ტრავნიჩეკმა და სხვ...

მუსიკათმცოდნეობაში ლინგვისტურ-აღნერითი მეთოდი გამკვიდრებული არ არის. ამ მეთოდის საფუძველზე ვცადე ამეგო ჩემი მონოგრაფია "ქართული მუსიკალურ სისტემათა განვითარება" (თბ.,1962, იხ. გვ.102-405); სადაც ხმების და კანონების მიხედვით კლასიფიცირებული მაქვს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული და აბსოლუტურად შეუსწავლელი 500-მდე საგალობელი. აღნერითი მეთოდის საშუალებით გამოვიტანე დასკვნები ქართული საგალობლების სტრუქტურის, თანრიგის, წყობის, ცალკეული ხმათა ფუნქციის შესახებ; სამხმიანობის სპეციფიკასთან ერთად საგანგებო შევისწავლე ცალკეული ხმათა დიაპაზონები, თვით საგალობლების მეტრული სტრუქტურა.

დიალექტთა მასალა ფემატიკის მიხედვით ასევ ანანწილებული სხვადასხვა კრებულებში: საგრფიალო, სუფრული-ეკვური, აკვნის ნანები, საცეკვაო, საცეკვაო-სასიმღერო, საცეკვაო-შეძახილებით; ელეგიური, სამგლოვიარო, მოსახსენებელი-ეპიტაფიური, საფესტივალო, საგირული, თხრობითი, საკულტო მსახურების, რელიგიური, რონდოს ფორმის, შესანირავი, შობის, ლაშქრული, ნარევი ლიტერატურული და ცერემონიებისადვის განკუთვნილი. როგორც ვხედავთ, კლასიფიკაცია ძალზე ნარევი და არასტაბილურია:

CH. BORDES 1897/1898	AZKUE Conferencia 1901	AZKUE Cancionero 1917		DONOSTIA Cancionero 1921		GURIDI Diez Melodias 1941	MADINA Estudio 1943
Amorosas 12	Amorosas	Amorosas	82	Amorosas	81	Amorosas 2	Amatorias
		Báquicas	65	Báquicas	6		Báquicas
	Cuneras	Cuneras Infantiles	38 49	Cuneras Infantiles	25		Cuneras Infantiles
	De baile	Danzas cantadas Danzas sin palab.	66 117	De baile	58	Danza 1	Danzas
	Elegiacas	Endechas Elegias	72			Elegiaca 1	Elegias
		Epitalamios	28			Epitalámica 1	Epitalamios
	Festivas	Festivas	78	Festivas	40	Festiva 1	Festivas
	Satiricas			Satiricas			Satiricas
		Narrativas	93			Narrativa 1	
		De Oficios	27	De Oficios	24		
	Religiosas	Religiosas	90	Religiosas	67	Religiosa 1	Religiosas
	Epicas	Romances Cuentos	106				
		De ronda	90	Cuestacion	7	De ronda 2	Cuestacion
Navideñas 12							
	Marciales						
				Miscelánea	84		Ceremonia

J.A.A.Martija,ib.p.42 et B.Estornes Lasa,El Ducado de Vasconia (San Sebastian,1959)

ჩვ.წ.475 წელი რომის იმპერიის ხანაა, როდესაც ანტიკურმა ცივილიზაციამ დაკარგა თავისი კულტურის ბრწყინვალე მონაპოვარი, დაკნინდა და მხოლოდ მეხუთე საუკუნიდან დაიწყო აღორძინება.

კაროლინგების იმპერია მწვერვალი იყო ადრინდელი საუკუნეების ცივილიზაციის. მან სულიერი საგრძო მისცა მრავალ ხალხებს, მაგრამ ეს აღზევება ხანმოკლე აღმოჩნდა.შუა საუკუნეების ტრადიციებმა, ესპანეთში 1450 წლამდე გაძლო. მეთხუთმეტე, მეთექვსმეტე საუკუნეებიდან ესპანეთსა და ბასკონიაში, ლიტურგიკის სფეროში, კერძო პოლიფონიურ საგალობლებში, ახალი მიმართულება გაჩნდა. შუა საუკუნეების ეკლესიური მუსიკის ტრადიციათა გვვარი მეექვსე-მეცამეტე საუკუნეთა მიჯნაში მომწყვდეული, როდესაც გრიგოლის ქორალი გახდა საკულტო მუსიკის

ძირითადი საფუძველი.

ესპანეთში, ისევე როგორც სხვა დასავლეთ ევროპის ცენტრებში, მეცამეტე საუკუნიდან ვრცელდება "ორგანუმი". მეშვიდე საუკუნიდან ბასკონიის ისტორიაში ახალი ერა იწყება, რომელიც დაკავშირებულია ეუდონ დიდის (710-735) და ენეკო არიტგას (824-?) სახელებთან. პროვინციათა შორის გამოირჩევა ნავარა, აქ ისახება ძველი პროფესიული ეროვნული მუსიკა. ბურგოსის კაპელის ხელმძღვანელი იყო ნავარელი José Anchorena (1938-?), რომელიც იწოდებოდა maestro e fijo de la Navarra -ად[1].

ბასკური მუსიკა, რომელიც საგრძნობლად ესპანური და ფრანგული მუსიკალური კულტურით, ყოველთვის ინარჩუნებდა თავის თვითმყოფადობას. თვით ტრიგოლის ქორალები, რომლებიც მკაცრი წესებით სრულდებოდა, ირეოდა აღგილობრივი ხალხური მუსიკალური ტრადიციებით და თავისებურ სახეს ღებულობდა. ესპანური მუსიკა ბოგადევროპული ცივილიზაციის მნიშვნელოვანი კერა იყო. ბოგადმუსიკის ისტორიაში შესულია წმ. ისიდორე სევილიელის (ტარ. 636), წმ. ბრაულიო სარაგოსელის (ტარ. 651 წ.), წმ. ევგენი ტოლედელის (ტარ. 657 წ.) სახელები. მეთერთმეტე საუკუნე ლიტურგიკული მუსიკის ტანმცოცავების და აღზევების ხანა იყო, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი არა მარტო ესპანეთში, არამედ ბასკონიაში: ბაიონაში, დაქსში, აუქში, კამპლონაში, კასკანტეში, კალაჰორაში, ეტეაში და იაკაში, რომლებიც იქცნენ ნომანული კულტურის ძლიერ კერებად.

შუა საუკუნეების ბასკურ მუსიკაში ერთიმეორეს შეერწყნენ მოზამბიკური და ტრიგოლური ნაკადები[2]. მეცხრე საუკუნის ბასკურ მუსიკაში, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ნელიეფურად გამოირჩეოდა

---

1 J.A.AINartija,Op.cit.,p.42;B.Estornes Lasa,El Ducado de Vasconia,San Sebastian,1959.

2 J.A.A.Nartija,Op.cit.,p.44.

უცხო ნაკადია შორის ნაციონალურ-ეთნიკური წარმოშობის ნიმუშები. ეს იყო ბასკური მუსიკის კულტურის განვითარების ხანა, ეპოქა, როდესაც პირველად დაიწყო ხალხური სიმღერების თავმოყრა, ეპოქა, როდესაც ეროვნული შემოქმედება ხდება დომინური, როდესაც ეროვნული, სხვისაგან დამოუკიდებელი სახის გამოვლენა ხდება საკულტო მუსიკის ჰეგემონიის ხანაში[1].

ნავარიის მეფემ ფორტუნიო გარსია მანუელმა (882-905) დაწერა " El canto epitalàmico dedicado en Pomplona a Landegundica," ტექსტი შესრულებულია ლათინურად, არის 29 სტროფი. წარმოგენილია სამ ლექსად. პირველ სტროფს წამძღვარებული აქვს ნოტები - მომდევნო სტროფების მეტრიკის მაჩვენებელი და განმსაზღვრელი. თვით ნოტაცია, თავისი წარმომავლობით მოზარებულია. ეს ნაწარმოები სრულებრივ კიდარას, ტიბიასა და ლირის აკომპანიმენტებზე[2]. საყურადღებოა მერვე სტროფი:

Nervi repercussi manu citariote
tetracordon tinniat armoniam concitet
ut resonent landes dulces domne Leodegundio.

ეს სტროფი სპეციალისტებს თავისებურ საფუძველს აძლევს, რომ მისი პარალელიზმები ეძებონ კასიოდორის, ბოეციუსისა და ჰუკბალდის მუსიკის თეორიის ტრაქტატებში.

მეორე უძველეს ძეგლს ბასკური მუსიკის შესახებ წარმოადგენს სასახლის კარზე შექმნილი აბდერამან II-ისდროინდელი "კალმი". მის შესახებაც ცნობებს გვაწვდის არაბი მწერალი აღ-მაყარი, რომელიც მიუთითებს ამ ციკლის სიმღერათა ელეგანტურობაზე. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ნიმუშები ჩვენთვის ძალზე საინტერესოა.

---

1 Adolfo Salazar,La Musica de Espana,§§§. p.29.

2 H.Angles,Gloriosa contribution de Espana a la Historia de la Musica Universal,CSIC,Madrid,1948,p.27.

ბასკონიაში შეინიშნება საკულტო მუსიკის ჰეგემონია. მოწმეული ლიტერატურაში ვხვდებიო სხვადასხვა საღოცავებს, ანტიფონარებს, ევანგელიებს, საკულტო კრებულია წარსახელობას, ლიტურგიკულ კრებულებს: "Liber Ordinum,del Monasterio de San Martin de Albelda.2.Liber Missarum,del Monasterio de Santa Gemma.3.Liber Orationum Y Antiphonarium,del Monasterio de Iraze.

რომის პაპები: აღექსანდრე I და II, გრიგოლ VII საგანგებო ყურადღებას აქცევენ ესპანეთში ლიტურგიკული მუსიკის დანერგვას. მრავალი მონასტერი ნავარასა და ჩრდ. ესპანეთის პროვინციებში იქცა საკულტო-მუსიკის ცენტრად. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეთა ჰიმნოგრაფიის საყურადღებო ძეგლებია:

